

652
1960/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

652/2

1

1960

14

საქართველოს
საბჭოთავო მთავრობის

საქართველო



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის
შურობანი შიგლინითაჲს

საპარტელოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

8073

ფრ. საღვაში—მარტში გასროლილი ტყვია (მოთხრობა)	3
ლ. გელაძე—ლექსები	8
რ. ბერძენი—მშვიდობას სალამი (ლექსი)	11
ნ. ჯაღარდია—ლექსები	12
ფ. გორგილაძე—ლექსები	14
მ. ლომაძე—შერიგება (მოთხრობა)	15
დ. ახობაძე—ნაძვი ზღვასთან (ლექსი)	19
ბ. მიხაშვილი—ხევსური ზღვაზე (ლექსი)	20
ა. ჩხაიძე—ლექსები	21
ი. უშვერიძე—ლექსები	22
ბ. თოფურია—ლექსები	23
ქ. ჩიქვილაძე—დედას (ლექსი)	24
ა. ბაკუნძვი—ციცარი (მოთხრობა, სომხუ- რიდან თარგმნა გრ. ხარქიანიძე)	25
მ. შანიანი—ქველმოქმედი, მოქანდაკე (მი- ნიატურები. ინგლისურიდან თარგმნა მ. ფარეშვილი)	30

დღეები და აღმნიშვნები

რ. სხვიტარია—მწვანე ოქროს მამიებულნი	32
---------------------------------------------------	----

კუბლიკაცია

ბ. მებუძე—გალაკტიონ ტაბიძის ერთი დაუბეჭდავი იუმორისტული ლექსი 36

ლიტერატურული კალენდარი


ი. ქაშიბაძე—სიტყვის გენიალური ოსტა- ტი	37
ა. ჩხიშვილი—მოთხრობები (თარგმნეს თ. გა- დამაშვილმა და ს. გიორგაძემ)	42

1

1960

ი ა ნ ვ ა რ ი
თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

აჭარის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გამომცემლობა



კრიტიკა და პუბლიცისტიკა



- ნ. ჩხეიძე—ლიტერატურული სახე და ცნება 49
- ს. ვადაჭკორია—შენიშვნები ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ 55
- ტ. ხინთიბიძე—საბჭოთა ხალხის მატერი-ალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შვიდწლელი 60
- ა. შარვაშიძე—ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიასი 62

ხელოვნება

- მ. დავითაია—„ოტელი“ ბათუმის დრამატულ თეატრში 68

ფოლკლორი

- ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიძელი, გ. ჩხიკვაძე—აჭარული ნადური სიმღერების ოთხხმიანობის თავისებურების შესახებ . . . 73

აჭარის წარსულიდან

- ა. შიშკინა-ახალაძე—ნესტორ კალანდარიშვილის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში 78
- ირ. მაღაზონია—ამადარი პედაგოგი . . . 81
- ი. ხინარულიძე—მონღოლი უფლისწულის ურდო აჭარაში 83

სპორტი

- მ. შაშიკაშვილი—ასე იბადება წარმატება 85

წიგნის თარო

- ს. არველაძე—გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები“ 87
- ნ. ნოღაიძელი—საინტერესო საბავშვო წიგნი 88
- პ. ცაშიტარია—წიგნი რუსეთის პირველ რევოლუციასზე 89

სატირა და იუმორი

- პ. ლორია—უცხოელი ჟურნალისტი საქართველოს შესახებ 91
- შ. შუბლაძე—კიბო და ბონის კანცლერი 95

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. ხალუქვაძე (პემგ. მდივანი),
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

ზვიონ ხაჯვანი

მარტში გასროლილი ტყვია

ბერიკატი მთელი დღეა ბუხართან ზის.

ოთხმოცდაშვიდი წელიწადი!.. აქამდე სიბერეზე არც უფიქრია.

აგერ ორი თვეა კი რაღაც უფრო დაუმძიმდა ფეხები, წელშიც მოტყდა. სოფელში, მეზობლებთან სიარულიც უჭირს.

წელს შემოდგომა აღრე გაცივდა.. იქნებ ამის ბრალია ყველაფერი?..

დერეფანში ძალიან ნელა და მძიმედ გაისმა ფეხის ხმა. ოთახის კარს აიშეზოდა — ორმოცი წლის წინათ დაქვრივებული ბაღაძის ქალი.

მოხუცმა დიდი გაჭირვებით შემოხედა მას.

— შამოი შით, რას დადექი!

დღეაბერმა ოდნავ შეარხია მხრები და ზღრუბლებზე მოწიწებით გადააბიჯა.

— ერთი სამკადე ფქვილანა მასესხე, ქამილავ, — უთხრა მოხუცს.

— მაგერ კიდობანი, დარწყევი და წეილე. ხოლოთ მოტანა არ დაგავიწყდეს.

„მოტანა არ დაგავიწყდესო?“ — ეწყინა ქალს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— წისქვილზე დაყრილი მაქ, მარა დღე წყალი არ იყო და...

— ჰო, ჰო, წეილე. — მერე ისევ ცეცხლს ჩახედა ქამილმა და უნებურად თავისივე სიტყვები გაიგონა. უხეშად ნათქვამი გამოდგა. დაფიქრდა, რანა, თავი ისევ მოაბრუნა, რაღაც გულის მოსალობი რომ ეთქვა, მაგრამ დედაბერს უკვე დაერწყო ფქვილი და წასულიყო.

— საწყალი ქალი! — შეეცოდა ქამილს აიშე. — უქმროდ დაბერდა თითქმის. ერთი შვილი ჰყავდა... რამდენი წლის იქნებოდა ახლა საითი? არ იქნა, ცხრამეტს ოცდაათი ვერ მიუმატა.

რომ იცოდეს აიშემ საითის — თავისი ერთადერთი შვილის დაკარგვის ნამდვილი ამბავი, ამ სახლში ფეხს არ შემოაბიჯებდა.

მაგრამ ვინაა დამნაშავე?

ჯერ დრო, შემდეგ ის, ვინც აღარ არის.

მოხუცს გული დაეწვა და ოტეთი რამ გაახსენდა, რომელსაც ეს ოცდაათი წელიწადია თავისთავსაც უმაღავდა.

მამინ ამ უგზო სოფელში ქვეყნის ამბავი იშვიათად მოაღწევდა.

მაგრამ იმ გზაფხულზე, ადნა თუ არა თოვლი და გაიხსნა თუ არა ერთადერთი გზა ბარისაკენ, სოფელში თოფივით გავარდა ახალი ამბები.

ბათუმიდან თურქები გადაიან.

ბათუმს ქართული არმია დაპატრონებია.

ისინი უკვე აჭარისწყალზე ყოფილან. ნახევარი მარადიდისკენ წასულა-ჭოროხ-ჭოროხ, ნახევარი — აქეთ, მაგრამ ნამდვილი არავინ იცოდა.

ასკერებმა უკანასკნელ ძალას მიმართეს: მოსახლეობას მოუწოდეს, ვინც ალაპისა და ყურანის ერთგულია, ჩვენს მხარეზე დადგეს და; გიაურებს შეებრძოლოსო.

სოფელი ჯერ დაიბნა, აირია, მერე ერთი, ძლიერ მცირე ნაწილი, თითო-ოროლა მორწმუნე თურქებს აედევნა, სხვებმა, უფრო დიდმა ნაწილმა გაჩუმება და ლოდინი ამჯობინა, ბევრი კი სულ გაქრა სოფლიდან, ხინოს მთიდან ჩაქვისთავში ჩაიპარა, იქიდან ბათუმში ამოჰყო თავი და თურქი ასკერების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ჯარისკაცებს შეუერთდა.

ქამილი მამინ უკვე სამოცს მიტანებულ იყო იყო, მაგრამ მისი ას ხუთი წლის მამა ჯერ კიდევ ჯანზე კარგად იყო და ოჯახში თავის ჭკვაზე არავის მიუშვებდა. მოხუცი იბრაჰიმი დიდად მორწმუნე იყო, რისთვისაც თურქები პატივს სცემდნენ. ბევრჯერ მასთან იუზბაშებს ღამეც კი გაუთევიათ.

ახლა, ასე რომ აირია ყველაფერი, მან ქამილს ურჩია ისლამის დამცველ ასკერს გაჰყოლოდა და ამით სამადლო საქმე ეკეთებინა.

როცა მამა ამას ეუბნებოდა, ქამილი დინჯად აკვირდებოდა თავისივე ქალამნებს ფეხებზე. არც კარგი უთქვამს, არც ცუდი.

მეორე დილას მან სკვირიდან ამოიღო ყორანივით შავი „ბარდენა“, ქონით გააპრილა, ფალასკა წელზე შემოიჭირა, შინაურებს გამოემშვიდობა და ღომას მთებისაკენ გაემართა.

ასკერებიც იქ მიეფარნენ ტყეს გუშინ.

სოფლის გზაზე მიმავალ ქამილს ბალაძის ბიჭი, ცხრაშეტი წლის საითი დაეწია.

იგი შავგვრემანი ჭაბუკი იყო, დაბალი და მხრებგანიერი. ღაწვებსა და ნიკაპზე ჯერ გაუპარსავი წვერი მეჩხრად დაღერწოდა. ფართო თვალები თეთრი და წითელი ფერებით ავსებოდა და სირბილისაგან ყელზე ძარღვები დაბეროდა.

— ქამილ ძიავ, მომიცაი, მეც მოვალ! — დაუძახა მან უკან შემობრუნებულ მეზობელს.

— უკან წაი, თვარა, რუმ გტყავებ ყურის ძირში... — შეუბღვირა მოხუცმა და ნაბიჯს უმატა.

ამ დროს სოფლის მხრიდან ისევ მოისმა გაურკვეველი ხმაური და ძახილი. წინ აიშე მორბოდა ლეჩაქაშლილი, უკან რამდენიმე მეზობლის ქალი მოჰყვებოდა.

ქლოშინითა და ქაქანით მიიჭრნენ შუაგზაზე გაბლეჩებულ ქამილთან.

— ქამილავ, მემეხმარე რაცხა, შვილი გედვირია... თოფს წაახტა და შენ მოგდევს. მეც ჩხუბში მივალო. რაის ჩხუბი, ქამილავ. მემეხმარე, შვილი მე-კარქება.

ქამილმა ტუჩი ჩაიკვნითა, თოფი კონდახით ქალაქიან ფეხზე შერყენდა და მრისხანედ ჩახედა თვალეებში საითს.

— ეს ჩხუბი შენი ხარჯი არაა, შვილო. შინ წადი. ახლა მტერს მიწყობა კაცს.

— არ გუჭირდება, არა... მე ვიცი მტერი ვინაა... — და გაჩერდა საითი. ყელში რაღაც გაეჩხირა.

— არ იცი...

— ვიცი, ქამილ ძიავ... დღეს რომ იუზბაშმა გამეიარა, ჩვენ ეზოში შედგა და თან მითხრა ვინცაა ჩვენი მტერი.

ქამილმა თავი ჩაღუნა, შუბლი შეიკრა, ცალი ხელი ნიჩაბივით ბრტყელ წვეგრზე ამოისვა.

ამ დატკეპნილი, მძიმე ღუმლის შემდეგ თავი ისევ ძაღლა ასწია და...

— აიშევ, ბაღანა შინ წეიყვია! — ცივად უთხრა. თავად კი მიბრუნდა და გზას გაჰყვა, მძიმე, ფუთიანი ნაბიჯებით.

შემდეგ ქალის ქვითინი გაიგონა.

— ნუ მიხვალ, გეხვეწები, შვილო, ნუ მიხვალ... ნუ მომკალი... — ტიროდა დედა.

ცოტა ხნის შემდეგ ქამილმა ისევ გაიგონა მოახლოებული ფეხის ხმა. არ მოუხედია, მაგრამ იცნო: საითი მიჰყვებოდა უკან.

* * *

ღელეს გაღმა რომ გავიდნენ და აღმართს შეუდგნენ, გამოღმდიან სერზე ასული ქალი ქამილს ხმამაღლა ემუდარებოდა:

— შვილს შენ გაბარებ, ქამილავ... შვილი არ მომიკლან...

მერე ძახილს ხმამაღალი ტირილიც მოჰყვა.

ტყეში აღარ შესულა, ბილიკს გაჰყვა ტიალი სერისაკენ და უმოკლესი გადასავლით სოფელ ჩითოხევისაკენ დაეშვა ქამილი.

— ქამილ ძიავ, იუზბაშმა იქით წეიყვანა ასკერი, მე დევნახე. ჩვენ ამკენ რატომ მივალთ?..

— თავი დაღუნე და მომყე...

* * *

ქედები თანდათან შეინისლა.

მარტის ნისლი ცივი იყო და სველი.

შელამდა.

ჩითოხევიც გამოჩნდა.

ქამილი შედგა, სოფელს დააკვირდა, თვალეებზე ცრემლები მოიხოცა. საითმა ვერ გაიგო ეს ცრემლი სოფლიდან ამოსული კვამლის ბრალი იყო, თუ მოხუცი ტიროდა.

ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ აღიმართა ის იუზბაში, საითის ეზოში რომ შეჩერდა დღეს.

— მამათქვენი იბრაჰიმ-ალა ვიცოდი ჩვენთან გამოგზავნიდა, — კმაყოფილად უთხრა ქამილს და ენის წვერით ტუჩები ჩაილოკა.

საითმა თოფი ზურგიდან მკერდზე გადმოაცურა, დამინახოს იუზბაშმა და

შემაქოსო, მაგრამ თურქს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგანაჲ ქა-
ნილმა პასუხი არ გასცა მის გულლია განცხადებაზე და ოდნავ გაბრუნდა.
— სხვები? — იკითხა მან.

— სხვებიც მოვლიან, — უპასუხა მოხუცმა და საითს გადახედა, არ ჩამე-
რიო ლაპარაკშიო. — ჩვენ ცალკე ვიქნებით და ამ სოფლიდან დაუშვარდებით
ვიავრებს.

„სად არიან სხვები?“

საითი ოდნავ დაიბნა, შეიშმუნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ გა-
ბედა.

იუზბაში კმაყოფილი დარჩა, ორი ნაბიჯი წინ გადადგა და სოფლის ბოლოს
განმარტოებული სახლისკენ გაიშვირა ხელი.

— ის სახლი ცარიელია, ხელის გულივით მოჩანს იქიდან შარავზა და
ხიდი. განთიადზე ჩვენები გადმოსვლას დაიწყებენ ხილით. ვიუტრები აქაურებს
ენდობიან, ჩვენ კი აღარ ვეგულებით. ამიტომ თქვენ ამ სახლში ჩასაფრდით
და უთვალთვალეთ ხიდს, არავინ მიეპაროს დილამდე.

მოხუცი თავს უქნევდა უსიტყვოდ.

შემდეგ იუზბაშმა თუთუნის ქისა მოსთხოვა, თამბაქო შეახვია, მოუკიდა.
„ხოშდაყალ“ უთხრა და წავიდა.

საითმა თვალი გააყოლა. მოხუცი კარგად გრძნობდა ვის დასაცავადაც
მოდებდა ეს დაუდუღარი ბიჭი; ფიქრა, ვეტყვი ყველაფერსო, მაგრამ ახლა
ამის გაკეთება საშიშად ჩათვალა.

ისინი სოფლისკენ დაეშვნენ.

* * *

მიტოვებული სახლი თითქოს დაყრუებულიყო. შიგ ჩაწოლილ ცივ მარტო-
ობას ღამე დაპატრონებოდა.

„ბელი მწყალობს, თვარა ასკერებთან წამათრევდენ. სულ არ გუხვეტიან
აქაურობა?! მის ხელში ხარ, ძიავ, ჯერ!..“ — ფიქრობდა თავისთვის ქამილი.

თვალი კარგად რომ შეეჩვია სიბნელეს, ბუხართან ორი სარკმელი მონახეს.
ორივე სარკმელთან ლოგინის დასაწყობი მასანდარები იყო, მაგრამ ლოგინი
აღარსად ჩანდა. სამაგიეროდ მასანდარაზე უამრავი მოხარშული წაბლი ეყარა.
ზოგიერთს ჯერ კიდევ შერჩენოდა სითბო.

— ალბათ, დღეს დილას ეიყარენ. საწყლები... — ეტყინა გული ქამილს.

მოხარშულ წაბლს შეექცნენ და ღამეც შეუმჩნევლად გავიდა.

ცის ფონზე თანდათან გამოიკვეთა მთების თავები.

ქვემოთ გადაიხედეს. მართლაც კარგად გამოჩნდა გზა, მდინარე, ხიდი.

— ვითომ იუზბაშმა მართლა ჩვენ მოგვანდო აქაურობა?.. ჰელბეთ მათი
კაცებიც იქნებიან ამათიებში, — ფიქრობდა ქამილი და გაფაციცებით აკვირდე-
ბოდა ხიდს.

საითი ისევ გატაცებით არჩევდა და პირში იყრიდა მოხარშულ წაბლს. მის
წინ წაბლის ნარჩილის მთელი ზვინი იდგა.

სადღაც მჭახედ გავარდა თოფი.

საპასუხოდ სხვა მხრიდანაც გაიხროლეს.

ხიდს გაღმიდან ჯარი მოადგა.

ქამილს ღელვა დაეუფლა. მაგრამ მალე გადაწყვიტა, ხიდს დაუმიზნა და
•სროლა. საითმა გარკვევით დაინახა, როგორ წაიქცა კაცი ხიდზე. მეწინავე ჯგუ-

ფი გაიფანტა, მაგრამ სროლა განმეორდა და ერთს მეორე მიჰყვა, მეორეს — მესამე...

აცხცახებული საითი ქამილს მივარდა.

— ქამილ ძიავ, გედერიე? ქამილ ძიავ, ვერ ხედავ, ვინ არიან?! ჩვენები..

გახურებულმა კაცმა მარცხენა იდაყვით მოიცილა ბიჭი და არ შეუხედავს, ისე შეჰყვირა:

— ჩქარა, ესროლე!..

საითი ბუხარს მიეყუდა, რატომღაც თოფამდე ველარ მივიდა და ხმამალა ატირდა.

ქამილს ფალასკაში მხოლოდ რამდენიმე ვაზნა დარჩენოდა.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

ამასობაში სროლა სულ ახლოდან გაისმა. გარედან ბუხარის ქვაზე მოხვედრილმა ტყვიამ ცივი წივილით გაჰკვეთა ჰაერი და სადღაც გადაიკარგა.

— ქამილ ძიავ, აგერ მოდიან! ასკერები, ვერ ხედავ? გააჩერე თოფი! — ყვიროდა სარკმელზე მიმდგარი საითი.

მოხუცს არაფერი გაუგონია. არც სურდა გაეგონა.

სახლს სეტყვასავით დაუშინეს ტყვია.

რალაცას ცეცხლი მოეკიდა, ოთახში კვამლი დადგა. ასკერები სახლს უახლოვდებოდნენ.

სასოწარკვეთილმა საითმა იგრძნო, რაც მოელოდათ. იფიქრა: გარეთ გავვარდები, მოსულთ ჩავბარდები და ვეტყვი, რომ მე ერთხელაც არ მისვრია მათთვის. ეს ყველაფერი ამ გადარეული ბებერის ბრალია...

თოფს ხელი წაავლო და კარებთან უნდა მიმალულიყო, მაგრამ ამ დროს ცეცხლმა გაარღვია კვამლი. ეს ქამილის უკანასკნელი ვაზნა გაფარდა; თოფიანი ვაჟი უხმოდ ჩაიკეცა. შემდეგ ერთხელ კიდევ წამოიწია, მიმოიხედა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ ისევ მოწყვეტით დაეშვა და წელით გადაწვა ზღურბლს.

მოხუცი მაშინვე მივარდა კარებთან, ბიჭს მხრებში ხელი ჩასჭიდა, ოთახში შეათრია და შუაგულ იატაკზე დააწვინა.

ეზოდან მოახლოებული ხმაური შემოიჭრა.

ასკერები კიბეზეც გამოჩნდნენ.

ქამილი ფანჯრიდან ახორს უკან გადახტა. ნეხვწყალის გასაშვებ არხში ჩაწვა და ხოხვით შუა ნაფუძარს გადაცილდა.

იქ იგრძნო, რომ მხარში დაჭრილიყო. ნახევარი სხეული გაუჩერდა.

იგი არხში ჩაწვა და სადამომდე ასე ყოფნა გადაწყვიტა.

მის უკან სახლი იწვოდა.

ხანდახან მარტის ჰაერს მწარე წივილით ისევ ჰკვეთდა გასროლილი ტყვია. უკან მიმავალი, გაჯავრებული მტერი თითქოს აქაურ ჰაერსაც კლავდა.

ამ დროს წითელმა არმიამ გოდერძი უკვე გადმოიარა.



ლევან გელაძე

გონიოს ციხესთან

ხავსიან კედელთა ცივი მდუმარება
და სათოფურები, ვით თვალნი დათხრილი,
შაოსან აჩრდილთა ჩუმი მდუმარება,
ნამტვრევი ნალის და ლაგამი დახრული.
უკვდავთა სიკერპით დგას ციხე გონიო
და, ალბათ, შეხარის გამვლელს და გამომვლელს,
მგზავრ საბას აქ უთქვამს, გადავრჩი მგონიო.
ლტოლვას რა დააცხრობს,
იმედს რა გამოლევს.
გონიო...
გონიო...
რეკავდა ძახილი
და ტალღებს მიჰქონდათ ტყვე ქალთა გოდება,
რამდენ ხანს ჩემს მამულს უღრენდნენ ძალღვივით,
რამდენჯერ გაბედეს ხანძრებად მოდება.
რამდენჯერ მოასკდა
ამ კედლებს,
ქონგურებს
ცოფიან ურდოთა
მეწყერი,
ღვართქაფი.
რამდენჯერ მოუკლეს პატრონი ჩონგურებს,
რამდენჯერ გახელდნენ ბუკი და დაფდაფი!
მიჰქონდათ...
მიჰქონდათ...
ზურმუხტი და ლალი,
მიჰქონდათ ამ მიწის სიტკბო და სურნელი,
ზოგს ხევში რჩებოდა ქოში და დაღალი,

განძეულს მარხავდა რამდენი სულელი.
და ციხე კვლავ იდგა
ვით კარა,
ვით შხელდა,
კვლავ ენთო სანთელი და დღულდა მაჭარი
და კვამლი ბუხრიდან აჭრილი ამხელდა,
რომ ქართველს სიცოცხლე და ძალა აქვს ჭარბი.
დგას ციხე ჩვეული
სიკერპით,
სიცივით,
რამდენი ეპოქის სასამისი დასცალა,
რამდენი უნახავს
ტირილიც,
სიცილიც,
მაგრამ არ უგრძნია ეს სუნთქვა, ეს ძალა.

მარადილი

მარად მიდის მარადილი
ნათელ გზითა,
დიდი გზითა,
თავს იწონებს მარანდილი,
რომ ჭაპანი ჭიქურ ზიდა.
მარადილი,
მარად დიდი,
საქართველოს პეშვი მიწა,
ვით ჭოროხი არამშვიდი,
მომხვდურმა ვერ წაგვიბილწა.
ლუნეს,
ლუნეს,
ვერ გალუნეს,
აქ ქართველი ძვალხომორი,
მოაჭენა დღემდე ჭუნე,
ვერ გატეხა გზამ სიშორით.

მარად დიდი მარადილი,
დგას ვით კუშტი მეხამრიდი,
საღღაც ჩემი მოძმე კენესის,
ვით ვუსმინო მე სიმშვიდით?!
თვალი ჟინყლავს, როგორც კვესი!
იქით ღამე,
აქეთ დილა,
აქ სიმღერა,
იქით ოხვრა,
აქ სასახლე ცად აწვდილა,
იქით კერა რჩება ოხრად,
აქ კაცობის მშვენიებაა.
მარად კრძალვა,
მარად რიდი.
ნახე, დასტკბი შენ ნება გაქვს,
ღარიანობს მარადილი!

მე ვაგებ პასუხს

მე დამლოცავენ, თუ ვაგზარდე ვაჟი კაცურად
და მე დამგმობენ, თუ შენ ვერ იმამულიშვილე,
მე ვაგებ პასუხს, თუ ვერ შეძელ ზღვათა გაცურვა
და გაჭირვებულს ვერ მიაგენ, ვერ მიეშველე.
მე ვაგებ პასუხს, თუ არ გიყვარს
ეს მთა,
ეს მუხა,

ეს ცა,
ეს მიწა,
ეს ბალახი და ეს ღორღები,
ან თუ აღმართში ჩაიჩოქე, გიმტყუნა მუხლმა,
მოვარდნილ მეწყერს, თუ ტანით ვერ ჩაეღობები.
თუ ვერ გაბედე შენ პირველმა მთვარისკენ ფრენა,
თუ წინაპართა საფლავებზე არ დარგე ვარდი,
თუ ვერ გაგაძლებს
ეს ცხოვრება,
ეს სხივთა ფენა,
თუ შეგირცხვება სიხარული ან კიდევ დარდი.
მე ვაგებ პასუხს, ვაგებ პასუხს ყველაფრის გამო,
რომ დაგიწუნონ ფერი
ამ ცის,
ამ ზღვის,
ამ დროშის,
გითხრან, ნუ უკრავ ასეთ ხმაზე ჭიბონს და
გარმონს,
ანდა გულს გაკლდეს, შეილო, ამ დროში.

* * *

რად გიკვირს?
რად გიკვირს?
არ ვიცი ღმერთმანი!
ნუ ფიქრობ, შეგხვდი და უეცრად გიწამე,
მე მჯერა, ჩვენ დიდხანს ვეძებდით ერთმანეთს,
იყავი სნეული და ვერა გიწამლეს,
ვიყავი დაჭრილი და გული მიმძიმდა,
ასე წვით, წამებით. ვილაშქრებ, ვითენეთ.
ამდენს ვერ შეძლებდა მნათობი ციმციმს და
არ ვიცი ჩვენ როგორ
ვითმენდით,
ვითმენდით.
მგონია, გელოდი არჩეულ პალმასთან
და ტალღამ დამდალა
ჩურჩულით,
ანცობით.
შეგხვდი და ფოთლები დაფარეს ალმასთა,
პირველად გიხილე დიდი ხნის ნაცნობი.



რათა ბეჩოძე

მშვიდობას სალამი

რა აზრმა შექმნა ან რა ხელმა აკეთა
ეს საკაცობრიო ოცნების ნუგეში?!
სასწაულებრივი საბჭოთა რაკეტა
დასახლდა მთვარის და ვარსკვლავთა უბეში.
თან გაიყოლია ამ ქვეყნის 'შუქი და
საბჭოთა ალამი აღმართა მთვარეზე...
აქამდე კაცს ცაში გაფრენა უკვირდა,
ახლა კი ცის იქით სიკეთეს დაეძებს.
ძველ კერპებს, თუ ჰყავდათ შლოცველი აქა-იქ,
ლღეს მრევლი დაეზნათ — სულ არდასანანი...
მშვიდობა დაფრინავს ატომის მახეახით.
მშვიდობას სალამი,
მშვიდობას სალამი!



ნორა ჯაღალონი

ლოტს

დაიარები არეულ ტვინით
და ღვინოში ცვლი ყოველგვარ
წადილს,
შინ კი მეუღლე ყოველ დღე ტირის,
შენზე ლოდინით აცივებს სადილს.
სახლში მიიტან დახეულ ხალათს,
ცარიელ ჯიბეს და უნდო ღიმილს,
შვილს ახალ კაბას პირდები ხვალაც
და ასაჩუქრებ ხალათის ღილით.
მოსისხლესავით შეუღრენ ცოლს და
ახალ პირობას უმტკიცებ ღედას,

დაედვას კისრად მას შენი ცოდვა,
ეს გზა, ეს რჩევა, ვინც დაგიბედა.
თუ ასე მიჰყევ, მე გეტყვი მართალს,
შენთვის ცხოვრება გახდება ძვირი,
სიცოცხლე ისე კარგია, მართლაც
დაგენანება ხანდახან ძილიც.
გინდა სულ გქონდეს თვალები ღია
და სიცოცხლეზე იფიქრო მხოლოდ.
გონს მოდი, სანამ არ არის ვვიან,
სანამდე ნახავ ცუდი გზის ბოლოს.

ქართველი ქალი

გელათის კედლებს ვით ნინო წმიდა,
რუსთველის პროსპექტს ისე ამშვენებ,
დე გულიც გქონდეს ისეთი წმინდა,
როგორც წმინდაა თვალები შენი.
მაგ თვალებს ბევრი ვერ გადაურჩა,
მეც შენი თვალის მსხვერპლი ვარ, კარგო!
დე ჩვენი მიწა და ჩვენი ქუჩა,
შენისთანებმა ბევრჯერ მოქარგოს.
ვუმზერ შენს სახეს და ახლა ვხვდები,
რად იყო მტკიცე თბილისის კარი,
რატომ გვაქვს ასე ამაყი მთები,
რატომ გვაქვს ასე ლამაზი ბარი.
სიმღერა რატომ არ გაუთავდა

*ჩონგურის სიმებს, გამოთლილ ლერწამს,
 თბილისის კართან, ვით პურის თავთავს,
 ერთი ქართველი ასს როგორ ლეწდა.
 მივხვდი, სიმღერით დაცემულ ბიჭებს
 რატომ რჩებოდათ თვალები ღია,
 ისე, ვით თქვენი თვალების ღიმილს,
 რატომ იჭერდნენ გულებით ტყვიას...
 ქართველი ქალის ლაზათი მართლაც
 სიმდიდრე იყო ქართული შიშის,
 გამოგყოლია მარილი მათი,
 სილამაზე და ამაყი სისხლი.
 გამოგყოლია სინაზე მათი,
 სინარნარე და თვალების ფერი,
 თქვენი სიტურფეც კმაროდა მარტო
 ვყოფილიყავით მდიდარი მტერით.
 მაისის თვეში გაშლილო ვარდო,
 როცა შემხვდები რუსთველზე დილით,
 ვამბობ, ეგ ეშხიც კმაროდა მარტო —
 არ მოკლებოდა სტუმარი თბილისს.

მე დამიტოვა მხოლოდ სურათი

ერთად ვუმხერდით ჩარჩოში
 სურათს,
 ორივე ერთზე ვფიქრობდით მაშინ,
 როცა გავიგე მას ყიდვა სურდა,
 მე დავცინე და ვუწოდე ბავშვი.
 ვუთხარი, ვედარ აუვა ტოლებს,
 სოფელში ყველა დასცინებს თითქოს,
 ჰოდა... ის ბიჭი რომ დავიყოლე,

სურათი ჩუმად ვიყიდე თვითონ.
 შემდეგ...
 ბედმა გზა ისე წარმართა,
 რომ თვით მოვტყუვდი მართლაც.
 სულამდი.
 იმ ბიჭმა თვითონ გოგო წამართვა,
 მე დამიტოვა მხოლოდ სურათი.



ზუკაბ გოჩბილაძე

მ ა ი ნ ც

უძღვნი ძმის სსოვნას

მე შემრჩა შენი ხელით დარგული,
შენი ტანივით ლამაზი თუთა,
და ცისფერ წიგნში შემონახული
შენი მშექალის ბარათი სუფთა.
ო, ეს გოგონა რატომღაც მსუსხავს,
თუმც მისი ეშხი აჯავრებს მაისს,
ვიცი, ის ბოლოს გაჰყვება სულ სხვას,
მე დაუძახებ პატარძალს მაინც.

როგორ უძრობ, ლურჯო ცაო

ახლა, როცა სოფლის ზეცა იცვარება ვარსკვლავებით,
ღობე-ღობე ბალახს მისდევს გოგო-ბიჭის ნაკვალევი,
და ბარდები ვარდიანი დარდიანად იმოსება,
და ეს ორი ნაკვალევი,
წყაროს თავში ჩაირბენს და იკარგება მიმოზებთან.
ღამე მიდის როგორც მუნჯი...
რა თქვას წყარომ, რა თქვას ქვებმა,
როგორ ფიქრობ, ლურჯო ცაო...
ცხოვრებაში განა ყველა ნაკვალევი იკარგება?...



ოთარ ლოლაძე

შ ე რ ი ბ ე ბ ა

ის სახლში დაბრუნებას არ ჩქარობდა.

ამხანაგებთან მოიბოდიშა, სასწრაფო საქმე მაქვსო და ქარხნიდან გამოსვლისთანავე აჩქარებით გამოირდა მათ. ორიოდე ქუჩის გადაკვეთის შემდეგ ნაბიჯი აითრია. ბულვარისაკენ ჩაუხვია და უხალიაოდ, ზანტად გაუყვა ტროტუარს.

ბოლო ხანს სამუშაოდან მარტოდ მიდიოდა ხოლმე. კაცმა არ იცის, რას უფრო არიდებდა თავს: ჩვეულებრივ, ყოველდღიურ შემთხვევებზე ბაასს, როძელიც უფრო და უფრო ამოო და მოსაწყენი ეჩვენებოდა. თუ ხან პირდაპირ, ხან კი ნართაულ საყვედურს მის საქციელზე. თუ ვინმე გაბედავდა და ათასგვარი იგავის მიღმა გაამტყუნებდა ცოლის წინაშე, ამას თითქოს ვერ ხვდებოდა, წაუყრუებდა და სასაუბრო თემასაც ნაუცბადევად შეაბრუნებდა.

თებერვალი იდგა და რძისფერი ზეცა უხვად იბერტყავდა თოვლით საგვს კალთას.

თამაზმა ბაღში გადაუხვია და ფანტელებით დასველებულ სკამზე ჩამოჯდა.

ზღვა ხმაურობდა, დრტვინავდა. მაინც უსიცოცხლო ჩანდა სანაპირო. მას აკლდა ადამიანები.

ისევ ჩქარა მიატოვა ბულვარი. ჩაკუპრული ზღვის გაბოროტებით მობუბუნე ტალღების მოძალებამ თუ დაუმძიმა კაეშანი.

მიდიოდა თამაზი და უსიამოვნო ფიქრი ტვინს უხვრეტდა. მიდიოდა და ფიქრობდა. ფიქრობდა და მიდიოდა.

დღესაც, ისევე როგორც გუშინ და უფრო ადრეც, სახლში არ ეჩქარებოდა, იქ არავინ აღარ ელოდა.

ერთ-ერთ გადასახვევთან, ქუჩის მეორე მხარეს, ამხანაგს მოჰკრა თვალი. მეუღლესთან და ბავშვთან ერთად მოდიოდა ნუგზარი. თამაზმა დააპირა გვერდი აევლო მათთვის, მაგრამ გვიან იყო. იგი შეამჩნიეს.

— ბიძია თამაზ, მე კინოში სპილო ვნახე, აი, ამხელა! მანამ ნახა? — მისალმებაც არ დააცალა გიამ მშობლებს და თამაზს ხელით უჩვენა, თუ რა დიდი სპილო იყო.

— უნახავს, გია, როგორ არ უნახავს. — მიუგო თამაზმა ნაძალადევი-ღრჩე-ლით.

— ჩვენთან წამოდი! — შესთავაზა ნუგზარმა და ძკლავი გამოსდო.

— დღეს არ შემოძლია, ხვალ შემოვივლი, — უპასუხა თამაზმა და მჭიდროდ გაჰკიცხავ მზერას თვალი აარიდა.

— აუცილებლად შემოგვიარე, იცოდე გელოდებით! — გაეხმაურა ეთერი.

— მანანაც წამოიყვანეთ რა, ბიძია თამაზ, ჩემს ცხენსა და ახალ ავტოს ვუჩვენებ, — დაედრიჯა გია.

— აუცილებლად, გია, აუცილებლად.

თამაზი თავაზიანად გამოემშვიდობა ყველას და გზა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ უკან მოიხედა. ნუგზარს და ეთერს მკლავებით აეტა-ტებინათ მუხლებმოხრილი გია და ისე მიჰყავდათ.

ღრმად ამოიოხრა.

იცოდა თამაზმა, გიას ძალიან უყვარდა ასეთი გართობა და კიდევ მის მანა-ნასთან ჩხუბი და თამაში.

ის, რომ სახლში აღარ ელოდა მანანა, უფრო მტკივნეულად განიცადა ახლა.

კიბე ნელი ნაბიჯით აიარა. ზედ ოთახის კარის ძირში მაწახწალა ძაღლს ძვლები დაეგროვებინა და ხრავდა. ადამიანის გამოჩენისას დაფრთხა და კიბეზე დაეშვა. თამაზმა ნაგავს ფეხი გაბრაზებით გაჰკრა და დერეფნის კუთხეში მიყა-რა.

სახლში შესვლისთანავე გუშინდელივით უსიამოვნო, აშშორებული ჰაერი ეცა, ისეთი, როგორიც კარგახნის მიტოვებულ ბინაში დადგება ხოლმე.

პალტო სკამზე მიაგდო და პაპიროსის ნამწვავებით სავსე ნიუარას კიდევ ერთი ნამწვავი წაუმატა. თვითონ დივანზე წამოწვა ტანგაუხდელი და მუშაბი-ან მუთაქებზე ფეხები გადააწყო.

მეორე თვე სრულდებოდა, რაც სამუშაოდან დაბრუნებულ ინჟინერ თამაზ ამაშუკელს მისი კუდრაჟა მანანა გულის სიღრმიდან წყაროსავით მოხეტყილი სიცილ-კისკისით აღარ ხედებოდა. ის ახლა შორს იყო, მისგან შორს, დედასთან. დედა კი კარგახანია მამის ოჯახს დაბრუნებოდა.

პატიოსანმა და ამყმა ქეთინომ უცხო ქალთან ურთიერთობა არ აპატია. თამაზი ერთხანს გაგულისებულ იყო. წერილში გაჰკიცხა კიდევაც ქეთინო. ჭორებს აპყევით. გუნებაში კი თანდათან ნანობდა. ეს ამბავი განა მისთვისაც ჭორი იყო?

რა არის ხალხი, არაფერი გამოეპარებათ, ამასლა ბრაზობდა თამაზი.

ალბათ, მანანა ორ თვეში უფრო გაიზარდა და გალამაზდა. როგორ მოენა-ტრა თამაზს მისი პატარა ფუნჩულა მკლავების შემოხვევა, მისი ტიკტიკი და ალერსი.

არა, ეყო ჯიუტობა. წავა სოფელში და თვითონ ჩამოიყვანს ქეთინოს და მანანას. თავსაც გაიმართლებს და ჩამოიყვანს კიდევაც. მერე რა, რომ თვითონ წავა. შესარიგებლად?! განა ეს ღალატის დასტური იქნება?.. ვაითუ ქეთინომ ასე გაიგოს, ხომ შეიძლება არც კი წამოვიდეს და უფრო გაჰკიდეს?

კარგი. ცოტა ხნით კიდევ გადასდებს სიმამართან წასვლას. იცის, ქეთინოს რაირგ უყვარს, ალბათ, ეს წყენაც ჩქარა გაუვლის, უთამაზოდ ვერ გაძლებს და... დაბრუნდება.

მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?! გაახსენდა თამაზს, ქეთინოს ბო-

ლო დროს რამდენჯერ უთქვამს, თუ აღარ გიყვარვარ, თანახმა ვარ გავცილდე-
ო.

უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ოთახს მოავლო თვალი. აბრეშუმის ოღებს დატ
ქათქათა ფარდებს რუხი ფერი დასდებოდა. აბაჟურსა და ჭერს შუა ატყვევებდა
ძაფი ირხეოდა. ზედ პატარა ობობა გარბი-გამორბოდა. ალბათ, ქსელს აბამდა.

უცნაური სიცივე დაეუფლა.

ზარმა რამდენჯერმე დარეკა.

თამაზმა კარი გამოაღო. მის წინ ლილი იდგა, ის, ვინაც ერთი ტკბილი ოჯა-
ხი ააფორიაქა და გაბზარა.

— შე მატყუარა, აკი ჩემთან უნდა გამოგველო სახლში? — ენამოჩლეკით
უსაყვედურა ლილიმ და ოთახი შეათვალიერა, — გეგონა ვერ გიპოვიდი?..

— დღეს უგუნებოდ ვიყავი... — ცივად მიუთგო თამაზმა და ხელში შეჩეჩე-
ბული ბეწვის ქურჭი ჩამოართვა.

— მშვენიერი ბინა გქონია, თამაზ.

— არა უშავს.

— აი, ეს ოთახიც ჩვენია, არა?..

— ვისი?

— ჩვენი. აი, ჩემი და შენი. — ყალბი სიცილით წარმოთქვა ლილიმ. —

8073

როდის, როდის მეღირსება...

თამაზმა არაფერი უბასუხა. ლილის უფრო დაბეჭითებით ჩააშტერდა თვა-
ლებში, თითქოს პირველად ხედავდა. შემდეგ თვალი მოარიდა.

„ჩვენი ოთახიო“.

ეკ, რა ადვილია ვითომდა ისე, სასხვათაშორისოდ დახარჯვა საალერსო სი-
ტყეებისა და აჰა, თურმე სადამდე შეიძლება შენმა სიცრუემ მიგიყვანოს!

არა, მაინც რამ გააბედვინა ასე უტიფრად თამაზის ბინაში მოსვლა?

— ო, ღმერთო ჩემო, რა გაუბედავი რამა ხარ. ქეთოს აღარ უყვარხარ,
აღარ... ნუთუ მისი დაბრუნების იმედი კიდევ გაქვს? აგერ შეორე თვეა უმიზე-
ხოდ მიგატოვა და... — ლილიმ აზრი აღარ დაამთავრა. კისერზე მოხვია მკლა-
ვები და ნაზად აკოცა.

— უმიზეზოდ?.. — ჩაილაპარაკა თამაზმა და ტუჩებზე ხელი გადაისვა,
თითქოს რაიმე მოაცხეს და მოცილებას ცდილობსო. შემდეგ ლილის მიშველი
მკლავები მოიშორა და ფანჯარაში დაიწყო უაზროდ ცქერა.

ლილის არ გამოპარვია თამაზის არც ერთი მოძრაობის, არც ერთი სიტყვის
აღუქმალი აზრი. აშკარად იგონო, თამაზი ნელ-ნელა ეკარგებოდა. არაფერი არ
უთქვამს. არაფერი არ შეიმჩნია.

„როგორ მეფიცებოდა. ჩემი ცოლი არასოდეს მყვარებია და მხოლოდ ბავ-
შვის გულისათვის ვცხოვრობ მასთანო. ახლა კი, ვითომდა ჩვენს შორის არა-
ფერი მომხდარიყოს, თავიდან მიცილებს... იქნებ იმიტომ, რომ ვუთხარი, სხვის
ბავშვს ვერ გაგზრდი-მეთქი“...

ლილი საწოლთან მივიდა, აბრეშუმის საფარი გადასწია, წამოწვა და საკი-
ნძგახსნილი მკლავს დაეყრდნო.

— თამაზ, ჩემო სიცოცხლე, მოდი ჩემთან! — წყნარად წარმოთქვა ლი-
ლიმ. — განა არ ვიცი, განგებ მირისხდები ახლა. რად გიყვარს ჩემი წვალება?

ლილი გულადმა შეტრიალდა, საწოლზე მოწყვეტილ გადაწვა და ხმადაბლა



შევივლა. საბანს ქვემოთ შეაცურა ხელი და მოზრდილი თვალსუქია თოჯინა გამოაძვრინა.



— შენს ბავშვს, ალბათ, დედასთან სძინებია ბოლო ღამეს... არც კი აუღაგებია, ისე გაპარულა შენი ქალბატონი. თამაზს სუნთქვა შეეკრა.

ლილი კვლავ ქეთინოს საწოლთან იჯდა და ხელში თოჯინას ატრიალებდა. „ბოლო ღამესო“.

ისე უჭირავს თავი, ისე ლაპარაკობს, თითქოს ეს ჭერი დიდი ხანია ელოდა მას და თამაზიც უსასწერო სიხარულით შეგებებოდეს. ლილის უტიფრობამ და ყალბმა სინაზემ თამაზი უცებ წამოანთო.

არა! არა! საკმარისია...

ახლა კი ეტყვის თამაზი, დატოვოს მისი ბინა, მას ცოლიცა ჰყავს და შვილიც. ეტყვის, რომ იგი მხოლოდ ბილწი ქალია, გრძნობითაც და ხორციითაც. ეტყვის, რომ მათი ურთიერთობა თავიდანვე მარტოოდენ მარტოობა იყო.

და თვალეში ჩახედა ლილის, ჩახედა ისეთი სიმკაცრით, რომ ლილიმ მზე-რა მოარიდა და სახე შეაბრუნა. იგი თამაზთან მოსალოდნელი დაშორების შიშმა შეიპყრო და მთლად თრთოლვამ აიტანა. არაფრის გულისათვის არ სურდა თამაზის დაშორება. არ სურდა, თუმცა ვული უგრძნობდა, მათხც ასე მოხდებოდა. თამაზი ბოლოს და ბოლოს ხომ შეიტყობდა ვინ იყო იგი, რას წარმოადგენდა.

— თამაზ, ჩემო კარგო, მე ბევრი ვიფიქრე და იცი რა გადაწყვიტე?.. თანახმა ვარ მანანა გავზარდო, თუ კი ქეთინო დაგვიტოვებს.

უკანასკნელი დღეების ფიქრებმა უცებ მიატოვეს თამაზი. მის გონებაში მძიმე, ბურუსივით ჩამოწოლილი განცდა რაღაც უფრო ნათელმა და მხნე გრძნობამ განდევნა. ისეთი გრძნობა დაეუფლა. თითქოს აი ეს. მისი ცოლის საწოლზე ურცხვად წამოწოლილი, ქუჩიდან უნებართვოდ შემოჭრილი უცხო ადამიანი გულმოდგინედ ცდილობს შეურაცხყოს, წაშალოს და არარაობად აქციოს ქეთინოსა და მანანას ხსოვნა ამ ბინაში. პატარა მანანასი, ურომლისოდაც თამაზს სიცოცხლე ნამდვილ უაზრობად ეჩვენება. ხვალვე წავა სოფელში და ქეთინოს პატიებას თხოვს, ხვალვე ვაი, სირცხვილო, ვინ, ვინ ეუბნება მანანას ვიშვილებო?!

— ლილი, შენ ძალიან ცუდად გავიგია ჩვენი ურთიერთობა... გთხოვ წახვიდე... ჩვენ ერთმანეთს დღეიდან აღარ ვიცნობთ.

ლილის ქეთინოსა, მწარე საყვედურისა თუ მუქარისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია თამაზს. იგი ფანჯარასთან იდგა და უკიდევანო ზღვას გასცქეროდა.

როცა კიბეზე ლილის ფეხის ხმა მიწყდა, შემობრუნდა. ლოგინზე მანანას განუყრელი თოჯინა იდო, მამის ნაჩუქარი თოჯინა.



რომენგი ახოგაქე

ნაძვი ზღვასთან

ზღვას შეველულუნებ ნაპირთან მდგარი,
შრიალებს ნელა მშვიდი და წყნარი,
ჩამავლი მზის ედება ალი.
სხივი ტალღების მინებს მიადნა.
და უცებ დაჰკრა ქარმა ხმიანად
და ზღვა ლომივით აღრიალა.
ნეტავ მღელვარე აღარ მეხილა:
ტალღა ტალღაზე გადაგრეხილი
ცაში სკდებოდა ათას მეხივით.
ვინ გაექცევა ღელვას უვნებლად.
თითქოს წამოდგა მთელი ბუნება:
ზღვა გუგუნებდა, ზღვა გუგუნებდა.
და ქაფიანი ტალღების კბილით
ნაძვი თხემიდან ჩამოვლევჯილი
შეკრა, გათელა როგორც ჯეჯილი.
მწვანე სიცოცხლე მოკლა სიცილით,
თვით კი დაიწყო ისევ ციმციმი.
და გამახსენა ტალღების მსხვრევამ,
რომ ჩემი გულიც ზღვასავით ღელავს,
როცა მხარს გაჰკრავს ოცნების ელვა.
მაგრამ სიცოცხლეს იგი ზღვასავით
არ სპობს არასდროს ღელვის ლახვარით.
მსხვერპლს მხოლოდ აცლის მახინჯ ნაწილებს,
რომ დაუბრუნოს კვლავ სიყმაწვილე!



გიორგი გიგაუჩი

ხმისური ზღვაზე

ზღვა შევიყვარე ძმასავით,
ზღვის სიდიადე მაკვირვებს,
მკერდში მიღელავს ზღვასავით
გული — მხურვალე საკირე.
წამოწოლილი ქვიშაზე
ხელს ვუწვდი ტალღას მოხეტქილს,
მისი დიდების წინაშე
უსიტყვოდ დავიჩოქებდი...
ქარებს რომ ებრძვის, ახია,
ვეტრფი ზღვის აგუგუნებას,
ბობოქარი და ლალია,
როგორც ხევსურის გუნება.
ცას ეხეტქება ზვირთებით,
მზეს ცისფერ მკერდზე იგორებს...
ღამდება,
ვღელავ,
ვინთები
და მზის ჩაძირვას ვიგონებ...

მახარებს, მთვარის ბილიკებს
რომ მიჰყვებიან ნავები,
სხივები ჩამოვირიგეთ,
სხივთა ბადეში გავებით.
ზღვის და ცის ერთად შემყურე
ფიქრს გავუხედი მონადო:
„მთა ხომ კარგი გვაქვს ხევსურებს,
დე ზღვამაც დაგვაფოლადოს“...
ზღვის სიდიადე მაკვირვებს,
ტალღა მომსკდარი მთებურად,
გული — მხურვალე საკირე
ტალღებთან შეერთებულა.
ვეება გემის მიღები
ბოლავენ, როგორც ბუნჩრები,
ვბობოქრობ,
ვღელავ,
ვიღევი,
ნავზე ვემხობი მუხლებით...



აკაკი ჩხიძე

თ ე ნ დ ე ბ ა

თენდება,
თენდება!
დღის შუქი მიცინის,
მტრედისფრად ქათქათებს პონტო.
ძირი გამოუხრეს
 ზვირთებმა ციხისძირს —
ხეს მოწყდა ფოთოლი ლორთქო.
მოწყდა და ფიქრით ქარში
 განიავდა.
მივდევდი წუხილით, ოხვრით,
იქნება იპოვნა
 ვინმე მადლიანმა —
ხეს ვუმხერ შვილდევით მოხრილს!
ბაღნარებს ცვარნამი ასხმია მძივებად.

ვიგრძენი სურნელი პალმის...
ყაყაჩო საცაა ცეცხლად დაიღვრება,
ვეხვევი მზის სხივთა არილს...
პირამიდებივით დგანან ეს ლოდებიც
და ზღვის წყალს ისხამენ მკერდზე.
ხეები ალუჩის,
ატმის თუ ბუბოლების
სველ ფოთლებს იშრობენ მზეზე.
თენდება!
ცის თალი გაკაწრეს მერცხლებმა,
ფუტკრები ტკბილ ნექტარს
 რძესავით სვამენ.
მღვრიე ალიონი ზღვაში ირეცხება
და მიიზღახნება ღამე.

მამადავითოზე

მოჩანს თბილისი — გამლილი წიგნი,
და ნარიყალა ნისლების ზღვაში,
ლამპიონების უღევი რიგი,
სტრიქონებივით ჩასმული ყდაში.

მამადავითოზე შემართულ თვალებს
შეხვდა ქალაქი ნატურის თვალივით:
შორს, სოღანლულთან
 ნამგალა მთვარე
ელავს წყნეთელის სატევარივით.





ივანე უშვიძე

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ს

როცა მზე ჩაეა, ჩაიფერფლება,
როცა დაისი დადგება ლალი,
ტბაზე ყვითელი ზოლი გაქრება.
მიეძინება ლივლივით დალილს.

ჩასთვლემს ტირიფი ანატირები,
ჩაეძინება ფოთოლთა წყებას...
მე შენს ლექსებში ჩაეძირები
და მივეცემი თავდავიწყებას.

ნუ გამიშვებ...

სიო ღულუნებს მტრედების ხმაზე,
ეხმაურება ნორჩი ჩინარი...
თავაწეული მივდივარ გზაზე,
ტკბილი ფიქრების თანაზიარი.

ვივლი, გამაფრენს ოცნება ტკბილი,
ლექსებს გავანდობ ყველა იმედებს.
სიხარულისთვის ვარ გაჩენილი,
მწუხარებისთვის ნუ გამიშვებ...

ი ც ი ?

დილა ნახი, სასურველი,
მიწა ლამაზ. ცვარით სველი...
მთაში წყაროს ჩხრიალი და
ბარში ყანის შრიალი და...
თვალნი შავი, ღამეულნი.

მივრალნი, შარბათდალეულნი...
მზის სხივებით გამთბარი და
დილის ეშხით დამტკბარი და...
ბედნიერი ყურს მივუგდებ სიცილს,
და სიცოცხლე რა ტკბილია. იცი?!..



გონეგი თოჟუკია

რას შრიალებს ეს ვერხვები?

რას შრიალებს ეს ვერხვები?
თუ გაიგეს, შენ რომ გხვდები?
რად ჩურჩულებს მუხა?
ცაზე მთვარის ნამგალია,
სიოვ, შენთვის სად მცალია,
მორჩი, ცელქი ნუ ხარ.

ორღობეში ციცნათელამ
გაუჩინა ცეცხლი თელას,
მეც ცეცხლი მწვავს შენი.
ვარსკვლავივით მოციაგე,
მხიბლავს შენი მორცხვი ბაგე,
ვალიმება გ'შვენიის.

ს უ რ ა თ ი

სალამური კვნესდა შორით,
გრძნობით სტვენდა ლერწმის დერო.
დააცადე, მწყემსო ბიჭო,
ნიავეს ჰქონდა სასიმღერო.
იყო ცაზე მთვარე ცილა.

მთებზე ღრუბელთ შეძინება,
ნიავეს და მწყემსი ბიჭის
სიმღერებში შეცილება.
წყარო წვეთებს ქვებზე ფშვნიდა
მარგალიტის თეთრ მძივებად.

წ ვ ი მ ი ს წ ი ს

ცად ღრუბლები ლეგა-ლეგა
თაეშალივით გაშლილი.
კლდის კიდეში მწვანე დეკა,
დარჩენილი ბავშვივით.



ქსენია ჩიქვიძე

ღ ე ღ ა ს

დაბადებიდან ჩემს გულში სახლობ,
ჩირაღდანივით მინათებ გზა-კვალს,
აბა ვინა მყავს მე შენზე ახლოს?
ახლაც შენ უველი ჩემს ყრმობის აკვანს...

ჩემზე ზრუნვაში მისდევდი დღეებს,
ჩემს დაქალებას გულით ელოდი,
შენ იყავ ჩემი მესაიდუმლე,
ჭირსა და ლხინშიც ხომ შენ მშველოდი...

ჩემთვის ვინ არის სხვა შენზე ტკბილი,
მაღლა ავფრინდი მამულის შეილი,
ჩემი სიცოცხლე ბუნებამ ბრძახა,
შენ კი მიმღერე მე ტკბილი ნახა,

ყოველი კარგი მომეცი ფიცად.
შენ შემაყვარე სამშობლო მიწა.



აკსელ ბაკუნსი

ც ი ც ა რ ი

მშვენიერი შემოდგომა იდგა...

ჰაერი სუფთა იყო. მზეს სითბო მოჰკლებოდა. მოლურჯო მთები იმდენად ახლო და ნათლად მოჩანდნენ, რომ მათ ფერდობებზე ლეღებისა და მოწითალო ასკილის ბუჩქებს შორიდანაც კი დაითვლიდით.

ბაღში ქარი ხეხილის ტოტებსა და შემოხვეულ ვაზებს არხევდა, მარნის ძველ კარებს აჭრიალებდა, ხოლო ეს ჭრიალი რომელიდაც ძველ სიმღერას წაგავდა. სიმინდის გრძელი ფოთლები ხმლებივით ეცემოდნენ ერთიმეორეს, თითქოს მხედრები ფარიკაობნენ. უკანასკნელი მზესუმზირა მზეს უღიმოდა და ყვითელ თავს არწევდა. კლდის პირას მედიდურად აღმართული მუხაც კი ქედს იხრიდა ქარის წინაშე.

დაცარიელებულ ველებზე, გაყვითლებულ ტყეებსა და მომკილ ყანებში მოწყენილობა სუფევდა. ცივი ჰაერი პირველი თოვლის მოახლოებას გაგრძობინებდათ.

ძია დილანო მარანთან კაკლის ძირში იჯდა. ყოველი შემოდგომის ბოლოს იგი უკანასკნელად შვეიდოდა ხოლმე ბაღში. ღობეს მოსინჯავდა და კარებს გაამაგრებდა. მას ფიჩხი შეეგროვებინა, კონად შეეკრა და იქვე მიწაზე დაედო. ცოტათი დალილობა იგრძნო და ისვენებდა, მთებს გაჰყურებდა, ფიქრობდა და სიმინდის ფოთლების ხმაურს ყურს უგდებდა.

მზის ჩასვლა რომ არ მოახლოებულყო, იგი კიდევ დიდხანს ასე იჯდებოდა.

აი, მალე დაზამორდება კიდევაც და, ვინ იცის, მომავალ გაზაფხულს კვლავ თვითონ გააღებს ბაღის კარებს, თუ ვინმე სხვა?

შემოდგომის მზიანი დღე, სიმინდის ფოთლების შრიალი, ვაზების რხევა და მარნის კარების ჭრიალი მას სიამოვნებას გვრიდა.

სწორედ ასე მოხდა ერთხელ, მრავალი წლის წინ. აი, მაშინაც მზიანი დღე იყო. მარნის ჩრდილში საფერავის ყურძნით სავსე გოდრები იდგა. დილანო ნუხლებამდე დაკარწახებული ფეხებით ყურძენს სწურავდა და სისხლისფერი სითხე საწნახელიდან ქვევრში წურწურით ჩაღიოდა.

მარანში ცხელოდა, დილანო კი თავისთვის ღიღინებდა, ყურძენს სწურავ-

და. მისი სახიდან ჩამოგორებული ოფლის წვეთები საწნახელში ცვიოდა. მასზე ახალგაზრდა დილანოს ძარღვებში სისხლი მაჭარივით უღულდა.

ბალის კარების კრიალზე დილანომ გარეთ გაიხედა, ბალში არავინ ეძიებოდა. მაგრამ როცა ტაროგამხმარ სიმინდებში უეტრად ლურჯი მანდილი მისი მხრებზე თვითონ უმაღლე მარნის კარებს ამოეფარა, ტყის სიბნელეში დამალული ფრინველივით კისერი წაიგრძელა და დაინახა, რომ სიმინდებიდან ახალგაზრდა მანდილოსანი გამოვიდა, რომელმაც ლერწამივით წერწეტა ტანი შეარხია და კაკბის ნაბიჯით მარნისაკენ გასწია.

ეს იყო სონა, ცისფერმანდილიანი, თოვლისფერკბილებიანი ახალი პატარძალი, რომელიც პატარაობისას გულიანად კისკისებდა, როცა ბუტბუტით მიმავალ რუში თეთრ წვივებს ჩაუშვებდა ხოლმე, ხოლო მეზობლის პატარა ბიჭი დილანო ხუჭუჭა თმაზე წყალს აკუტრებდა.

პატარძალი მორიდებულად მიუახლოვდა მარანს და გულუბრყვილო ფრინველივით შიგ შევიდა.

მან უცებ დაინახა ვაჟი, შეკრთა, აიღეწა, უკაშ დაიხია, მის შალის კაბაზე შემოვლებული ვერცხლის სირმა აქლარუნდა, მაგრამ ცეცხლმოკიდებულმა ხელმა მარნის კარები ჩაეკეტა.

— ბალში შემოვა ვინმე, დილანო, — აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან. დილანომ კი სონას ყურში ჩასჩურჩულა:

— მოიცა, უღმერთო...

ჩასჩურჩულა და მკლავები მაგრად მოხვია.

სონა გველივით დაიკლანა, სცადა გასხლტომოდა მის მკლავებს, ემუდარა. მისი მოხდენილი ტანი ლერწამივით გადაიხარა და მოდუნდა... უაზრო ბრძოლისაგან დაღლილმა პატარძალმა თავისი სხეული უძღვნა დილანოს, ვით უმწიკვლო მსხვერპლმა. იგი კი ხარბად დაეწაფა პატარძლის წითელსირმიან ტუჩებს. შემდეგ ფრთამოტეხილი ფრინველივით სონა მარნიდან გამოვარდა და ბალის ბალახზე გასრიალდა.

ბრჭყვილა სირმა კი აქლარუნასავით ტაშს უკრავდა მას.

* * *

ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მათი სიყვარული ერთ ღამეს გაშლილ ნახ იასავით დაიბადა ბალებში, თივის ძნებთან თუ რუს ნაპირზე, ეს სიყვარული ნერცხალივით ჭიკჭიკებდა მანამ, ვიდრე მოწიფული გახდებოდნენ.

და აი ერთ დღეს პატარძლის პირბადით, ცრემლისაგან აწითლებული თვალებით და გაფითრებული სახით მეზობლის დიდ სახლში შეაბიჯა სონამ. ქორწილის შემდეგ ოთხი თვე გავიდა, როცა ისინი ბალების გზაზე მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. დილანომ გააჩერა ქალი, ჰკითხა ამბავი, სონამ ნაღვლიანად აიჩეჩა მხრები და სწრაფად გაშორდა მას.

რატომ მოვიდა ბალში? ან მარანში რა უნდოდა? იქნებ ეგონა, რომ იქ არავინ იყო? ძია დილანო ისე მოხუცდა, რომ ამ კითხვებში ვერ გაერკვა.

შემდეგ დილანო რამდენჯერმე მიუახლოვდა პატარძალს, მოიწადინა მასთან ლაპარაკი, მაგრამ სონამ გვერდი აუქცია.

— თავი დამანებე, დილანო, შენი გზით წადიო...

ამის შემდეგ მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ.

დილანო მხოლოდ ღამით დაბრუნდა სახლში. მან მთელი დღე იხეტიალა

დელის პირას, მეზობლის ბაღის გარშემო, წყაროზეც წავიდა, მოსახვევშიც გაჩერდა, მაგრამ სონა ვერსად ნახა.



მთვარიანი ღამე იყო, ცა მოწმენდილი, ცივი ნიავი უბერავდა, თივის ძნაზე ავიდა და იქ დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა.

გარიყრაყზე, როცა ვარსკვლავებს ფერი დაეკარგათ და ყვავილებმა გამოიღვიძეს, ხოლო ფორთოხლისფერ ქვიშნარს დილის ნამის მოციმციმე წვეთები მოეფინა, სოფლის გადაღმა მომიკლ ყანაში კაკაბმაც გაიღვიძა და გალობა დაიწყო. მას ტყის სიღრმიდან ციცარმა უპასუხა.

დილანო ძნიდან ჩამოცურდა, ჩახმახიანი თოფი მხარზე გადაიგდო და თავჩაღუნული გაჰყვა ბილიკს იქით, საიდანაც ციცარის ხმა ისმოდა.

ავერ გზის პირას გამოჩნდა ასკილის ბებერი ბუჩქი, ხოლო მის გვერდით დიდი ბრტყელი ქვა, რომელზეც მწყემსები ახლაც მარილსა ჰყრიან ცხერისათვის... ამ გზით თვითონ დასონაძნა ეზიდებოდნენ. — კალოდან წამოყვანილ ცხენებს აქ აჩერებდნენ. ის ჯერ სონას შესვამდა ხოლმე ცხენზე, შემდეგ თვითონ მოახტებოდა თავის ცხენს და ასე მიდიოდნენ ყანაში ძნის წამოსაღებად.

ერთხელ ორივენი ერთ ცხენზე შესხდნენ. წინ სონა იჯდა, უკან კი თვითონ. მას ერთ ხელში სადავე ეჭირა, მეორე კი გოგოს თხელ ტანზე შემოეხვია.

მეორე დღეს სონამ დილანოს უთხრა, დედამ სასტიკად დაძტუქსა და ბიჭთან ერთად ცხენზე ჯდომა ამიკრძალაო.

— რატომაო?

— იმიტომ რომაო, სირცხვილიაო, — უპასუხა ქალმა უმანკო ღიმილით.

დილანომ გზა განაგრძო. ერთ ადგილას იგი კვლავ გაჩერდა. ჩახმახიანი თოფს დაეყრდნო და ჩაფიქრდა. აქ ერთ ზაფხულს სონა ყანასა მკიდა, თითებს ეკლები ჩხვლევდა, ოფლში იწურებოდა და ოფლისგან დასველებული კაბა ტანზე ეკვროდა.

ნეტავი შეიძლებოდა, რომ ახლა თვითონ ყანას მკიდეს, სონამ კი საგზალო მოუტანოს და გვერდით მოუჯდეს.

დილანომ უკან მიიხედა, გზაზე არავინ მოჩანდა. მინდვრები დაცარიელებულიყო, აქა-იქ მხოლოდ ასკილის წითელი ბუჩქი ატუზულიყო.

უეცრად ერთი ბუჩქის მხრიდან გაისმა კაკბის ხმა. დილანო მოიხარა და ჩუმად მიუახლოვდა იმ ბუჩქს. კაკბები მომიკლ ყანაში ჩაცვივებულ მარცვალს კენკავენენ, ხტოდნენ, ხოლო გაზაფხულის ორი ბარტყი ერთი თავთავის გამო ნისკარტებით ჩხუბობდა.

დილანომ ცალ ფეხზე დაიჩოქა და თოფი დაუმინა. ამ დროს ერთმა მსუქანმა კაკაბმა კისერი წაიგრძელა და აქეთ-იქით დაიწყო მხერა. სხვები გაინაბნენ და ჩალაში ჩაიმაღნენ.

ნიავემა ბუჩქები ისე ააშრიალა, როგორც სონამ სიმინდის გრძელი ფოთლები... ამ შრიალის ხმაზე ფრინველები მყისვე აფრინდნენ. ჰაერში რამდენიმე წრე შემოავლეს და სხვა ადგილას დაემჯნენ.

იგი ისევ გზას გაუდგა. ბილიკი თანდათან ბუჩქნარში იკარგებოდა, ბუჩქნარს კი ტყე მოსდევდა. ტყისა და ყანების მიჯნაზე შიგადაშიგ გუშაგებივით იდგნენ მუხის ხეები: მოხრილი, მოგრეხილი ან ელვისაგან გადაჩეხილი.

* * *

დილანო ამ ტყეს კარგად იცნობდა. იცოდა, თუ სად ბუდობდა ციცარი ან რომელ კლდეებში იკეთებდნენ დათვები ბუნავს.

ტყეში აქა-იქ ქარის წაქცეული ასწლოვანი მუხა ეგდო, რომელზეც ათეო ამოსულიყო.

ის ჯერ კლდეებთან არ იყო მისული, როცა გაღმიდან თოფი შეხანზარდა. ჩაბნელებულ ბუნაგში ღამურა შეფრთხილდა.

ვინ უნდა ყოფილიყო? ეს ჩაბნახიანი თოფის ხმა არ იყო, ბერდანი კი სოფელში არავის ჰქონდა.

— ნეტავი ვინ ნადირობს? — გაიფიქრა მან.

ამ დროს დილანომ არც თუ ისე შორს ციცარი დაინახა, რომელიც ნისკარტით ფოთლებს ქეჭავდა. იგი ქვას ამოეფარა, დასამიზნებლად ეშხადებოდა, მაგრამ ციცარი უმალვე აფრინდა, მას მიჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე...

ფრთხილია ციცარი, ძნელია მისი მოკვლა. ზოგჯერ იმდენად მოგიახლოვდება, რომ ის-ის არის უნდა ესროლო, მაგრამ მონადირის ღრმა ამოსუნთქვაც კი საშიშროებას აგრძნობინებს და მიჰქრის ტყვიანზე სწრაფად.

დილანო საფრიდან გამოვიდა და კვლავ გზას გაუდგა. წყაროსთან მივიდა, წყალი დალია და ერთ დიდ ლელეს ჩაყვა.

ქვევით ბევრ ციცარს მოეყარა თავი... ერთი შავხალიანი ციცარი მზისაგან გამთბარ დახავსებულ ქვებზე დახტოდა, ნისკარტს უკაკუნებდა, დედლის გარშემო ფართატებდა.

დილანომ დაუმიზნა და, როცა ლულიდან ალი და კვამლი ამოვარდა, ხოლო თოფის ხმას ლელემ გრიალით უპასუხა, ფრინველები აფრინდნენ, ერთი მათგანი კი ჩამოვარდა და ბუჩქზე დაეცა. დილანო გაიქცა იმ ბუჩქისაკენ და შეამჩნია, რომ მას წამოეწია ერთი თეთრი ძაღლი. იგი და მეძებარი ძაღლი ერთდროულად დაწვდნენ გასისხლიანებულ ფრინველს, მაგრამ უცებ ციცარი აფრინდა, ხოლო მისი ორი ბუმბული შემოდგომის ყვითელი ფოთოლივით ტრიალ-ტრიალით დაბლა დაეცა.

კაცის ფეხის ხმა რომ გაიგონა, დილანომ უკან მიიხედა და დაინახა მისკენ მიმავალი განრისხებული ტყის მცველი, რომელმაც დაუყვირა: მე რომ ციცარი დაკვერი, შენ რატომ დამიფრთხეო.

ასეთმა ვერაგობამ დილანო დააბნია... ტყის მცველმა კი მას ყვირილით რამდენჯერმე მათრახი ზურგზე გადაუჭირა.

მეძებარი ძაღლი ხან პატრონს უყურებდა და კუდს აქნევდა, ხან დილანოს უღრენდა, ხანაც მოუსვენრად ყნოსავდა იმ ბუჩქს, რომელზეც წედან დაჭრილი ციცარი ფართხალედა.

როცა დილანო გონს მოვიდა, ტყის მცველი და ძაღლი უკვე წასულიყვნენ. მან თვალი გააყოლა მიმავალ ტყის მცველს და გაიხსენა ძაღლის წითელი ხახა...

დილანო ქვაზე ჩამოჯდა, მას ზურგი ეწვოდა, სახე ეკუმშებოდა, თვალის ძირი უხხურდა. უზომოდ დაღვრემილი დიდხანს ფიქრობდა და ციცრის ორ ბუმბულს დაჰყურებდა.

... ტყეში სიჩუმე სუფევდა, ჩამავალი მზე ღრუბლებს ეთამაშებოდა, დაჭრილი ციცარი შორს გაფრენილიყო. დახავსებულ ქვაზე ორი შავხალიანი ბუმბული ეგდო, ხოლო ბუჩქის გამხმარ ტოტებზე სისხლის წვეთები ჩანდა.

დილანო წამოდგა და ლელეს გაყვა. ის, რაც ახლა გადახდა, სიზმარივით ეჩვენებოდა, თვალის უპე და მათრახით დალურჯებული ზურგი სტკიოდა, ხოლო ფეხები ცოტა არ იყოს უკანკალედა.

დილანო სახლში არ დაბრუნებულა, ბაღში წავიდა, მარანში შევიდა და მიწურ იატაკზე დაწვა.

მას მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როდესაც დილის მზის სხივმა კარებზე დასტოვებული მარანში შეანათა.

იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ყურძენი დაწურა და სიცხარისაგან ვერ ამჩნევდა, რომ მის სახეზე ჩამოგორებული ოფლის წვეთები საწნახელში ცვიოდა.

* * *

მშვენიერი შემოდგომა იდგა...
ძია დილანო მარანთან კაკლის ძირში ჩამომკდარიყო და თავჩაქინდრული ფიქრობდა თავის თავგადასავალზე.

იმ შემოდგომის მომდევნო ზაფხულს სონა მშობიარობას გადაჰყვა. დედამ, ქმარმა და ნათესავებმა ბევრი იტირეს, იგლოვეს. განვლო დრომ და მისი ადგილი სხვა ქალმა დაიკავა.

დილანომაც ცოლი შეირთო, მაგრამ მესხიერებაში სამუდამოდ ჩარჩა სონა, მარანი, მოქარგული კაბა და ვერცხლის სირმები.

სოფლის გადაღმა გორაკის ფერდობზე სასაფლაოა. სონას სამარეს ხავსი მოსდებია, სამარის ქვაზე წარწერა მიწით დაფარულა, ხოლო თვითონ ქვა გადაფერდებულა და მიწაში ჩაფლულა.

სონა მოქარგული კაბით დამარხეს. უკვე დიდი ხანია, რაც დალბა მისი მოქარგული კაბაც და სანდომიანი სხეულიც...

იმ დღის შემდეგ რამდენი შემოდგომა გავიდა, ეს არ იცის, ის კი იცის, რომ იგი სიბერეს გაუტეხია, სიარულის დროს ჯოხს იშველიებს, ყურს დააკლდა. თვალი აღარ უჭრის, შემოდგომის ფერებს ვეღარ არჩევს.

მარნის წინ რუ მიჩუხჩუხებს. ძია დილანომ გახედა მას და გაიღიმა. მისი მესხიერების კუნჭულში ბნელ ცაზე ერთადერთი ვარსკვლავით გაიელვა იმ დღემ, როცა სონა რუს პირას იჯდა, წვივებს წყალში ათამაშებდა და იცინოდა...

შემდეგ მისმა ფიქრებმა ბილიკით ტყისკენ გასწიეს. იქ მას გასისხლიანებული ციცარი ხელიდან გაუფრინდა და ორი ბუმბული დაუტოვა. სონაც იმ ციცარსა ჰგავდა, ისიც ციცარივით გაფრინდა და დილანოს სევდიანი მოგონებანი დაუტოვა.

... ძია დილანო ადგა და მარნის კარებს რკინის ურდული გაუყარა, შემდეგ დაიხარა, გაჭირვებით წამოიკიდა ფიჩხის კონა და ბებრული ნაბიჯით ბაღის კარებისაკენ გასწია.

სომხურიდან თარგმნა მრ. სარძინიანმა.



ოსკარ უაილდი

ქველმოქმედი

დამე იყო და ის იყო მარტო.

მან თვალი მოჰკრა შორს, გალავანშემოვლებულ ქალაქს და იქითკენ გაეშურა. როცა ქალაქს მიუახლოვდა, მას შემოესმა მხიარული ხმები სიცილისა, მუსიკისა და ცეკვისა.

მან დაარაკუნა ალაყაფის კარებზე და, როცა გაუღდეს, დაინახა მარმარილოს სასახლე მარმარილოს სვეტებით, რომლებიც ყვავილწულეებით იყო მორთული, ხოლო კედლები ჩირაღდნებით განათებული.

მან გაიარა დარბაზები და, როცა მრუშობის დარბაზს მიაღწია, ჭაბუკი იხილა სარეცელზე, მას თმები ლამაზი ყვავილებით ჰქონდა შემკობილი, ხოლო ბაგეები ღვინისაგან გაწითლებული.

ის მივიდა ყმაწვილთან, შეეხო მხარზე და ჰკითხა:

— რატომ ცხოვრობ შენ ასე?

ყმაწვილი მიუბრუნდა, იცნო და უპასუხა:

— მე კეთიროვანი ვიყავ და შენ გამკუტრნე. მაშ როგორ ვიცხოვრო?

ის გამოვიდა სასახლიდან და ქუჩებში იწყო სიარული...

მან დაინახა სახეშეღებილი, თხელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ძვირფას მოსასხამმოხურული ყმაწვილი მოჰყვებოდა უკან. ქალი ლამაზ კერას მიაგავდა, ხოლო ვაჟის თვალები აღგზნებისაგან ელვარებდნენ.

ის ჩქარა მივიდა ყმაწვილთან, ხელი შეახო და ჰკითხა:

— რატომ უყურებ ამ ქალს ასე?

ყმაწვილი მიუბრუნდა, იცნო და უპასუხა:

— ბრმა ვიყავ და შენ გამკუტრნე. მაშ რად მინდა თვალები?

ის წინ გაიქცა, თხელკაბიან ქალს შეეხო და ჰკითხა:

— ნუთუ არ გაქვს სხვა გზა, გარდა ამ ცოდვით აღვსილი გზისა?

ქალი მიუბრუნდა, იცნო, გაეცინა და უპასუხა:

— ეს გზა წმინდაა, შენ შემინდე მე ცოდვები.

მან მიატოვა ქალაქი.

ქალაქიდან მიმავალს შემოხვდა ატირებული ყმაწვილი. ის შივიდა მასთან,
ვის გრძელ კულულებს შეეხო და ჰკითხა:

— რატომ ტირი შენ?

ყმაწვილმა თავი ასწია. იცნო და უპასუხა:

— მკვდარი ვიყავ. გამაცოცხლეთ და სხვა რა ვქნა, თუ არ ვიტყვით?

ქალაქიდან მიმავალს შემოხვდა ატირებული ყმაწვილი. ის შივიდა მასთან,
ვის გრძელ კულულებს შეეხო და ჰკითხა:
— რატომ ტირი შენ?
ყმაწვილმა თავი ასწია. იცნო და უპასუხა:
— მკვდარი ვიყავ. გამაცოცხლეთ და სხვა რა ვქნა, თუ არ ვიტყვით?

მ ო ძ ა ნ დ ა კ ე

ერთ საღამოს მისი სული შეიპყრო „წუთიერი განცხრომის“ შექმნის სურვილმა. და მან დაიწყო ბრინჯაოს ძებნა.

მას მხოლოდ ბრინჯაოზე შეეძლო ეფიქრა.

მაგრამ მსოფლიოში არსად არ იყო ბრინჯაო, გარდა იმისა, რომელითაც მან „მარადიული მწუხარება“ გამოსახა.

ეს ქანდაკება მან შექმნა თავისი სურვილით და საკუთარი ხელით დადგინოთი მისთვის ყველაზე უძვირფასესი არსების საფლავზე. რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უყვარდა.

მან დადგა საკუთარი ხელით შექმნილი ეს ქანდაკება. როგორც სიმბოლო აღამიანური სიყვარულისა, რომელიც არასოდეს კვდება. როგორც სიმბოლო აღამიანური მწუხარებისა, რომელსაც არა აქვს დასასრული...

მსოფლიოში კი აღარსად იყო ბრინჯაო, გარდა ამ ქანდაკებისა...

და მან აიღო თავისი შექმნილი შედეგები, შეაგდო დიდ ღუმელში და ცეცხლს მისცა...

და „მარადიული მწუხარებისგან“ მან „წუთიერი განცხრომა“ შექმნა.

ინგლისურიდან თარგმნა **მ. შარაიშვილმა.**



კახან სხივანიძე

მშვენიე ოქროს მაქიანელი

1886 წლის აპრილის ერთ მზიან დღეს სოფელ კინტრიშიდან მიმავალ შარაგზაზე ეტლი გამოჩნდა და გურჯილის საზაფხულო სასახლეს ჩაუარა. ეტლში მსხდომნი მიდამოს გულდასმით ათვალიერებდნენ. ერთი მათგანი გამოირჩეოდა ტიპური რუსული სახით, მოკლედ შეკრეჭილი წვერით და გონიერი სახით. მას თანამგზავრნი მოწიწებით ეპყრობოდნენ. ეს იყო ცნობილი რუსი ვაჭარი კონსტანტინე პოპოვი. იგი ნიადაგმცოდნე აგრონომთან ერთად დიდხანს ჩასცქეროდა მიწის გორიანებს და ხელის გულზე იფშენიდა, ხანგამოშვებით შეესიტყვებოდა თანამგზავრს, რომელიც მოწონების ნიშნად იღიმოდა.

პოპოვის ეტლი ბათუმის ოლქის უფროსის სამმართველოსთან შეჩერდა. ოლქის უფროსმა პეტერბურგიდან ჩამოსული დიდვაჭარი დაუყოვნებლივ მიიღო, საუბარიც მოკლე და საქმიანი იყო. პოპოვმა მას წარუდგინა დედაქალაქიდან გამოგზავნილი ქაღალდი, ითხოვა მცველები რამდენიმე დღით და თარჯიმანი — ადგილობრივ მიწის მფლობელებთან მოსალაპარაკებლად. გამოუყვეს მცველები და თარ-

ჯიმანი — ადგილობრივი მოხელის შვილი, ქართული ენის მცოდნე ივანე (ვანია) ალენიკოვი.

მეორე დღეს კონსტანტინე პოპოვი აგრონომისა და თარჯიმანის თანხლებით თამარის საყარაულო ციხე-გოდოლის „ბათომის“ ადმოსავლეთ მხრიდან მდინარე ყოროლისწყლის ხეობით აზიზიეს მთის კალთებს ათვალიერებდა. ნიადაგი და ადგილმდებარეობა უცხოეთში განათლებულმა პეტერბურგელმა აგრონომმა ძლიერ მოიწონა ჩაისათვის. თვით პოპოვი, სალიბაურის პეიზაჟით მოხიბლული, ლურჯთვალა ზღვას გარინდელი გასცქეროდა. იგი მოჯადოებულვით ბუტბუტებდა: „კარგია, დიდებულა!“

სალიბაურიდან ეტლმა ჩაქვისაკენ აიღო გეზი და ბეგ თავდგირიძის სახლისაკენ ყოროლისთავში გაემართა. გზაზე კურდღელი გამოხტა. მხლებელმა, ქობულეთელმა ასლან გოგობერიძემ, ჭაბუკობიდანვე მონადირემ თვალის დახამხამებაში დაახალა თოფი, ეტლიდან გადმოხტა და ნანადირევი ხელში აიტაცა. აგრონომმა განცვიფრებული თვალები პოპოვს შეანათა: დაინახეთ, ბატონო კონსტანტინე! ასეთ

მსროლელებს ევროპაში თვითნაბად რაინდებს უწოდებენ. ჩვენ პანსიონში საგანგებოდ გვასწავლიდნენ იარაღის ხმარებას, მაგრამ ასეთი რამ არ მინახავს.

გოგებრიძის თოფის ხმაზე ბევრ თავდგირიძის ეზოში კაკკასიურმა ქოფაკებმა გაბმული ყეფა ასტეხეს. ფოთლოვან ჭოკნარში ნეკერისათვის შეჩერებული ჭორბუდა ირემი დაფრთხა და ჭიუხებში გადაიხვეწა. თოფის სასროლი სამიზნოს მანძილზე ჩამოეგებნენ ეტლით მოსულებს კუთხის მფლობელის ბევრ თავდგირიძის მსახურნი. თავაზიანად მიესალმნენ მოსულთ და სასახლის ვრცელ ეზოში შეუძღვნენ. ეზოში კიბესთან იდგა შუახნის ტანკენარი, რაინდული გარეგნობის თავადი — მასპინძელი მამუკა თავდგირიძე. იგი ჩოხა-ახალუხში იყო გამოკვართული. ოქრო-ვერცხლით მოსევადებული მისი ქამარ-ხანჯალი და ხმალი მზის სხივებზე თვალის მომჭრელად ლაპლაპებდა. სასახლის ფართო აივანზე 45 წელს მიღწეული პირმშვენიერი გურიელის ასული კაკალა თავდგირიძისა გადმომდგარიყო. ისედაც ლამაზ თავს ნტიფი ქართული ჩიქილა უმშვენებდა. გვერდით ედგა სანაქებო თვალტანადი ოთხი ქალიშვილი, ერთი მეორეზე უკეთესი. ბევს მარცხნივ ედგა უფროსი ვაჟი 23 წლის დაუთ-დავითი, მარჯვნივ — ქალივით ტურფა ჭაბუკი ბეგის დისშვილი მემედი (შემდგომში მემედ-ბეგ აბაშიძედ წოდებული). ამ მშვენიერი სანახაობით მოხიბლული სტუმრები გაოცებული იდგნენ და ფეხს არ იცვლიდნენ. ბოლოს, სტუმრები უხერხულობიდან მასპინძელმა გამოიყვანა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — დახვეწილი რუსულით მიიპატიჟა სტუმრები თავდგირიძემ. — ქართველი კაცის სიხარული სტუმარია. გთხოვთ მობრძანდეთ.

ბევრ თავდგირიძის სასტუმრო დარ-

ბაზის ბრწყინვალეობამ სტუმრები მოხიბლა. არათუ დარბაზის კედლები, იატაკი და ჭერიც კი დიდებული თელი სახოვანი ნოხებიტაბაბ-სტენის ფაფუკი მატყლით ნაქსოვი ხალებით იყო მოფარდაგული. ჭერზე დიდი, ოქროცურვილი ჭალი ეკიდა, რომელსაც 13 სანათური ამშვენებდა. ჭალი რომ აანთეს, დარბაზს თავლის სურნელი მოეფინა. თარჯიმანი იმ დღეს არ დაჭირვებიათ. ბეგი თავდგირიძე თავისუფლად საუბრობდა სტუმრებთან რუსულ ენაზე. მან ხომ საოფიცრო სკოლა დაამთავრა თავის დროზე პეტერბურგში, ხოლო ქუთაისის პანსიონდამთავრებული ბეგის უფროსი ქალიშვილი გულნაზი ფრანგულ ენაზე ესაუბრებოდა განცვიფრებულ პეტერბურგელ აგრონომს.

მოლაპარაკება მალე დამთავრდა. ბეგმა პოპოვს მიჰყიდა 150 დესეტინა მიწა სალიბაურის მიდამოებში, ბე მიიღო და კმაყოფილმა სარეკომენდაციო წერილიც კი მიუწერა მოყვარე ჩაქველ ბეგ ბეჟანიძესთან. საქმიანი საუბრის დასასრულს მოყვა ქართული გამასპინძლებმა. სტუმრები მოიხიბლნენ ჩხავერისა და ალადასტურის ღვინით. პოპოვი ტუჩზე ჭიქას ვერ იცილებდა. სუფრას ამშვენებდა დიდებული ქართული ირმის მწვადები, ცვრიანი ჩაღაფაქები, ნასუქი დედლები და ყვერულები, ცივად მოხარშული და შემწვარი ჩაქვისწყლის და ქორხის შავწითელა ფორეჯიანი კალმახები. სუფრას ლაზათს მატებდა ჩონგურის ნაზი პანგები და გურიელის ასულის და მისი ქალიშვილების წკრიალა ხმა. ბიჭებმა ხორუმი რომ ჩაახვიეს, პოპოვმა ჯიბეზე ხელი იკრა და მჯილით ოქროს ფული მოცეკვავეებს ფეხებში მიაცაბრა. მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა არც ერთი არ დაიხარა ოქროს ასაკრეფად. სამაგიეროდ ბეგის გულუხვი ჯილდო თოფი, ცხენი თუ სამოსახლო მიწა სიამოვნებით მი-

იღეს. სტუმრებს კი მოახსენეს, სტუმრისაგან ფულს გურული და აჭარელი არ იკადრებს, ეს დიდი სირცხვილიაო. სტუმარს უსასყიდლოდ ვემსახურებით და მისგან მხოლოდ სამაგიერო მასპინძლობას ველოდებითო. ეს ქართველური წესი სტუმრებს ძლიერ მოეწონათ. მოსამსახურე ქალმა პირიში-სამ იატაკზე მოფანტული ოქროს ფულები აკრიფა, ხელმანდილზე მოაგროვა და პოპოვის მიართვა. პეტერბურგელი აგრონომი განცვიფრებული იცქირებოდა, ეს რა ხალხი ყოფილა, ქართველები ოქროს არაფრად აგდებენო. არანაკლებ განცვიფრდა პოპოვი, როცა, გაიგო კედელზე ჩარჩოში ჩასმული სურათები ბეგის ნათესავებისა კი არ იყო, არამედ ქართველთა მეფე ერეკლე მეორისა და XII საუკუნის პოეტის შოთა რუსთაველისა.

მეორე დღეს კ. ვ. პოპოვი ქობულეთელ ბეგებს ბეჟანიძესა და აღლარ ჭყონიას ეწვია, მათთან ერთად ჩაქვის ზღვის სანაპიროები დაათვალიერა, 250 დესეტინა მიწა მოზომა და მიითარჯა ბუქნარის ხევიდან აჭყვის მთის კალთების ფერდობებით სოფელ გორგაძეების დასახლებამდე, ხალის საზღვრამდე.

აპრილის ბოლოს ბათუმის ქუჩებში, კინტრიშისა და მთელი ოლქის სოფლების, აგრეთვე მეზობელი ოზურგეთისა და სენაკის მაზრების სოფლების „კანცელარიებში“ (სამამასახლისოებში) გააკრეს განცხადება, რომელსაც მოსახლეობა დიდი ინტერესით ეცნობოდა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დიდი ვაჭარი პოპოვი ჩაქვში აშენებს ჩაის პლანტაციებს და ესაჭიროება მუშახელი.

მაისის შუა რიცხვებში იმ ადგილას, სადაც მდინარე ჩაქვისწყალი ზღვას ერთვის, სახელდახელოდ აშენებული მუშათა საცხოვრებელი ყაზარმები იყო. ასეთივე ტიპის ყაზარმები მოჩანდა აგრეთვე სალიბაურის გორაკებზე. ჩაქვში ორი აგურის სახლის მშენებლო-

ბაც წამოეწყოთ. ჩაქვის მიდამოებს შორის ვალი ასეული მუშახელი შესეოდნ. აღრე დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდა ტყისა და ეკალბარდის მკაფავთა ცულების ხათქა-ხუთქი და მიწის მბარავთა შეხმატკბილებული სიმღერა „ელესა“. დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულიყო აქ მუშახელი ორიოდ გროშის საშოვნელად. პოპოვის მუშახელი მაინც არ ყოფნიდა, ახლა უფრო ვრცელი განცხადებები დააბეჭდვინა და გააკრევინა. აი ეს განცხადებაც:

„კინტრიშის უჩასტკის სოფელ ჩაქვში ბათომიდან ახლოს, პირველი გილდის ვაჭარი და „პლანტატორი“ კონსტანტინე პოპოვი აშენებს ჩაის პლანტაციებს. საჭიროა მუშახელი (მხოლოდ კაცები). დღიური მუშა ბარჯზე 60 კაპიკათ, ხე-ტყის და ბუჩქების ამოძირკვაზე 80 კაპიკი. შეიძლება სამუშაოს „აკორდათ“ აღებაც შეთანხმებით. მუშას საერთო საცხოვრებელში დასაწოლი ადგილი უფასოთ ეძლევა, ხოლო თან უნდა იქონიოს საკუთარი ლეიბი და საბანი, მჭადის გამოსაცხოები. შეშა ეძლევათ უფასოდ. იქვე არის გახსნილი დუქანი, სადაც მუშამ შეიძლება თავის ხარჯით იყიდოს პური კვირაში სამჯერ, ხმელი თევზი (ტარანი, ფარგა და ჭიბა), მარილი, ყველი, კრენტილი, ნავთი და თუთუნის და სხვა საწვრიმალე. დუქანში აგრეთვე კვირადღეს იყიდება ქინაქინის და ჩაის წამალი დასალევათ.

კონსტანტინე პოპოვი“.

(ქუთაისის გუბერნატორის ნებართვანი ბატონ კ. პოპოვისადმი. საქმე № 737. გვერდი 98).

გაზაფხულზე ნათესი ჩაის პირველი დესეტინები უკვე ლურჯმუქ ზურმუხტად ბიბინებდა. მომდევნო გაზაფხულზე კი ჩინეთიდან ჩამოვიდა კ. პოპოვის მიერ მოწვეული სპეციალისტი ლაო ჯონ-ჯაუ. პირდაპირ საკვირველი კაცი იყო. სულ მოლიმარი იცქირებოდა. ვერ

ქართული არ იცოდა და ქართველ მუშებს საქმეს მაინც მიახვედრებდა. თარჯიმან ვანია ალენიკოვთან საათობით დიდი ხის ძირში მიჯდებოდა და უბის წიგნაკში რაღაცეებს იწერდა. ერთ კვირაში აუცილებელი სიტყვები იცოდა, ცოტ-ცოტა ხელეხსაც მიაშველებდა, ვაიღიმებდა, სათქმელს იტყოდა და დინჯი ნაბიჯით თავისი ფილაკვანი ცხენით შემდგომი უბნისაკენ გასწევდა. თავისი საქციელით ყველას აკვირვებდა. უბრალო ნოქრები მუშას ხეირიანად სალამს არ აძლევდნენ და ეს ჩინელი, პოპოვის შემდეგ პირველი კაცი, მუშებს ძლიერ უყვარდათ. ოღონდ ეს იყო — ვერ იტანდა ზარმაცებს და ალკოჰოლის მოყვარულთ. ერთ საღამოს ვანია ალენიკოვმა მუშებს ახარა. ლაო ჯონ-ჯაუ აქ დასახლებას აპირებდა.

პლანტაციას ახალი ნარგავები და ნათესები ემატებოდა და ორი წლის წინანდელი პეიზაჟი სრულიად შეიცვალა. ეკალ-ბარდების ადგილას ნოხივით მოქარგული მწვანედ აბიზინებული ჩაის პლანტაცია ხასხასებდა. ლაო ჯონ-ჯაუ ქართულს საკმაოდ დაუფლებოდა. თუმცა სიტყვებს უცნაური კილოთი გამოთქვამდა. ჩაის გაშენება ისე შეასწავლა ქართველებს ი. ჯანუყვადეს, ე. ჟღენტს, ი. მგელაძეს, ა. თოიძეს, რომ ისინი დამოუკიდებლად უძღვებოდნენ ამ ახალ საქმეს.

ჩაის ფოთლის პირველ მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ჩაქვსა და სალიბაურში მთავრდებოდა ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი ფაბრიკების მშენებლობა.

1888 წელს სალიბაურისა და 1889 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკებმა გამოუ-

შვეს პირველი ქართული ჩაის პროდუქცია. თუმცა ეს პროდუქცია კ. პოპოვის საკუთრება იყო, იგივე პროდუქციად ისტორიულ ფაქტად დარჩა. პეტერბურგში მაღაზიების თაროებზე ჩინური და ინდური ჩაის გვერდით ელაგა და იყიდებოდა ქართული ჩაი.

ლაო ჯონ-ჯაუ როგორც კეთილსინდისიერი მშრომელი კაცი, ცხოვრობდა საკუთარ ოჯახში მახინჯაურისა და მწვანე კონცხის მიჯნაზე და განაგრძობდა ჩაის მრეწველობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ის ბოლომდე ერთგულად იღვწოდა ქართული ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის. მხოლოდ 1926 წელს — ქართველთა სიყვარულით აღსავსე, ჩაის მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის მკერდზე საბჭოთა ორდენით, რძლით — ნონა თუშმანიშვილით ქართველებთან საშეილიშვილოდ დამოყვრებული, საკმაოდ ხანდაზმული გაემგზავრა თავის სამშობლო ჩინეთში.

დროთა განმავლობაში დიდი ჩინელი ხალხის ღირსეული შვილის ლაო ჯონ-ჯოს და პროგრესული რუსი ვაჭრის კონსტანტინე პოპოვის ღვაწლით ჩაქვისა და სალიბაურის ვორაკებზე გაშენებული მწვანე ოქროს პლანტაციები აჭარის მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმრეტ წყაროდ გადაიქცნენ. აჭარის მეჩაიეებმა თავი ისახელებს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლით. ახლა ქართული ჩაი მეტოქეობას უწევს ჩინეთისა და ცეილონის ჩაის და, თუ დღეს ყველა საბჭოთა ოჯახის სუფრას ქართული ჩაი ამშვენებს, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის ღირსეულ ჩინელ მეგობარს ლაო ჯონ-ჯაუს.



გიგლა მებუკა

გალაკტიონ ტაბიძის ერთი დაუბეჭდავი
იუმორისტული ლექსი

გალაკტიონ ტაბიძის, ქართული პოეზიის დი-
დი გოლიათის, პოეტური შემოქმედება თავისი
მდიდარი შინაარსით და ენობრივი მრავალ-
ფეროვნებით ყოველთვის გამოირჩეოდა თანა-
მედროვეთაგან. იგი წერდა ლირიკულ ლექსებს,
ეპოპეა-პოემებს, მწვავე სატირულ ნაწარმოე-
ბებს და სხვ.

ჩვენთან დაცულია გალაკტიონის ერთი ხელ-

ნაწერად გავრცელებული, დღემდე დაუბეჭდავი
იუმორისტული ლექსი „სვინტრი“. იგი მან
ექსპრომტად დაწერა სახელმწიფო გამომცემ-
ლობის ერთ-ერთ განყოფილებაში, სადაც უამ-
ბეს, მწერალმა არისტო ჭუმბაძემ განმარტა,
რომ სვინტრი ბალახია იმერეთშიო. ეს სალა-
ლობო ლექსი ერთგვარი ამხანაგური შარჟია.
აი ეს ლექსიცი:

ს ვ ი ნ ტ რ ი

არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც პერეთში,
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც შერეთში,
არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,
სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.
უნდა შუბლით — ფიქრთა ნისლი გამერეკა,
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა,
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში.

გალაკტიონი, სახელგამი 1954 წელი.



სიფხვის გენიალური ოსვაჯი

ა. ჰ. ჩხეიძის დაბადების 100 წლისთავის გამო.

ყოველ ჰემარიტად დიდ მწერალს, როგორც წესი, რაღაც ახალი შეაქვს ლიტერატურაში და თვალსაჩინო გავლენას ახდენს მსოფლიო მწერლობის მთელ შემდგომ განვითარებაზე. ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი იმ დროს მოღვაწეობდა, როცა თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა გენიალური ტოლსტოი, როცა გატაცებით კითხულობდნენ დოსტოევსკის, ბალზაკს და სხვა გიგანტებს. და თითქოს შეუძლებელი ჩანდა მათ გვერდით ამოდგომოდა და რაიმე ახალი ეთქვა უბრეტენზიო ახალგაზრდა მწერალს. ჩეხოვი არც ფიქრობდა ამზე. იგი უბრალოდ წერდა. წერდა გულის კარნახით თუ დაკვეთით, მაგრამ მუდამ თავისებურად და აი მალე მის შესახებ აღაპარაკდა რუსეთი, შემდეგ კი მთელა მსოფლიოც. „ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, — წერდა გამოჩენილი ინგლისელი ბიკლეტრისტი ჯონ გოდსფორსი, — ჩეხოვი იყო ბევრი ქვეყნის ახალგაზრდა მწერლების ყველაზე ძლიერი მავნებელი“. და ეს ასეც იყო. ჩეხოვის მოთხრობა-წიგნელებს თარგმნიდნენ უცხო ენებზე, მის პიესებს დგამდნენ საზღვარგარეთის უდიდესი თეატრები, მის თხზულებებზე სწავლობდნენ და იზრდებოდნენ. საქვეყნოდ ცნობილ ინგლისელ დრამატურგ ბერნარდ შოუს არ დაუმალავს და პირდაპირ განაცხადა, რომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „დამსხვრეული გულების სახლი“ დაწერა ჩეხოვის უშუალო გავლენით და უკვე შემოქმედებითი მოწიფულობისას მოხიბლული იყო მისი დრამატურგიის ღირსებებით. ამ ძალას, ამ პოპულარობას ჩეხოვის შემოქმედება დადესაც ინარჩუნებს, იგი კვლავ განაგრძობს ცხოვრებას, ძლიერამოსილ მსგელობას.

ჩეხოვის, როგორც შემოქმედის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ შეეძლო თითქოს სრულიად უმნიშვნელო საყოფაცხოვ-

რებო მოვლენებში განეჭვრიტა ღრმა სოციალურ-პოლიტიკური აზრი. იგი ხატავდა პატარა ადამიანებს, მათს პატარა საქმეებს, მაგრამ მაინც აღწევდა დიდ საზოგადოებრივ განზოგადებას, სინამდვილის ერთი პატარა კუნჭულის განათებით თვალწინ წარმოგვიდგენდა მთელ ცხოვრებას მისი ძირითადი წინააღმდეგობებით. ამ გარემოებამ ზოგიერთს აფიქრებინა, თითქოს ჩეხოვი „მცირე საქმეებს“ ჯადაგებდა და მხოლოდ ვასართობ, თავშესაქცევ მოთხრობებს წერდა, რომელთა მნიშვნელობა არ სცილდებოდა მორალურ სენტენციებს და მიმართული არ ყოფილან იმდროინდელი რეჟიმის — შეღის თვითმპყრობელობის თვით საფუძვლების წინააღმდეგ. ჩეხოვის ღირსება კი სწორედ ის არის, რომ მას არა ჰქვს არც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომელიც მოკლებული იყოს სოციალურ შინაარსსა და ელერადობას. ასე რომ არ იყოს, იგი ვერ დაიკავებდა ესოდენ საპატიო ადგილს რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში, ვერ ვახდებოდა ხალხის ესოდენ საყვარელი მწერალი.

თუ ჩეხოვი პატარა ადამიანებს და მათს პატარა საქმეებს ხატავდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი გვერდს უვლიდა ეპოქის ძირეულ მოვლენებს, განზე იდგა მისი ძირეული პრობლემებისაგან. თვით ისეთი, ერთი შეხედვით, სრულიად „უვნებელი“ მოთხრობა, როგორიცაა „სევდა“, მკაფიოდ ცხადყოფს ამას. ეს მოთხრობა, როგორც ცნობილია, გვაცნობს მოხუც მეეტლეს, რომელსაც ერთადერთი ვაჟი გარდაცვლია და სურს ვინმეს გაუზიაროს თავისი დარდი, ვინმეს ესაუბროს, გული გადაუშალოს და ასეთ შემთხვევაში აუცილებელი თანაგრძნობა მიიღოს, მაგრამ ამოდ. მოხუცი მეეტლისა და მისი დარღისათვის არავის სცალია, მის მწუხარებას არავინ იზიარებს.

არც ფხიზელი და არც მოვრალი, ამხანაგიც კი, რომელსაც მასთან ერთად ერთ ოთახში სძინავს. და რაკი სათქმელმა არ მოასვენა, რაკი ადამიანებში ვერ პოვა თანაგრძნობა, უბედური მოხუცი იძულებული გახდა თავის ცხენს გასაუბრებოდა, მისთვის გაეზიარებინა მწუხარება. მისთვის ეთქვა სათქმელი. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩეხოვმა აქ მხოლოდ ამხილა და დაგმო ადამიანთა გულქეობა, დაგმო მათი გულცივიობა მოყვასის ზედრისხადმი. მაგრამ განა მარტო ამით დაყმაყოფილა იგი? რა თქმა უნდა, არა.

შეუძლებელია ამ მოთხრობის წამკითხველს არ დაებადოს სავსებით ბუნებრივი და კანონიერი კითხვა: რატომ ეყიდეზიან ასე უგულვლოდ ადამიანები მოხუც იონას, რატომ არაეინ თანაუგრძნობს მას, რატომ ერთ თბილ სიტყვასაც კი არაეინ იმეტებს მისთვის? პასუხი აშკარაა — იმიტომ, რომ ისინი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცხოვრობენ, სადაც ადამიანი მარტონდმარტოა, სადაც მოქმედებს ველური პრინციპი — „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“. მოხუცი მეეტლე არავის სჭირდება და მისი დარდიც გაუზიარებელი რჩება. ამა იგი მსხვილი მემამულე, ფაბრიკანტი ან ჩინოვნიკი ყოფილიყო, ვინ იცის, მაშინ რამდენი ნიანგის ცრემლი დაიღვრებოდა და ერთმანეთს შეეცილებოდნენ თანაგრძნობის სიტყვების გამოქებნა-ფრქვევაში, რათა ყურადღება მიექციათ და თუნდაც ერთი საფეხურით ამაღლებულიყვნენ კარიერის კიბეზე, თუნდაც სულ მცირე რამ გამორჩენოდნენ ამა ქვეყნის ძლიერთ. აქედან უკვე შორს აღარ არის დასკვნა: იმისათვის, რომ ადამიანები ადამიანურად ეყიდებოდნენ ერთმანეთს, იმისათვის, რომ ძირშივე მოისპოს საზოგადოებრივი ეგოისტური პრინციპი „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“, აუცილებელია გარდაიქმნას თვითონ გარემო, რომელიც მათ გულცივ ადამიანებს ზრდის, რომელიც მათ ეგოიზმისაკენ უბიძგებს და აიძულებს ყველაფერი დივიწყონ, გარდა პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვისა. ერთი სიტყვით, როგორც ამ შემთხვევაში ჩეხოვი იტყობა, ავადმყოფობას კი არ უნდა ვუმკურნალოთ, არამედ იმ მიზეზებს, რომლებიც მას წარმოშობენ.

უკვე ამ მოთხრობის ანალიზი ცხადყოფს ჩეხოვის შემოქმედების მეორე უმნიშვნელოვანეს თავისებურებას — იგი ერიდება პირდაპირ და უშუალოდ გადმოგვეცეს თავისი დამოკიდებულება მოქმედი პირობისა და თხზულებაში აღძრული პრობლემებისადმი. ავტორი თითქოს არასდ ჩანს, იგი თითქოს გულგრილად გვიყვება ამბავს, ზატავს მოვლენასა და ადამიანებს,

მაგრამ არ გვეძლევენს თავის თავს. ნახაჩურელი სჯიბით არ გვაწვდის დასკვნებს, რომ იმას ნიშნავს, რომ ჩეხოვის მოთხრობაში გასააკეთებელ მნიშვნელობას იძენს შემოქმედებამოლოდ მისი მეშვეობით შეუძლია მკითხველს ჩასწვდეს მწერლის ჩანაფიქრს, თხზულების იდეას და გამოიტანოს სათანადო დასკვნა, გარაკვიოს ვის მხარეზეა მწერალი, ვის თანაუგრძნობს იგი და ვის კიცხავს, ე. ი. რა უნდა თქვას. წერის ეს მანერა არანაკლებ მკაფიოდ ჩანს, ვიდრე მოთხრობაში „სედა“, ჩეხოვის სხვა თხზულებებშიც. ეგრძობ, ამ მხრივ ფრიად საინტერესოა სულ პატარა მოთხრობა „მალაღი სავფეხურისაკენ“. მისი შინაარსი ძლიერ უბრალო და მარტივია: სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგში ყოფნისას პროვინციელი წვრილი ჩინოვნიკი დოლობნოსოვი შემთხვევით მოხვდა საღამოზე თავად ფინგალოვთან. მისთვის გასაოცრად, აქვე აღმოჩნდა სტუდენტი-იურისტი შჩეპოტკინი, რომელიც წინათ მისი ბავშვების რეპეტიტორი იყო. რაკი სხვა ნაცნობი წვეულებაში ვერ ნახა, დოლობნოსოვი გამოემდგნაურა შჩეპოტკინს. გასაგებია, რომ იგი ქედმაღლურად მოეკიდა ყოფილ რეპეტიტორს, გაიკვირა, როგორ მოხვდა ასეთ საღამოზეოდა მთქნარებასაც კი არ მოერიდა მასთან, რითაც აგრძნობინა, თუ რა დიდი სხვაობა იყო მათ შორის. მაგრამ აი საუბრისას გამოირკვა, რომ თურმე შჩეპოტკინს დაუმთავრებია უნივერსიტეტი, საკმაოდ კარგი თანამედებობა უშოვია. შეურთავს დიდი ბობოლას ნათესავი და მისი მეშვეობით თავისუფლად ტრიალებს მაღალ წრეებში. როგორც კი ეს გაეგო, დოლობნოსოვი მყისვე შეიცვალა — მლიქენელურად დაუტება შჩეპოტკინს. ფეხქვეშ გაეგო მას და, ბოლოს, სადილადაც კი დაპატიჟა. ეს არის და ეს. მწერალი მეტს არაფერს ამბობს, არც არავის კიცხავს, არც არავის აქებს, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ჩეხოვი აქ თავს ესხმის ადამიანის ღირსების შეფასებას მარტო თანამედებობა-ნათესაობით და მკაცრად კიცხავს მლიქენელობა-გაიძვირობას. ამას მწერალი იმით აღწევს, რომ დოლობნოსოვს წარმოგვიდგენს ანტიპათიურ ადამიანად, რომელიც სხვებთან ურთიერთობას აგებს ცივ ანგარიშზე, ცხვართან მამაცია, ლომთან კი თვითონ ზდება ცხვარი. და ასეა ყოველთვის. ჩეხოვის პერსონაჟების რაობა მშვენიერად ჩანს თვითონ მათს საქციელში, მათს მოქმედებაში და იმის მიხედვით, თუ როგორ ზატავს ამა თუ იმ მოქმედ პირს, თავისუფლად შეგვიძლია განვსაჯოთ, ვის მხარეზეა მწერალი. რა სურს თქვას. აი ესოდენ დიდია ჩეხოვის



შემოქმედებაში ქვეტექსტის ძალა და მნიშვნელობა.

თავისთავად ცხადია, ქვეტექსტს ასეთი ძალა და მნიშვნელობა შეუძლია მისცეს მხოლოდ დიდმა მხატვარმა, რომელიც სრულყოფილად ფლობს ხატვისა და ჩვენების ხელოვნებას, უნარი შესწევს ღრმად ჩასწვდეს ადამიანის სულს, მის ფსიქოლოგიას. და მართლაც, რა სოციალური წრის ადამიანსაც არ უნდა ხატავდეს, რა მოვლენასაც არ უნდა გვიჩვენებდეს ჩეხოვი, იგი ყოველთვის გეზიბლავს ადამიანის შინაგანი ბუნების გასაოცარი ცოდნით და მისი გადმოცემის სიმართლითა და სიზუსტით. ჩეხოვი იმდენად ზედმიწევნით კარგად იცნობდა ადამიანებს, რომ შეეძლო მათში დაენახა არა მარტო მთავარი და ზოგადი, რითაც ისინი ერთმანეთს გვანან, არამედ მკვეთრი ინდივიდუალური თვისებებიც, სულ მცირე ფსიქოლოგიური ნუანსებიც კი. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი იყო როგორც ტიპიზაციის, ისე კონკრეტიზაციის ბრწყინვალე ოსტატი. ამით აიხსნება ჩეხოვის თხზულებათა პერსონაჟების საკვირველი მრავალფეროვნება. ისინი მაშინაც კი არ ემთხვევიან ერთმანეთს, როცა ერთ რომელიმე გარკვეულ სოციალურ წრეს ეკუთვნიან ან ხასიათის ერთ რომელიმე თვისებას გამოხატავენ. მშვიშარა და მხდალია ჩინოვნიკი ჩერვიაკოვიც და ცნობილი ბელიოვიც. მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ორივე თავისებურად მშვიშარა და მხდალია. მლიქვნელია დოლბონოსოვიც და წვრილი მეგობარიც („ჩინოვნიკის სიკვდილი“). მაგრამ თავისებურად მლიქვნელი ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჩეხოვის გლეხები, ვაჟრები და სხვა სოციალურ ფენათა წარმომადგენლები.

ჩეხოვი არა მარტო ხელადავ ადამიანთა ხასიათის საერთო და ყრძო ნიშნებს, არამედ ამასთან ერთად უბოლო ოსტატობით ვადმოგვეცემდა მათ. მან კარგად იცოდა, რომ ადამიანები თავიანთ ხასიათს აშკლავებენ სხვებთან ურთიერთობაში, საზოგადოებრივ თუ სხვა საქმიანობაში და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სწორედ მათი საქციელის, მათი მოქმედების ჩვენებას. იგი ხატავდა ამა თუ იმ პერსონაჟის მოქმედებას და ამით ხსნიდა მის ხასიათსაც, გვიჩვენებდა რას წარმოადგენდა იგი, როგორც პიროვნება. მაგრამ სხვა მწერლებისაგან განსხვავებით, ჩეხოვს აინტერესებდა პერსონაჟთა არა მთელი ცხოვრება, რომელიც ცალკეულ მოქმედებათა ერთგვარ კომპლექსს წარმოადგენდა, არამედ მისი მხოლოდ ერთი რომელიმე, არსებითი და დამახასიათებელი ეპიზოდი და მარტო ამ ეპიზოდს

გადმოგვეცემდა. ამის გამო მწერალი უნდა თხრობს მოქმედ პირობა თავდასასრულს, როგორც იკავებს მათი ვრცელი დახასიათებისათვის პერსონაჟთა რაოდენობაც მინიმუმს. ამასთანავე, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩეხოვი ხასიათს გვაცნობს ე. წ. „სტატუტურ მდგომარეობაში“, ე. ი. მოთხრობის მანძილზე იგი არც იცვლება და არც ვითარდება. მწერალი კმაყოფილდება უკვე ჩამოყალიბებული ხასიათის ასახვით, პერსონაჟის მოქმედებაში მისი გამოვლენების ჩვენებით. ასე, მაგალითად, ჩვენ არ ვიცით ჩერვიაკოვის („ჩინოვნიკის სიკვდილი“) წარსული, მაგრამ ეს არც არის საჭირო — ისედაც ნათელია, რას წარმოადგენს არა მარტო ის, არამედ თვითმპყრობელური რეჟიმიც, რომელიც ასეთ შიშს უნერგავდა ადამიანებს და სულიერად ასე აბეჩავებდა მათ.

რაკი ჩეხოვი მოთხრობას ერთ-ორ ეპიზოდზე აგებს, მისთვის უკვე სიუჟეტს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. სიუჟეტმა, როგორც ცნობილია, ერთ მოთხრობაში უნდა წარმოგვიდგინოს პერსონაჟისა თუ პერსონაჟთა მოქმედებანი, ბუნებრივად დაუკავშიროს ისინი ერთიმეორეს, რათა მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს ადამიანის სულიერი განვითარების მთელი ისტორია. მაგრამ რამდენადაც ჩეხოვის მოთხრობებში აბც ბევრი მოქმედი პირობა და არც მოქმედებათა კომპლექსი, მისი, სიუჟეტის, როლი მკვეთრად მცირდება. მკითხველი უნდა დააინტერესოს არა ინტრიგამ, არა სიუჟეტმა, არამედ თვითონ მოქმედებამ, რომელშიც შედგენდება პერსონაჟის ხასიათი. ამიტომ მწერალს მთელი ყურადღება გადააქვს ასახავი ეპიზოდის შერჩევასა და მოქმედების სრულყოფილად ჩვენებაზე. აქ იღებს სათავეს ჩეხოვის სტილის ერთი შეტად მნიშვნელოვანი თავისებურება — გასაოცარი ლაკონიზმი. პერსონაჟთა საქციელს, ფიქრებსა თუ გრძნობებს მწერალი პირდაპირ უკავშირებს მოქმედებას და ყველაფერს, რაც უშუალოდ არ ემსახურება მოქმედების ჩვენებას, გადაჭრით უუშავდებს. როგორც სავსებით ზედმეტს, „წერის ხელოვნება, — ამბობდა ჩეხოვი, — ეს არის შეკვეცის ხელოვნება“. შეკვეცა კი იმას ნიშნავს, რომ არაფერი ზედმეტი არ დატოვო მოთხრობაში, უღმობლად წაშალო კველაფერი, რაც საჭირო და აუცილებელი არ არის. ამრიგად, ნიჟიერად წერა, ჩეხოვის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა მოკლედ, სხარტად წერა. აი რატომ არის, რომ მის მოთხრობებში ასე იშვიათად გხვდებით აღწერებს და თხრობაც მინიმუმამდეა შეზღუდული, მწერალი ამჯობინებს კი არ მოგვითხროს,

არამედ გვიჩვენოს. ამ გზით ჩეხოვმა მოა-
წია ასახვისა და თქმის უკიდურეს ეკ-
ნომიას და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას,
რომ ის, რის გადმოსაცემად ზოგიერთ მწე-
რალს მთელი რომანიც კი არ ყოფნის, მას
შეეძლო მოეთესებინა ორ-სამგვერდიან მოთ-
ხრობაში. ასე შექმნა დიდმა რუსმა ჰჟერალმა
ახალი ტიპის მოთხრობა, რომელიც არც ანა-
ლიზის სიღრმით და არც ტიპიზაციის დონით
არ ჩამოუვარდება ამბავს თუ რომანს და
ეპიკური თხრობის სიმილზეც დგას.

საგულისხმოა, რომ ჩეხოვის ენა არა მარტო
უძარცხად ლაქონიურია, არამედ უძარცხად
მდიდარი და მოავალფეროვანიც. მოკლედ
წერა, მაშასადამე, სრულიადაც არ ნიშნავს
ენის სიღარიბესა და სიმშრალეს. პირიქით,
გაძლიად, ვიჭიანურებულად და მშრალად
იგი წერს, ვინც როგინად ვერ ფლობს მშობ-
ლიური ენის სიმდიდრეს, ვინც ვერ სწავლება
ნის სიღრმეს და მხოლოდ ზედაპირზე დაყო-
ცავს. ჩეხოვის ენის სიმდიდრე და მრავალ-
ფეროვნება განსაკუთრებით კარგად ჩანს
დილოგში, რომელიც მწერლის მთავარი
იარაღია. სწორედ მისი შეშველობით გადმო-
გვეცემს იგი ძირითადად პერსონაჟთა ფიქრებსა
და გრინობებს. ამასთან ოსტატურად იყენებს
მას მოქმედი პირების თვითდახასიათებისათვის.
თერთულ მათგან იმდენად თავისებური
ლექსიკა, იმდენად თავისებური მეტყველება
აქვს, რომ უკვე ამის მიხედვით შეგვიძლია
შეუძმდარად ვთქვათ, თუ რომელ სოციალურ
წრეს ეკუთვნის ესა თუ ის პერსონაჟი, რას
წარმოადგენს იგი როგორც ადამიანი, რო-
გორც პიროვნება. ენის, მეტყველების ასეთი
ინდივიდუალუზაცია უკვე თავისთავად მო-
წმობს, თუ რა შესანიშნავად ფლობდა ჩეხოვი
მშობლიურ რუსულ ენას, რა ბრწყინვალე
სტილისტი იყო იგი, რასაც სავანგებოდ აღნი-
შნავდა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ
გორკი. „როგორც სტილისტი. — წერდა
იგი, — ჩეხოვი მიუწევდომელია. და ლატერა-
ტურის მომავალი ისტორიკოსი, როცა შეეხება
რუსული ენის განვითარებას, იტყვის, რომ
ეს ენა შექმნეს პუშკინმა, ტურგენევმა და ჩე-
ხოვმა“.

არანაკლებ დიდი ნოვატორი იყო ჩეხოვი
დრამატურგიაშიც. თავის პიესებში იგი
ცოცხალ სინამდვილეს ასახავდა ცხოვრების
წერტილმან, შედარებით უმნიშვნელო მოვლენ-
ნათა ფართო სოციალურ-ფილოსოფიური გა-
აზრებით, ამასთან კონფლიქტი გადაიტანა
თვით პერსონაჟთა შინაგან სულაერ სამყა-
როში, მაგრამ ისე, რომ მოქმედ პირებს გამო-
ეხატათ ადამიანთა მასა, საიდანაც ისინი გა-

მოვიდნენ“. ამავ დროს მან გააძლიად
დაარღვია ზოგიერთი დრამატურული ტრა-
პიი. კერძოდ, ჩეხოვმა შესაძლებლად მიიჩნია
დრამატულისა და კომედიურის შექმნა ერთ
პიესაში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეი-
ტანა დრამატურული ხელოვნების განვითარ-
ებაში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ
მხრივ „ალუბლის ბაღი“, რომელსაც სამარ-
თლიანად უწოდებენ ლირიკულ კომედიას, სო-
ციალურ ულდეილს. იგი ტიპური ჩეხოვისე-
ბური პიესაა, სადაც ერთმანეთს ერწყმის
ორი საწყისი, ორი მოტივი — კომედიური და
ლირიკული. ასეთი შერწყმა განსაზღვრა თვით
პიესის შინაარსში, მისმა ძირითადმა იდეამ.
როგორც ცნობილია, „ალუბლის ბაღში“ მწე-
რალმა არა მარტო დასცინა ძველს, არამედ
ამავე დროს სიხარულით მიეგება იმ ახალს,
რომელიც შორს აღარ იყო და კარებს უკა-
კუნებდა. სწორედ ამიტომ კომედიურთან
ერთად პიესაში მჭავერად სცემს ლირიკული
მოტივებიც. კომედიური აქ სათავეს იღებს
იმ ძველში, რომელმაც უკვე მოჭამა თავისი
დრო, ხოლო ლირიკული საწყისი — ეს არის
ახალი რუსეთის, ახალი ცხოვრების ხმა.

ჩეხოვის, როგორც მხატვრის, დახასიათებ-
ისას არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე ერთი
მეტად საყურადღებო ვარემოება — იგი იყო
დრამად ეროვნული მწერალი, რომელიც შეუ-
ძარბელი ოსტატობით ასახავდა რუსულ
სინამდვილეს და რუს ადამიანებს. მას არა
აქვს არც ერთი ისეთი ნაწარმოები, სადაც
მკაფიოდ არ ჩანდეს, რომ იგი რუსი მწერ-
ლის კალამს ეკუთვნის და რომ მისი პერსო-
ნაჟები რუსი ადამიანები არიან. რა თქმა
უნდა, ჩეხოვი შორს იდგა რაიმე ეროვნულ
კარჩავეტილობისა და შეზღუდულობისაგან და
ეროვნულ სრულიადაც არ ჩედავდა მხოლოდ
ტანსაცემლსა ან მეტყველების სპეციფი-
კაში. ჩეხოვის შემოქმედების ეროვნული
ხასიათი უბრველეს ეკოლისა თავს იჩენს
მასალის, პრობლემის შერჩევა-გადაწყვეტასა
და რუსი ადამიანების სულიერი სამყაროს
თავისებურებათა ჩვენებაში. რასაკვირველია,
ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დიდი
რუსი მწერალი უგულუბელყოფდა ზოგად-
ადამიანურს. პირიქით, ეროვნულ სპეციფიკის
საზგასმათ იგი კიდევ უფრო რელიეფურად,
კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებდა არა მარ-
ტო იმას, რითაც რუსი ადამიანები განსხვავდ-
ებიან, ვთქვათ, ფრანგებისაგან, არამედ იმასაც,
რითაც ისინი ერთმანეთს გვანან. ამდენად,
ზოგად-კაცობრიულისა და ეროვნულის ურთი-
ერთობა ჩეხოვის შემოქმედებაში წარმოგად-
გება როგორც საერთოსა და კერძოს ურთი-

ერთობა. მოთხოვნაში „გლეხები“ მას რომ ასე სრულყოფილად არ დაეხატა სწორედ რუსი გლეხები. მაშინ, თავისთავად ესაღია, ვერც იმ ზოგადს ვეჩვენებდა, რაც საერთოა გლეხობისათვის. მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა. ასე იქცეოდა და იქცევა ყველა ჰეგემონობის დიდი ხელოვანი საერთოდ და ამით აიხსნება, რომ ჩეხოვის მოთხოვნის „გლეხები“ პერსონაჟები ასე ძლიერ გვანან ბალზაის ამავე სახელწოდების რომანის პერსონაჟებს და ამავე დროს მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რასაც ზოგიერთ სხვა გარემოებასთან ერთად განაპირობებს მათი ეროვნული თავისებურებანი.

აი ასეთი დიდი მხატვარი იყო ა. პ. ჩეხოვი, რომელმაც გაბედულად უკუაგლო ბევრი რთავსებული ტრადიცია და მკაცრად გაილაშქრა ყოველგვარი შტამის წინააღმდეგ. მან მშვენიერად იცოდა, რომ მწერალი მუდამ უნდა იდგეს ეპოქის დონეზე და რაც შეიძლება სრულად აკმაყოფილებდეს მკითხველის მოთხოვნებს, მის სულიერ ინტერესებს. სწორედ ეს მისწრაფება ედო საფუძვლად ჩეხოვის ნოვატორულ ძიებებს. იგი ითვალისწინებდა ახალი, დემოკრატიული მკითხველის მოთხოვნას, რომელსაც წყურთა ლიტერატურაში ეხილა არა „ტრაგიკულად ზეაწუთი“ და უჩვეულო, არამედ ჩვეულებრივი და ყოველდღიური ცხოვრება. გამოსახდა რა ასეთ ცხოვრებას, ჩეხოვი ფიქრობდა, რომ ძველებურად წერა აღარ შეიძლებოდა. „სცადეთ ახლა გადაიკითხოთ ახლა პისემსკი ან ოსტროვსკი და თქვენ დაინახავთ რამდენად დაძველებულია ახლა ყველაფერი ეს“. მაშინადაც, ჩეხოვი იმიტომ ეძებდა გამოსავლის ახალ ხერხებსა და საშუალებებს, რომ მოკიდა ახალი მკითხველი, რომ დადგა ახალი ცხოვრება, რომელმაც მოიტანა ახალი შინაარსი, ხოლო ახალი შინაარსი გარდუვალად მოითხოვს ახალ ფორმას. ჩეხოვის უდიდესი დამახინჯრება სწორედ ის არის, რომ მან მიაგნო ახალი შინაარსის შესაბამის ფორმას და მსოფლიო ლიტერატურა გაამდიდრა არა ერთი სიახლით, ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას.

ახლა ყველა აღიარებს, რომ დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის შემოქმედება მთელი

მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის კუთვნილებაა. რასაც, სხვათაშორის, ექვტივი მოწმობს, რომ არ დარჩენილა რიტყმის არც ერთი ქვეყანა, სადაც ფართოდ და სწავლით არ აღენიშნათ მისი დაბადების ასი წლისთავი. ასეთი მაღალი დაფასება, ესოდენ თვალსაჩინო და საბატო ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში ჩეხოვმა იმით მოიპოვა, რომ მთელი თავისი უდიდესი მხატვრული ნიჭი მთლიანად მოახმარა ხალხის ბედნიერებისთვის ბრძოლას და, მიუხედავად ავადმყოფობისა და მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმისა, პატიოსნად და უნგაროდ ასრულებდა მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის პასუხსაგებ მოვალეობას. ლიტერატურა მისთვის იყო ხალხის გამოფხიზლებისა და აღზრდის, უკეთესი ცხოვრებისათვის მისი მკიდროდ დარაზების მძლავრი იარაღი. „მე მინდოდა, — ამბობდა იგი, — მხოლოდ პატიოსნად და გულწრფელად მეტყუა აღამიანებისათვის: შეხედეთ თქვენს თავს, შეხედეთ, თუ როგორ ცუდად და მოსაწყენად ცხოვრობთ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ აღამიანებმა შეიგნონ ეს, ხოლო როცა ამას შეიგნებენ, ისინი აუცილებლად შექმნიან სხვა, უკეთეს ცხოვრებას. მე მას ვერ მოვესწრები, მაგრამ ვიცი, რომ ის სწავნაირი იქნება, არ ემსგავსება იმას, რაც არის. და სანამ ის არის, მე კიდევ და კიდევ ვებტვი აღამიანებს: გაიგეთ, როგორ ცუდად და მოსაწყენად ცხოვრობთ თქვენ“. და რაც უფრო ახლოვდებოდა რუსეთის პირველი რევოლუცია, რაც უფრო თვალსაჩინოდ იგრძნობოდა რევოლუციური ჭარბის მთავრობა, ჩეხოვი მით უფრო იმსჯელებოდა „უკეთესი ცხოვრების“ გარდუვალი დადგომის რწმენით და სიხარულით მიესალმებოდა მას: „გამარჯობა, ახალი ცხოვრება!“.

ეს ახალი ცხოვრება, რომლის მოახლოებას და დამკვიდრებასაც მოახმარა თავისი შეგნებული სიცოცხლე ა. პ. ჩეხოვმა, დადგა და მადლიერი საბუთოა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მუდამ უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებს თავის ღვიძლ შვილს, სიტყვის გენიალურ ოსტატს, სახელოვან მწერალს, რომელმაც გაბედულად უმღერა მსოფლიოს განახლებას, პროგრესსა და დემოკრატისა.

0. შაშიბაქაი.



ანონს ჩიხოვი

ს ტ უ მ ა რ ი

კერძო რწმუნებულ ზელტერსკის ძილი ერეოდა და თვალეზი ებლიტებო-
და. გარემო ბინდით იყო მოცული. ქარი ჩადგა, ფრინველთა გუნდი მიყუჩდა,
ნახირი ბალახზე მიწვა. ზელტერსკის ცოლი დიდი ხანია წავიდა დასაძინებლად,
შინამოსამსახურესაც ეძინა. მარტო ზელტერსკი ვერ მიდიოდა საწოლ ოთა-
ხში, თუმცა თვალის ქუთუთოები ტყვიასავით დაუძძიმდა. საქმე ის იყო, რომ
მასთან სტუმრად მოვიდა მეზობელ აგარაკზე მცხოვრები გადამდგარი პოლკო-
ვნიკი პერეგარინი. რომ მოვიდა სადილის შემდეგ და ჩაჯდა სავარძელში, აღარ
ამდგარა, თითქოს მიეწებაო იმ ადგილს, იჯდა და ხრიხწიანი ჯუჯლუნა ხმით
უამბობდა, თუ როგორ უკბინა მას ცოფიანმა ძალმა ქ. კრემენჩუგში 1842
წელს. გაათავა ამ ამბის მოყოლა და კიდევ თავიდან დაიწყო. ზელტერსკი სასო-
წარკვეთილებას მიეცა. რას არ აკეთებდა, რომ სტუმარი როგორმე თავიდან
მოეშორებინა. ხან წამდაუწუმ საათს შეჰყურებდა, ხან თავს იტყებდა, ხშირად
გადიოდა იმ ოთახიდან. სადაც სტუმარი იჯდა, მაგრამ არაფერი შველოდა.
სტუმარი ვერაფერს ამჩნევდა და განაგრძობდა ცოფიანი ძალის ამბავს.

„ეს ბებრუხუნა, ალბათ, დილამდე აპირებს აქ ჯდომას! — ბრაზობდა ზელ-
ტერსკი. — რა ბრყვია! თუ ჩვეულებრივი გადაკვრით ნათქვამი არ ესმის, უფ-
რო უხემ ხერხს უნდა მივმართო“.

— მომისმინეთ, — უთხრა მან სტუმარს ხმაძალა, — იცით რითი მომ-
წონს აგარაკზე ყოფნა?

— რით?

— იმით, რომ აქ შეიძლება რეჟიმით იცხოვროს კაცმა. ქალაქში ვერ დაი-
ცავ განსაზღვრულ რეჟიმს, აქ კი პირიქით. ცხრა საათზე ვდგებით, სამზე ვსა-
დილობთ, ათზე ვვახშმობთ, თორმეტზე უკვე გვიძინავს. მე თორმეტზე ყოველ-
თვის ლოგინში ვარ. ღმერთმა დამიფაროს ამაზე გვიან დავწვე: მეორე დღეს
შაკიკი ამივარდება!

— ნუ მეტყვით!.. ვინ როგორ არის მიჩვეული. იცით, მე მყავდა ერთი ნა-
ცნობი, ვინმე კლიუშკინი, შტაბის კაპიტანი. მე ის გავიცანი სერპუხოვში. და
აი ეს კლიუშკინი...

და პოლკოვნიკმა ენისკიდებით, ტუჩების ცმაცუნით და მსუქანი თორმეტის აქეთ-იქით ქნევით დაიწყო კლიუშკინის ამბავი. უკვე თორმეტი საათია, მიიწევს პირველის ნახევრისაკენ. ის კი სულ ჰყვება და ჰყვება იმავე ზელტერსკი ოფლში იწურება.

„არ ესმის! ტუტუცი! — ბრაზობდა იგი. — ნუთუ ჰგონია, რომ მისი სტუმრობა დიდად მსიამოვნებს? რა ვქნა, როგორ მოვიშორო თავიდან?“

— მომისმინეთ, — გააწყვეტინა სიტყვა მასპინძელმა პოლკოვნიკს, — როგორ მოვიტყე? საშინლად მტკივა ყელი! რაღაც ეშმაკად დღეს დილით ერთ ნაცნობთან შევიარე. ბავშვი მას ხუნაგით ჰყავს ავად. ალბათ, მეც გადამედო. ვგრძნობ, რომ ხუნაგი მჭირს!

— არის ხოლმე ასეთი შემთხვევა! — წყნარად წაიდუღუნა პერეგარინმა.

— ეს ავადმყოფობა საშიშია! გარდა იმისა, რომ მე თვითონ ვარ ავად, წემიძლია სხვასაც გადავდო. ძალიან გადამდები ავადმყოფობაა! თქვენც არ გადავდოთ, პართენ სავიჩ!

— მე-ე? ხე-ხე! ტიფის ჰოსპიტალში მიცხოვრია და არაფერი ვადამდებია, რაღა თქვენგან გადამდება? ხე-ხე... მე, ჩემო კარგო, ძველ ჯირკს, ავადმყოფობა ვერაფერს დამაკლებს. მოხუცები გამძლენი ვართ. ჩვენს ბრიგადაში ერთი მოხუცი პოდპოლკოვნიკი ტრებიენი იყო... ეროვნებით ფრანგი. აი ეს ტრებიენი...

და პერეგარინი ახლა ტრებიენის სიცოცხლისუნარიანობის ამბავს შეუდგა. საათის ზარმა პირველის ნახევარი ჩამოჰკრა.

— ბოდიში, სიტყვას გააწყვეტინებთ. პართენ სავიჩ, — დაიკვნესა ზელტერსკიმ, — რომელ საათზე წვებით დასაძინებლად?

— ხან ორზე, ხან სამზე, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სულაც არ ვწვები, მეტადრე როცა კარგ საზოგადოებაში ვარ. ან თუ რევემატიზმი შემაწუხებს. დღეს, მაგალითად, ოთხ საათზე დავწვები. რადგან სადილის შემდეგ კარგად გამოვიძინე. მე შემიძლია სულაც არ ვიძინო. ომის დროს თითო კვირაობით ვერ ვწვებოდით. იყო ასეთი შემთხვევა. ვიდრე ახალციხის მახლობლად...

— ბოდიში, მე, მაგალითად, ყოველთვის თორმეტ საათზე ვწვები. ვდგები ცხრა საათზე და ძალაუნებურად ადრე უნდა დავწვი ხოლმე.

— რასაკვირველია, ადრე ადგომა ჯანმრთელობისათვის კარგია. ჰოდა... ვადექით ახალციხესთან...

— ეშმაკმა წაიღოს. მაყრიალებს. ხან სიცხეს მაძლევს, ყოველთვის ასე უცი შეტევების წინ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგჯერ ბნელა მომდის ხოლმე ასე, დამის პირველ საათზე... დღისით არა მაქვს შეტევები... უცებ თავში რაღაც გამიფუფუნებს — ყყყ... მე ვკარგავ გრძობას, წამოვხტები და ყველაფერს აქეთ-იქით ვყრი, ვესვრი ჩემიანებს, რაც კი ხელთ მომხვდება — დანას, სკამს თუ სხვა რამეს. ახლაც მაყრიალებს. ალბათ, შეტევა მეწყება, ყოველთვის ამ ყრიალით იწყება.

— მართლა? უნდა იმკურნალო!

— ვიმკურნალე, ვერაფერმა მიშველა... იძულებული ვარ, ყველა ჩემიანი ან სტუმარი გავაფრთხილო ხოლმე, რომ წავიდნენ, მკურნალობას დიდი ხანია დავანებე თავი...

— ხმ... რანაირი ავადმყოფობა არ შეგხვდება კაცს ქვეყანაზე! ჭირი, ხო-

ლერა და სხვა შეტევა... — პოლკოვნიკმა გააქნია თავი და დაფიქრა, სრულზე ჩამოვარდა.

„მოდი ჩემს ნაწარმოებს წაეუკითხავ, — გაიფიქრა ზელტერსკიმ, — ლაც მიგდია ერთი რომანი. ოდესღაც გიმნაზიაში ვწერდი... იქნებ მან გამიწიოს სამსახური...“

— ჰო, მართლა, — დაარღვია ზელტერსკიმ პერეგარინის ფიქრები, — ხომ არ გინდათ წაგიკითხოთ ჩემი ნაწარმოები? როგორღაც თავისუფალ დროს ვწერდი... რომანია ხუთ ნაწილად, პროლოგით და ეპილოგით...

ზელტერსკიმ აღარ დააცალა სტუმარს პასუხი, წამოხტა და მაგიდიდან ამოიღო ძველი გაყვითლებული ხელნაწერი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „მკვდარი ზვირთი. რომანი ხუთ ნაწილად“.

„ახლა, ალბათ, წავა, — ოცნებობდა ზელტერსკი და თან თავის სიყრძის ნაცოდვილარს ფურცლავდა. — იმდენ ხანს ვუკითხავ, სანამ არ აღმუვლდება...“

— აბა, მომისმინეთ, პართენ სავიჩ!

— დიდი სიამოვნებით... მე მიყვარს...

ზელტერსკიმ დაიწყო. პოლკოვნიკმა ფეხი ფეხზე გადაიღო, უფრო მოხერხებულად დაჯდა, სახეს სერიოზული გამომეტყველება მისცა და, ეტყობოდა, წანაკითხის დიდხანს და სინდისიერად მოსმენას აპირებდა... წამკითხველმა დაიწყო ბუნების აღწერიდან. როდესაც პირველი საათი შესრულდა, ბუნებამ ადგილი დაუთმო ციხე-დარბაზის აღწერას, სადაც მთავარი გმირი, გრაფი ვალენტი ბლუნსკი ცხოვრობდა.

— ერთი ამისთანა ციხე-დარბაზში მაცხოვრა! — ამოიოხრა პერეგარინმა.

— მერე რა კარგად არის აღწერილი! ას წელს ვიკვებოდი და მოვისმენდი!

— „მოიცა! — ფიქრობდა ზელტერსკი. — აღმუვლდები“. ორის ნახევრისთვის ციხე-დარბაზმა გმირის ლამაზი გარეგნობის აღწერას დაუთმო ადგილი... სრულ ორზე წამკითხველი უკვე წყნარი, ჩაწყვეტილი ხმით კითხულობდა:

— „თქვენ მეკითხებით, მე რა მიხდა? ო, მე მიხდა, რომ იქ შორს, სამხრეთის ცის კამარის ქვეშ, თქვენი პაწაწინა ხელი ოდნავ თრთოდეს ჩემს ხელში... მარტო იქ, იქ უფრო ცოცხლად დაიწყებს ცემას ჩემი გული, ჩემი სულიერი შენობის კამარის ქვეშ... სიყვარულის, სიყვარულის!“

— არა, პართენ სავიჩ... აღარ შემწვევს ღონე... დავიტახჩე!

— მაშ დაანებეთ თავი! ხვალ დამითავრებთ, ახლა კი ვილაპარაკოთ... ჰო-და, მე არ დამითავრებია ჯერ რა მოხდა ახალციხესთან.

გაწამებული ზელტერსკი სავარძლის ზურგზე გადაწვა და თვალდახუჭული უსმენდა...

„ყოველნაირი ღონისძიება ვიხმარე, — ფიქრობდა იგი, — ვერც ერთმა ტყვიამ ვერ განგმირა ეს მარტოდონტი. ახლა ოთხ საათამდე დარჩება... ღმერთო ჩემო, ას მანეთს მივცემდი, რომ საშუალება მოეცათ დასაძინებლად მივგდებულყავ... ვა! მოდი ვთხოვ ფული მასესხოს! ეს მშვენიერი საშუალებაა...“

— პართენ სავიჩ! — გააწყვეტინა სიტყვა პოლკოვნიკს. — ერთი პატარა სათხოვარი მაქვს თქვენთან... საქმე ისაა, რომ ამ აგარაკზე ცხოვრების დროს ძალიან დიდი ხარჯი მომივიდა. კაპიკი ფული აღარ დამჩნა, აგვისტოს ბოლოს კი უნდა მივიღო.

— უხ!.. დიდი ხანია თქვენთან ვზივარ... — ქშენით წამოიძახა პერეგარინმა და დაიწყო ქულის ძებნა. — უკვე მესამე საათია... რას ამბობდით?

— მინდოდა მესესხა ორასი-სამასი მანეთი... არავინ იცით ასეთი?
— აბა რა ვიცი, ახლა ძილის დროა.. აბა, კარგად ვიყოთ... თქვენს ბუღალტერს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოეს...
პოლკოვნიკმა აიღო ქუდი და ნაბიჯი გადადგა კარებისაკენ.
— საით? — შეიმობდა ზელტერსკი. — მე მინდოდა თქვენთვის მეთხოვა... თქვენი კეთილი გულის იმედი მქონდა...
— ხეალ, ახლა კი ცოლთან მიბრძანდით! ვინ იცის, როგორ ელოდება გულითად მეგობარს... ხე-ხე-ხე... მშვიდობით, ჩემო ანგელოზო... ვიძინოთ!
პერეგარინმა სასწრაფოდ ჩამოართვა ხელი ზელტერსკის, დაიხურა ქუდი და გავიდა.
მასპინძელი შეიმობდა.

თარგმნა თ. გაიდაშაშვილმა.

წესები დამწყები ავტორებისათვის

საიუბილეო საჩუქარი—საზოცხოო შუთის მადიმა

ყოველი ახალდაბადებული ყრმა გულდასმით დაბანეთ, დაასვენეთ, ვიდრე პირველი შთაბეჭდილება გაუქრებოდეს, და შემდეგ მაგრად გაწკებლეთ, თან ჩასძახეთ: „არ დაწერო! არ დაწერო! არ გამოხვიდე მწერალი!“ თუ ასეთი ეგზეკუციის შემდეგაც რომელიმე ყრმას აღმოაჩნდება მწერლური მიდრეკილება, სცადეთ მოფერება. თუ არც მოფერებამ უშველა, ხელი ჩაიქნიეთ და ჩაწერეთ „დაიღუპა“. წერის საღერღელი უკურნებელია.

მისი გზა, ვინაც წერს, თავიდან ბოლომდე მოფენილია ეკლით, ლურსმნითა და ჭინჭრით, ამიტომაც საღად მოაზროვნე კაცი ყოველნაირად უნდა ერიდოს მწერლობას. თუ მიუხედავად ყველა ცდისა, უღმობელი ბედი ვინმეს ავტორობის გზაზე დააყენებს, იმ უბედურმა თავისი ხვედრის შესამსუბუქებლად უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი წესებით:

1) გახსოვდეს, რომ შემთხვევითი ავტორობა და ავტორობა à propos! მუდმივ მწერლობაზე უმჯობესია. მელექსე კონდუქტორი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე მელექსე, რომელიც არ მსახურობს.

2) კარგად დაიხსომე, რომ მარცხი ლიტერატურულ სარბიელზე ათასგზის ჯობია გამარჯვებას. პირველ შემთხვევაში მოგელის იმედის გაცრუება და წყენა საფოსტო ყუთის გულახდილობის წყალობით, მეორე შემთხვევაში კი ჰონორარისათვის მომქანცველი სიარული, პონორარის მიღება 1899 წლის კუბონებით, „შედევები“ და ხელახალი ცდები.

3) წერა, როგორც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შემოქმედება საზოხლარი ლითონისათვის. ვინაც წერს, სახლს არ ყიდულობს, პირველი კლასის კუბეთი არ მგზავრობს, არ თამაშობს რულეტს და ცქვრინის წვნიანს არ მიირთმევს. მისი უღუფაა სავრასენკოვის ნახელავი თაფლი და აკრიდები, ბინა — ავეჯით გაწყობილი ოთახები, მიმოსვლის საშუალებანი — ფეხით სიარული.

4) დიდება არის მგოსნის დაკონკილ პერანგზე დადებული ჭყავთელა ნაკერი, ხოლო ლიტერატურულ სახელს ფასი აქვს იმ ქვეყნებში, სადაც სიტყვის

1 სხვათაშორის (ფრანგ.).

„ლიტერატორი“ გასარკვევად არ იქმეებიან „30 000 სიტყვიან უცხო სიტყვათა ლექსიკონში“.

5) წერა ყველას შეუძლია სცადოს წოდების, სარწმუნოების, ასაკის, სქესის, განათლების ცენზისა და ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად. ეკრძალებათ არც შეშლილებს, არც სასცენო ხელოვნების მოყვარულთ და ყველა უფლებააყრილებსაც კი. სასურველი კია პარანასზე მიცოცავდეს რაც შეიძლება მომწიფებულად ადამიანი.

6) რაც შეიძლება უნდა ვეცადოთ არ წერონ იუნკრებმა და გიმნაზიელებმა.

7) ვფიქრობთ, რომ იმათ, ვინც წერს, ჩვეულებრივი გონებრივი უნარის გარდა უნდა ჰქონდეთ გამოცდილება. ყველაზე ბევრ ჰონორარს იღებენ ისინი, ვინც გადალახა ცეცხლი, წყალი და სპილენძის მილები, ყველაზე ნაკლებს — ხელუხლებელი და გაურყვნელი ბუნების ადამიანები. პირველ რიგს განეკუთვნებიან: მესამეჯერ ცოლშერთულები, გადარჩენილი თვითმკვლელები, სულით ხორცამდე გაკოტრებულნი, დუელში განაწვევნი, მოვალეთაგან დევნილნი და სხვ. მეორე რიგს: უვალონი, სასიძოები, არამსმელნი, ინსტიტუტული ქალები და სხვ.

8) მწერლად გახდომა მეტად ადვილია. ყველა მახინჯი თავის ტოლს იპოვის, ყოველგვარი მონაჩმასი — შესაფერ მკითხველს. ამიტომაც გულს ნუ გაიტბნ... დაიდე ქალაღი. აიღე კალამი, გააღიზიანე დატყვევებული აზრი და წერე. წერე რაზეც გინდა: შავქლიაზე, ამინდზე, გოვოროვის ბუჩახზე, დიდ ოკენაზე, საათის ისარზე, შარშანდელ თოვლზე... წერას რომ მორჩები, დაავლე ხელი ხელნაწერს და, როცა ძარღვებში იგრძნობ ღვთიურ თრთოლვას, მიაკითხე რედაქციას. შესასვლელში კალოშებს რომ გაიხდი და იკითხავ „აქ არის ბ-ნი რედაქტორი?“ შედი საკუთხეველში. აღივსე იმედით და გადაეც შენი ქმნილება... ამის შემდეგ ერთი კვირა იწევი სახლში დივანზე, აფურთხე ჭერს და დასტკბი იმედით, ხოლო ერთი კვირის შემდეგ წადი რედაქციაში და უკანვე წამოიღე შენი ხელნაწერი. ამას მოჰყვება სხვა რედაქციების ატალახება... როცა ყველა რედაქციას შემოიარ და ხელნაწერს არსად არ მიიღებენ, დაბეჭდე შენი ნაწარმოები ცალკე წიგნად. მკითხველები გამოჩნდებიან.

9) ისეთ მწერლად გახდომა კი, რომელიც იბეჭდება და კითხულობენ, მეტად ძნელია. ამისათვის: აუცილებლად იყავ წიგნიერი და გქონდეს თუნდაც ისპის მარცვლის ოდენა ნიჭი. თუ დიდი ნიჭი არა გაქვს, მცირეც ძვირფასია.

10) იყავ პატიოსანი. მოპარულს შენად ნუ გაასაღებ, ერთსა და იმავეს ნუ დაბეჭდავ ორ გამოცემაში ერთად, თავს კუროჩკინად ნუ მიიჩნევ და კუროჩკინს საკუთარ თავად. უცხოურს ორიგინალურს ნუ უწოდებ და ა. შ. საერთოდ გახსოვდეს 10 მცნება.

11) ბეჭდვითს სამყაროში არის ზრდილობის წესები. აქ, ისე როგორც ცხოვრებაში, არ არის მიღებული ფეხის დაბიჯება საყვარელ ბებერაზე, სხვისი ცხვირსახოციტ ცხვირი არ უნდა მოიწმინდო. სხვის თევშში თითები არ უნდა ამოაწო და ა. შ.

12) თუ გინდა წერო, ასე მოიქეც: ჯერ თემა შეარჩიე. ამისათვის სრული თავისუფლება გენიჭება. შეგიძლია გამოიყენო თუნდაც თვითონებობა. ოღონდ

ეს კია, მეორეჯერ არ აღმოაჩინო ამერიკა და ხელმოკრედ არ გამოიგონო დენ-
თი, ერიდე დიდი ხნის წინათ გაცვეთილ თემებს.

13) როცა თემას აირჩევ, აიღე დაუჟანგავი კალამი და გარკვეული, დაუშ-
რეხელი ასოებით სურვილისამებრ წერე ფურცლის ცალ მხარეზე, შეეფარე მას
რე კი სუფთად დატოვე. ასე უნდა მოიქცე იმიტომ კი არა, რომ ქალაქის მთელი
სტრუქტურა შემოსავალი გაადიდო, არამედ სხვა უფრო ამაღლებული მოსახრე-
ბებით.

14) ფანტაზიას ფრთებს რომ შეასხამ, შეაჩერე ხელი. უფლებას ნუ მისცემ
გამოედევნოს სტრიქონთა სიმრავლეს. რაც უფრო მოკლედ და იშვიათად წერ,
მით უფრო მეტს და ხშირად დაგიბეჭდავენ. სიმოკლე საერთოდ საქმეს არ აფუ-
ჭებს. გაწეილი საშლელი ფანქრით ნაწერს გაუწეღავზე ოდნავადაც უკეთ არ
შლის.

15) წერას რომ მორჩები, ხელი მოაწერე. თუ სახელისათვის თავს არ იწუ-
ხებ და გეშინია არ გცემონ, გამოიგონე ფსევდონიმი. მაგრამ გახსოვდეს, რო-
გორადაც არ უნდა ემაღებოდე ხალხს. შენი გვარი და მისამართი რედაქტორე-
ბმა უნდა იცოდნენ. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაში. როცა რედაქტორს მო-
ესურვება მოგილოცოს ახალი წელი.

16) ჰონორარი დაბეჭდვისთანავე მიიღე. ერიდე ავანსებს. ავანსი მომავლის
შეჭმაა.

17) ჰონორარს რომ მიიღებ, როგორაც ვინდა, ისე მოიხმარე: იყიდე გემი,
ამოაშრე ჭაობი, გადაიღე ფოტოსურათი, დაუკვეთე ფინლიანდსკის ზარი, სამ-
მაგად გაზარდე ცოლის ტურნიური — ერთი სიტყვით, როგორც ვინდა ისე მო-
იხმარე. რედაქცია ჰონორარს სრულ განკარგულებაში გაძლევს. თუმცა, თუ თა-
ნამშრომელი მოისურვებს რედაქციისათვის ანგარიშის წარდგენას, რომელიც
დაადასტურებს სად და რაში დახარჯა მან თავისი ჰონორარი. რედაქციას არა-
ფერი ექნება საწინააღმდეგო.

18) და ბოლოს, ერთხელ კიდევ გადაიკითხე ამ „წესების“ პირველი სტრი-
ქონები.

ცხოვრება მშვენიერია

თვითმკვლელებს

ცხოვრება მეტად არასასიამოვნო რამ არის. მაგრამ მისი გამშვენიერება
ძალიან ადვილია. ამისათვის არ კმარა მოიგო 200. 000. მიიღო „თეთრი არწი-
ვის“ ორდენი, შეირთო ლამაზი ქალი. გაითქვა კეთილგანმზრახველი კაცის სა-
ხელი — ყველა ეს სიკეთე წარმავალია და მათ ეჩვევიან ხოლმე. იმისათვის,
რომ გრძნობდე განუწყვეტელ ბედნიერებას მწუხარებისა და ნაღველის ქამსაც
კი, საჭიროა: ა) შეგეძლოს დაკმაყოფილდე იმით, რაც ბედმა მოგივლინა და ბ)
გახარებდეს იმის შეგნება, რომ „შეიძლებოდა უარესიც მომსვლოდა“. ეს კი
ადვილია:

თუ შენს ჯიბეში ასანთს ცეცხლი გაუჩნდა, გიხაროდეს და ღმერთს მაღლა
შესწირე, რომ შენი ჯიბე დენთის საწყობი არ არის.

როცა აგარაკზე ღარიბი ნათესავები გესტუმრებიან, არ გაფითრდე, არამედ ალტაცებით წამოიძახე: „კარგია, რომ გოროდოვობმა არ მომაკითხეს!“

როცა თითში ეკალი შეგესობა, გიხაროდეს: „კარგია, რომ თვალმეჭრულში გიხაროდეს!“



თუ შენი ცოლი ან ცოლისდა გამებს უკრავს, წონასწორობას ნუ დაკარგავ, არამედ სიხარულით ცას ეწიე, რომ გესმის დაკვრა და არა ტურების კივილი ან კატების კონცერტი.

გიხაროდეს, რომ არა ხარ ცხენის რკინიგზის ულაცი, კოხის ჩხირი, ტრინა, ღორი, ვირი, არა ხარ დათვი, რომელსაც ბოშები დაატარებენ, არა ხარ ბალღინჯო... გიხაროდეს, რომ არა ხარ კოჭლი, ბრმა, ყრუ, მუნჯი, არ გჭირს ხოლერა... გიხაროდეს, რომ ამ წუთში არ ზიხარ ბრალდებულის სკამზე, თვალწინ არ გიდგას მევალე და არ ბაასობ ტურბასთან ჰონორარზე.

თუ შენ არ ცხოვრობ შორეულ მხარეში, განა არ უნდა თვლიდე თავს ბედნიერად იმაზე ფიქრით, რომ განგებამ არ გიმუხთლა და შორეულ მხარეში არ გადაგაგდო?

თუ ერთი კბილი გტკივა, იზეიმე, რომ არ გტკივა ყველა კბილი.

გიხაროდეს, რომ შეგიძლია არ წაიკითხო „გრაჟდანინი“, არ იჯდე სასენიზაციო კასრზე, არ გყავდეს სამი ცოლი ერთად...

როცა გოროდოვის განყოფილებაში მიყავხარ, ალტაცებისაგან იხტუნე, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში არ გაგდებენ.

თუ არყისხის წკეპლით გცემენ, ტლინკები ჰყარე და იძახე: „რა ბედნიერი ვარ, რომ ჭინჭრით არ მცემენ!“

თუ ცოლმა გიღალატა, გიხაროდეს, რომ შენ გიღალატა და არა სამშობლოს.

და ასე შემდეგ... ადამიანო, ისმინე ჩემი რჩევა და ცხოვრება შენი იქნება გამუდმებული ზეიმი.

თარგმნა ს. ზიორგაძემ.



ნორა ჩხიძე

ლიტერატურული სახე და ცნება

სახისა და ცნების ერთ საკვლევ სიბრტყეზე დაყენებას უკვე აქვს თავისი ისტორია და, მასადასამე, მეცნიერული გამართლება.

ასეთი შებირისპირება ნაკარნახევია იმ, ჩვენი აზრით, საკმაოდ მკაცრი და სამართლიანი მოთხოვნით, რომელსაც ხელოვნებასა და ლიტერატურას უყენებს თანამედროვე ეპოქა: ასახოს სინამდვილე მეცნიერული სიზუსტით და სიღრმით.

ასეთ მოთხოვნას მოჰყვა ძალზე ხშირი, არაინფიათად უადგილო, უმეტეს შემთხვევაში კი გვერდაუღებელი პარალელები და დაპირისპირებები მეცნიერებისა ხელოვნებასთან, ცნებისა სახესთან. ამავე დროს ახლებურად ისმის საკითხი ლოგიკურის ურთიერთობისა მხატვრულთან.

საესებით სწორია, რომ რაც ცნებაა მეცნიერებისათვის, იგივეა სახე ხელოვნებისათვის. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ცნების დადგენა და სახის შექმნა გამოგვეცხადებინა მეცნიერებისა და ხელოვნების თვითმიზნად. მეცნიერება და ხელოვნება გამართლებას პოულობენ არა დამოუკიდებელ, აბსტრაქტულ არსებობაში, არამედ საზოგადოებისა და ადამიანების სამსახურში.

ცნება და სახე ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების შედეგები არიან. ისინი გვევლინებიან როგორც შემეცნებისა და შემოქმედების რეზულტატები. ამავე დროს ცნების დადგენა და სახის შექმნა, მათი არსებობა მეცნიერებისა და ხელოვნების არსებობის პირობაა.

ცნება და სახე, როგორც სინამდვილის შემეცნების რეზულტატები და, გარკვეული აზრით, საშუალებანი, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსით, ფორმითა და ფუნქციით. ამ განსხ-

ვავებას ქმნის არა მარტო განსხვავებული მიზნები, რომლებიც ცალკე მეცნიერსა და ცალკე ხელოვანს აქვს, არამედ მათი დადგენისა და შექმნის განსხვავებული სპეციფიკა, განსხვავებული გზები. ამ განსხვავებას ქმნის აგრეთვე ის სფერო ადამიანის სულიერ სამყაროში, რომელზეც გამოიწვლი არიან, ერთის მხრივ, მეცნიერება, მეორეს მხრივ, ხელოვნება. დაბოლოს, ცნებისა და სახის ეს კარდინალური სხვადასხვაობა ისტორიული ხასიათისაა. ცნებასა და სახეში დღემდე შემონახულია ის აუცილებელი წამამძღვრები, რომლებმაც თავის დროზე განსაზღვრეს როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების წარმოშობა.

ხელოვნების განსაზღვრება როგორც გონების თავისუფალი თამაშისა დღეისათვის მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს. ყოველი ახალი ეპოქა მისწრაფოდა იქითენ, რომ ხელოვნებაში შეეტანა მკაცრი აუცილებლობა და ლოგიკა. და მაინც, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ სახის შექმნისას ხელოვნებას აქვს გაცილებით მეტი თავისუფლება ემეზოს სხვადასხვა პრინციპი, ვიდრე მეცნიერებას ცნების დადგენის დროს. ხელოვნებაში არა მარტო სხვადასხვა მიმდინარეობას, არამედ ერთი და იმავე სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელს სახის შექმნის განსხვავებული, უაღრესად სუბიექტური პრინციპები აქვთ. ცნების დადგენის პრინციპი კი ერთია ყველა მეცნიერისა და ყველა მეცნიერებისათვის. ესაა ძიება იმ არსებითი ნიშნებისა, რომლებიც საკმარისი და აუცილებელია სავნის მეცნიერული განსაზღვრისათვის. აქ გამორიცხულია შემთხვევითი, გარეგანი ნიშნების ძიება. სახის შექმნისას კი

ხშირად გადაწყვეტი მიწვევლობა აქვს სწორედ ისეთ ნიშანს, რომელიც მხოლოდ დამოუკიდებელი კონკრეტულ საგანს ახასიათებს. სწორედ ასეთი ნიშნებისა, დეტალებისა და შტრიხების ძიებითა და პოვნით მიიღწევა უაღრესი ინდივიდუალიზაცია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სახის არსებობა.

ეს განსხვავებულობა უფრო მეტორ ხასიათს იღებს სიმბოლისტურ, რომანტიკულ და რეალისტურ ნაწარმოებთა შეხებისპირებისას. სხვადასხვა სახის შექმნის პრინციპი არა მარტო ჩეხოვის, მეტერლინკის, ედგარ პოს, ნიკოლორტიფანინის შემოქმედებაში, არამედ ხშირად თვითეთელი ამ მწერლის სხვადასხვა ნაწარმოებშიც.

მიუხედავად ამისა, სახეებით შესაძლებელია მოიხაზოს სახის შექმნის უზოგადესი, ყველასათვის მიტ-ნაცვლებად საერთო კანონები და შეედარათ ისინი ცნების დადგენის ხასიათს.

აღამიანი ურთიერთობაშია გარემომცველ სინამდვილესთან. მასზე ზემოქმედებას ახდენენ საგნები, მოვლენები, აღამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მას უჩნდება საკუთარი შეხედულება და აზრი გარემომცველ სამყაროზე.

აღამიანი ქვრეტს, აღიქვამს, იმას სოვრებს, იმეცნებს.

საერთოა ინტერესი იმ საგნის, მოვლენის, აღამიანის ცოდნისა, რომელთანაც ურთიერთობაში ხარ. მაგრამ ეს ინტერესი მაშინვე იძენს გარკვეულ შინაარსს, როგორც კი გარემომცველი სინამდვილის ცოდნა და შესწავლა განსაზღვრულ მიზნებს ემორჩილება.

საგნებზე ჩნდება სუბიექტური შეხედულებანი. აღამიანი ცდილობს ეს შეხედულება რაც შეიძლება ობიექტური, ქვეშაობიტი იყოს.

საგნებზე, მოვლენებზე, აღამიანები ლაგდებიან მათი შემსწავლელი სუბიექტის ინტერესთა მიხედვით.

საგანში გამოიყოფა მხარე, ნაწილი, თვისება, რომელიც აინტერესებს მეცნიერს, ერთის მხრივ, მწერალს, მეორეს მხრივ. სხვადასხვა ამ ინტერესის ხასიათი და მიზანი.

ცნების შექმნის გზა აბსტრაქციის, განზოგადების გზაა. ერთი და იმავე კანონზომიერების მრავალ საგანში აღმოჩენის შემდეგ მეცნიერება ტოვებს ამ საგნებს და მიდის უზოგადეს პრინციპამდე.

სახის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, დიდი არ იქნებოდა, რომ ის არ იყოს ზოგადი, უფრო უკეთ, საერთო ბევრი აღამიანისათვის. მაგრამ რომ ის ასეთი იყოს, ცხადია, თვითვე უნდა იყოს თავის დროზე განზოგადების შედეგი. მაგრამ პრინციპული სხვაობაა ცნების ზოგადობა

ბისა და სახის ზოგადობის ხასიათს შორის.

ცნება სინამდვილის, ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ობიექტების სუბიექტური „ფორმაა“. ამიტომ ცნების შინაარსი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილეა. და რომ ის, ცნება, ამავე დროს ჩვენი აზროვნების შედეგია. ცნება აზრია საგანზე, იმ საგანზე, რომლის შესწავლითაც იგი გაჩნდა ჩვენს გონებაში.

მაშასადამე, ცნებისა და სახის შექმნის დასაწყისშივე არის არსებითი სხვაობა.

ცნების დადგენისათვის ყველა ერთი გვარის საგნები ერთნაირად ვარგის და საინტერესოა. აქ იშვიათად ხდება შერჩევა.

სახის შექმნისათვის ყველა საგანი უკვე არ შეიძლება ერთნაირად საინტერესო იყოს. აქ ხდება მკაცრი შერჩევა. მრავალი საგნიდან ხელოვანის ყურადღებას იქცევს მხოლოდ ერთი, ყველაზე დამახასიათებელი. უზუნებში ხშირად თავისთავად ხდება ეს შერჩევა. ატარებს რა ერთი საგანი მისი მსგავსი საგნების საერთო თვისებებს განსაკუთრებული სიმკვეთრითა და მთლიანობით.

ლიტერატურული სახის შინაარსი არსებობს მხოლოდ დამოუკიდებლად თვით ამ სახესთან ერთად და მისი შინაარსის მისგან დამოუკიდებლად ძიება შეუძლებელია იქნებოდა.

ცნება აზრობრივი ფენომენია. ამიტომ ამბობენ, რომ მეცნიერება თავის დასკვნებს იძლევა აზრობრივი სახით, ცნებებით, ლოგიკური კატეგორიებით.

მეცნიერებას მკითხველამდე მიაქვს აზრი საგანზე და არა თვით საგანი.

ლიტერატურული სახე კი გრძობადი, კონკრეტული, ემოციური ფენომენია და ის, ეს გრძობად-კონკრეტული, ემოციური საგანი ატარებს აზრს ნაწარმოებში. მაგრამ ავტორს არ გამოაქვს აზრი მისგან და არ იძლევა მას მშრალი სახით. ეს ვარემოება კი ერთ-ერთი უძირითადესი განსხვავების საფუძველია ცნებასა და სახეს შორის.

ამიტომ ამბობენ, რომ ლიტერატურა და ხელოვნება თავის დასკვნებს იძლევა გრძობად-კონკრეტული ფორმით.

მაშასადამე, ხელოვანს მკითხველამდე მიაქვს არა აზრი საგანზე მისი მიწვეული სახით, არამედ თვით საგანი. მასში აუცილებლობით მოცემული აზრით.

რომ ყოველი კონკრეტული საგანი შეიძლება იქცეს შესწავლის, აზროვნების ობიექტად, ეს ექვს არ უნდა იწვევდეს. ამიტომ მით უმეტეს ცხადია, რომ არ არსებობს გრძობად-კონკრეტული, ემოციური საგანი მისი თანხმლები აზრის გარეშე, იმ აზრის გარეშე, რომელიც უჩნა

დება მკითხველსა და მკითხველს ამ საჯანთან ურთიერთობაში. ამიტომ უდავოა, რომ დაუშვებელია ლაპარაკი ლიტერატურული სახის მხოლოდ გრძობად-კონკრეტულ, ემოციურ შინაარსზე, რადგან არ არსებობს ემოციები იმ აზრისა და იდეის გარეშე, რომელსაც იგი, ეს ემოციები იწვევს. ეს მით უფრო ცხადი ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ ლიტერატურული სახე როგორც გრძობად-კონკრეტული, ემოციურ-აზრობრივი ფენომენი უკვე გაიაზრა და გაანალიზა ავტორმა, მისმა შემქმნელმა. მაშასადამე, განსაზღვრულია ის აზრი თუ ემოცია, რომელიც ამ სახეს ამ დროს და ამ სიტუაციაში უნდა ჰქონდეს (რა თქმა უნდა, არის შემთხვევა, როცა მწერალი ცდებდა მოწოდებული გრძობად-კონკრეტული, ემოციური საგნის თანმხლები აზრების რაობასა და ხასიათში).

ამრიგად, მეცნიერული აბსტრაქცია ხდება საგნებისაგან მოწყვეტით, ლიტერატურულ-მატერული აბსტრაქცია კი მიდის ისევ საჯანთან, მისი მუდმივი შენახვისა და გამოყენების პირობებში.

მაგრამ თუ მწერალი აბსტრაქციას ახდენს სინამდვილეში არსებული მრავალი საგნიდან ერთი საგნისაყენ, გამოდის, რომ იგი პირდაპირ გადმოიტანს ამ საგანს შემოქმედებაში, რაც არც თუ მთლად ასეა. ხელოვანი თვითონვე ქმნის არარსებულ საგანს, მოვლენას, სახეს, ქმნის თავისი იდეური ინტერესებისა და მატერული საჭიროების მიხედვით (შეუძლებელია, რა თქმა უნდა, საკუთარი გემოვნებისა და სურვილის მიხედვით ცნებას შექმნას).

ლევ ტოლსტოიმ საკუთარი მამის ხასიათსა და ხედვის მავალითზე შექმნა ნიკოლოზ ლევინის სახეს „ანა კარენინაში“. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ლევინის სახე არაა მწერლის მამის ცხოვრების ზუსტი, ფოტოგრაფიული განმეორება. მაგრამ სახის პროტოტიპი არსებობდა რეალურად. მასზე დაყრდნობით და ცხოვრების შთაბეჭდილებათა წარმოსახვით ტოლსტოიმ შექმნა შესანიშნავი ხასიათი, იმდროინდელი რუსული საზოგადოებრივი ფენების ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელი.

ტოლსტოი იცნობდა კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც ამასთანავე მოკლებული არ იყო საზოგადოებრივი ფენის საერთო და დამახასიათებელ თვისებებს.

არსებობს მეორე მავალითიც იმავე ტოლსტოის შემოქმედებიდან.

ანდრეი ბოლკონსკის („ომი და მშვიდობა“) არა ჰყოლია პროტოტიპი სინამდვილეში. თვით ტოლსტოი ამბობს, რომ მან მთლიანად წარმოსახვაში და მხოლოდ წარმოდგენაში შექმნა ეს ერთ-ერთი, მკითხველის ყველაზე საყვარე-

ლი და უაღრესად რეალისტური პერსონაჟი. ეს სრულებით არ გამოირჩევა იმ განმეორებას, რომ ანდრეი ბოლკონსკის თვისებებს ტოლსტოი კარგად იცნობდა თვითონვე შექმნაში. შეიძლება ისიც, რომ ტოლსტოის შემოქმედებში ასეთი თვისებების მქონე ერთ რომელიმე ადამიანს, მაგრამ ბევრს და სხვადასხვას უთუოდ ექნებოდათ ამ თვისებათა ცალკეული მხარეები. გარდა ამისა, ხომ არაფერი არ უშლის ხელს, რომ წარმოდგენაში შეიქმნას (რაც ასე ხშირად ხდება ცხოვრებაში) არსებულის სასურველი, ან არასასურველი, საწინააღმდეგო, ისეთი, როგორც არ არის, მაგრამ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ასრულ და არასდროს არავის აზრად არ მოსვლია ანალოგიური გამოკვლევები ეწარმოებინა ცნებათა შესაქმნელად. შეუძლებელია ეძებო ცნებათა პროტოტიპი სინამდვილეში, რადგან ასეთს ვერ აღმოაჩენ. მაგრამ აქ მინც არსებობს ერთგვარი შორეული მსგავსება. ესაა ცნების როგორც კერძოსა და ზოგადის, და სახის, როგორც ინდივიდუალურისა და ტიპურის ურთიერთ მიმართების პრობლემა. საკითხის ამგვარი ფორმულირებისთანავე ნათელია, რომ ტიპისა და პროტოტიპის შემოაღწეული პრობლემა სულ სხვა ხასიათისაა და რომ ცნებას მასთან საერთო მართლაც არა აქვს რა.

რაც შეეხება კერძოსა და ზოგადის მთლიანობას ცნებაში და ინდივიდუალურისა და ტიპურის მთლიანობას სახეში, მათ უდავოდ აქვთ მსგავსი მხარეები.

პირველი ფორმალური მსგავსება ის არის, რომ ცნებაც და სახეც არის კერძოსა და ზოგადის, ინდივიდუალურისა და ტიპურის მკაცრი ერთიანობა და, ამ შემთხვევაში, კერძო და ინდივიდუალური ისევე, როგორც ზოგადი და ტიპური, ერთი და იგივე შინაარსის ცნებებია არიან.

ლიტერატურული სახე კერძოა ლიტერატურულ სახეთა შორის და ერთადერთი. იგი ზოგადია არა ლიტერატურული სახეებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის, რეალურად არსებულ ადამიანებისათვის და თავისი ცხოვრებითი ილუზიურობით, რაც დიდი ხელოვნების ნიშანია, არის რეალურად არსებული ადამიანების მსგავსი.

ლიტერატურულ სახეთა შორის არ არსებობს სხვა სახეთა მომცველი გვარობითი სახეები. იგი გვარია, თუ შეიძლება პირობითად ასე დაუშვათ, რეალურად არსებული ადამიანებისათვის, გვარი მისი შემოაღწეული ზოგადობის მეოხებით.

ცნება კერძოა ცნებათა შორის, მაგრამ იგი შეიძლება იყოს გვარობითიც, სხვა ცნებათა

მომცველიც. მაგალითად, თვით ლიტერატურული სახის ცნება აერთიანებს ტიპის, ხასიათის და პორტრეტის ცნებებს, როგორც გეოგრაფიული კატეგორია. იგი არაა რეალურად არსებული საგნების მსგავსი, და არც შეიძლება იყოს მისი ბუნების გამო. მაშასადამე, ცნება ზოგადია როგორც რეალური საგნებისათვის, ისე ხშირად თვით ცნებებისთვისაც.

ლიტერატურული სახე დასკვნა რეალურად არსებულ და შემდეგ ავტორის წარმოდგენაში, მისი მსოფლმხედველობით გაშუქებულ სინამდვილეზე. იგი დასკვნაა და ამ დასკვნისათვის წინამძღვრების სახით ავტორს ხელთ ან მეხსიერებაში აქვს მრავალი ადამიანის სახე. ეს დასკვნა გვევლინება მხოლოდამხოლოდ კერძოს, ინდივიდუალურის ფორმაში.

ცნებაც დასკვნაა, მიღებული იმ საერთო კანონზომიერებათა შესწავლისა და მკაცრი შეხამების შედეგად, რომლებიც ცალკეულ საგნებს გააჩნიათ, როგორც მათი შინაარსი, როგორც მათი არსი. ეს დასკვნა ჩვენ გვევლინება ცნების სახით, მაშასადამე, მხოლოდამხოლოდ ზოგადის ფორმაში.

ცნებაცა და სახეც სინამდვილის ორმა შესწავლისა და ცოდნის შედეგია და ეს ყველაზე არსებითი მსგავსებაა მათ შორის. მაგრამ ლიტერატურული სახე როდია მარტო სინამდვილის შესწავლის შედეგი. იგი ამავე დროს არის მხატვრული გამოგონების, შექმნის შედეგი, რაც სახისა და ცნების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.

ხელოვნებას ბევრი რამ აქვს საერთო მეცნიერებასთან შემეცნებითი მნიშვნელობის მხრივ, მაგრამ შეუძლებელია ვილაპარაკოთ მეცნიერებისა და ხელოვნების მოსალოდნელ გაიგივებაზე.

ძირითად განსხვავებას ქმნის არა მარტო ის, რომ სინამდვილეზე ცოდნის გადმოცემისათვის მეცნიერებას თავისი ენა და ფორმა აქვს, სოლო ხელოვნებას თავისი, არამედ ისიც, რომ მათი ბუნება კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ადამიანის ქცევა, მისი ხასიათი, ბუნება, სული, როგორც მისი მდგომარეობისა და მის ირრველზე არსებული გარემოების, მისი ეროვნული თავისებურებების გამოხატვა ხელოვნებისა და ლიტერატურის საგანია. უმეტეს შემთხვევაში ხელოვნება აჩვენებს ამ ქცევას, ხასიათს და ა. შ. მისი გამომწვევი ფაქტორით. ხელოვნებისაგან მიღებული ცოდნა ადამიანთა შესწავლის, მათი სულის, ხასიათის, ტიკიკილების გაგებისა და ახსნის შედეგია. მწერლისათვის ყველაზე დიდი ცოდნა ადამიანისა მდგომარეობის უნარში — ცოცხლად წარმოდგინოს ის, განიცადოს

იგი, როგორც არსებული, ხელმეხსახეობის ფიზიკური აღნაგობიდან დაწყებული, სულიერი, ხასიათით დამთავრებული. ასეთი წარმოდგენის უნარი არის მწერლობის, ლიტერატურის შესწავლის შექმნის პირობა. აი რატომ ამბობენ, რომ შეუძლებელია გეოგრაფიით ცნება და სახე. სახე ყოველთვის საგანია აზრისათვის და არა თვით აზრი. ამავე დროს, როგორც ყოველი სახეა, ის თავის თავში ატარებს მისგან აზრის გამოტანის შესაძლებლობას, სახეში ეს აზრი უფრო ხელშეხსახეობა, რადგან იგი უკვე გააზრებულია მწერლის მიერ, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანში, რადგან იგი უკვე შემეცნებული და შესწავლილია. ამასთან ემოცია, რომელსაც მეხსიერება ინახავს, და ფიზიკური ფორმა, რომლის აღდგენითაც შემდეგ მწერალი წარმოსახავს საგანს, არაა აზრი. უმეტეს შემთხვევაში ხელოვნება, ლიტერატურა, ლიტერატურული სახე მკითხველში იწვევენ შთაბეჭდილებათა ემოციითა და არა ცნებათა რიგს. ამ ემოციებზე დაყრდნობითა და მათი ანალიზის, როგორც მატერიალური საგნის ანალიზის, მეოხებით ჩვენ მივდივართ აზრამდე და ჯერ კიდევ ვერ მივდივართ ცნებამდე. ვეჭონდეს აზრი საგანზე ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ გჭონდეს ცნებაც ამ საგანზე. ჩვეულებრივად მკითხველი გაცილებით უშუალოდაა დაკავშირებული სინამდვილესთან სახით, ვიდრე ცნებით. ამ უშუალობის მიღწევით სახე ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, რომელიც უცხაოა ცნებისათვის.

მეცნიერებისა და ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის განსხვავებას განსაზღვრავს, ერთის მხრივ, შემეცნებისა და, მეორეს მხრივ, შემოქმედების სპეციფიკა.

ხელოვნება არსებობას ფაქტიურად მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა ხელოვანი იმეორებს ან წარმოსახავს სინამდვილეს, როცა ის ქმნის „ახალ“ სინამდვილეს, როცა ახერხებს ნაწახსა და განცდილში შეიტანოს თავისი მე, როცა ამავე დროს სუბიექტურს აქცევს ობიექტურად, აძლევს რა მას რეალობასა და სიცოცხლეს. შემოქმედება არის სწორედ ეს პროცესი, შექმნის პროცესი, შემეცნებულისა და განცდილის პროცესი, საკუთარი მეს განვითარებისა და სუბიექტში გადატეხილი სინამდვილის წარმოქმნის პროცესი, როგორც რეალურად რსებული სინამდვილისა.

მეცნიერებას აქვს სულ სხვა კანონზომიერება. იგი არაა წარმოქმნის, არ განიმეორებს, არ წარმოსახავს სინამდვილეს „სინამდვილისაგან ფორმით“. ის აღგნის კანონებს, ცნებებს და გააწვდის ამ კანონებსა და ცნებებს სინამდვილესთან მისასვლელად. მეცნიერება უპირველეს

ყოველსა მოქმედებს გონებაზე, ლიტერატურა — მგრძობებლობაზე, ესაა მათი ამოსავალი წერტილი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერება არ მოქმედებს მგრძობებლობაზე, ან ლიტერატურა — გონებაზე. მეცნიერებაცა და ლიტერატურაც იყენებს აღქმის, განსჯის, გონების საფუძვრებს, წარმოდგენებისა და აბსტრაქციის საფუძვრებს. მაგრამ, როგორც ითქვა, ყველა მათ აქვთ სრულიად განსხვავებული ხასიათი მეცნიერებაში და განსხვავებული მხატვრული ლიტერატურაში.

მწერალი ენდობა და აუცილებლად უნდა ენდოს მკითხველის წარმოდგენის უნარს, რომელიც ძუნწი შტრიხებისა და დეტალების იქით გააცოცხლებს სახეს, შეხედავს და იგრძნობს მას. მწერალი ყოველთვის აშენებს და ქმნის ადამიანის შეგრძნებებზე დაყრდნობით. იგი უპირატესობას აძლევს გაცდასა და ხედვას. წარმოდგენის უნარს და მხოლოდ შემდეგ ფიქრობს მკითხველის შემეცნების, ვაგების უნარზე. მეცნიერი თითქმის არასოდეს არ ეყრდნობა ადამიანის შეგრძნების უნარს. იგი მხოლოდ გონებასა და აზროვნების უნარს გულისხმობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახე უპირატესად შეგრძნებებსა და წარმოდგენის უნარს ეყრდნობა, ცნება კი მთლიანად ვაგებასა და აზროვნების უნარს. ბელინსკი და ილია ჭავჭავაძე ამაში ხედავდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების მთავარ განსხვავებას.

ცნება ადამიანურ ვენებაზე და თვით ეს ვენება, ხელოვნების მიერ დახატული, ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც საგანი განსხვავდება ამ საგანზე არსებული აზრისაგან.

კუბრინის მოთხრობაში „შიში“, სტეფან ცვაიგის მოთხრობაში „შიში“ და ჩეხოვის „ჩინოვნიკის სიკვდილში“ დახატულია შიშით მოცუული ადამიანების სახეები. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო აგების პრინციპით, არამედ სქესით, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობით, ეროვნული ხასიათით. შიშის ფსიქოლოგიური ცნება კი ერთი და იგივე ყოველი ადამიანისათვის, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. ამ მოთხრობებში არაა მსჯელობა შიშზე, როგორც ფსიქოლოგიურ მოვლენაზე. აქ არაა გაანალიზებული ის ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც თან ახლავან შიშს.

კუბრინთან შიში მთლიანად ხასიათიდან გამომდინარეობს. მწერალი ხატავს მოსალოდნელი სიკვდილით შეშინებულ ადამიანს. და თუმცა სიტუაცია, რომელშიც შიში იბადება, განპირობებულია პერსონაჟის უკიდურესი სიღარიბით, წინა პლანზე მაინც არაა წამოყვანილი მისი სოციალური და საზოგადოებრივი მდგო-

მარეობა. ამიტომ მოხიბობის წაიკლებს შიშის შეგრძნებით და მოხიბული მხატვრული ბით. ის ვერ მივა შიშის მეცნიერულ ცნებაზე, ვერ მივა შიშის მეცნიერულ ცნებაზე.

ცვაიგის მოთხრობაში შიში ამორალური მოქმედებით, ქმრისადმი ლალათი და მისი მოსალოდნელი განმარტებითაა გამოწვეული. მწერალს ეს შიში აინტერესებს როგორც ქალის მორალურად გარდაქმნილი, მასში ქმრისაგან ხელოვნურად გამოწვეული და გამძაფრებულ სულიერი მდგომარეობა. მაგრამ ეს გრძნობა არაა ქალისაგან ქმრის ღალატის ბუნებრივი და ლოგიკური შედეგი. ის ცალკეული, შემთხვევითი და არა ზოგადი, არა არსებითი ხასიათისაა. მწერალი არ ვეაძლევს არც ასეთი მოქმედების სოციალურ-მორალური საფუძვლების დახასიათებას და არც შიშის მეცნიერულ ახსნას. იგი მხოლოდ ხატავს, ხატავს რეზულტატებს.

ანტონ ჩეხოვს თავის მოთხრობაში აინტერესებს არა თავისთავად შიში (კუბრინისაგან განსხვავებით), როგორც სიკვდილის მიზეზი, არამედ ასეთი შიშის წარმოშობის საფუძველი. მოთხრობა ხატავს წვრილი ჩინოვნიკის მდგომარეობას საზოგადოებაში, მის დამოკიდებულებასა და შიშს უფროსებისადმი. იგი ხატავს ადამიანს, რომელიც თავისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გამო იმდენად ბეჩავია სულიერად, რომ შეუძლია შიშისაგან მოკვდეს. მოთხრობაში არაა შიშის, როგორც სულიერი და ფიზიოლოგიური მდგომარეობის ანალიზი. აქ არც ადამიანების ბედზე მსჯელობაა ინტროინდულ რუსულ სინამდვილეში. მაგრამ სურათი დახატულია ისეთი სიძლიერით, ისეთი სიხსადით, რომ მკითხველი ამ ნახატის, ამ სახის იქით ხედავს მაშინდელი რუსული სინამდვილის მთელ საშინელებას.

მსგავსი მოვლენებისა და მისი საფუძვლების ცხოვრებაში ნახვის, შესწავლის შემდეგ მეცნიერი იძლევა მათ სწორ, მეცნიერულ ახსნას ცნებებში და ცნებების მეოხებით. მსგავსი მოვლენებისა და მისი საფუძვლების ცხოვრებაში ნახვისა და გაცდის შემდეგ მწერალი ქმნის კონკრეტულ სურათს, რომელიც დამახასიათებელი და სწორი იქნება მთელი სინამდვილისათვის.

არის კიდევ ერთი და, ჩვენი აზრით, მთავარი, განმასხვავებელი ნიშანი ცნებასა და სახეს შორის.

რა მორალურ, პოლიტიკურ და სოციალურ შინაარსსაც არ უნდა ატარებდეს მხატვრული სახე, ის ყოველთვისაა შექმნილი „მშვენიერე-

ბის პრინციპით“. მისი მიზანია მუდამ ემსახუ-
როს, ჭეშმარიტებისა და სიკეთის გვერდით, სი-
ლამაზესა და მშვენიერებას. მისი ფუნქციაა აღ-
ზარდოს მხატვრული გემოვნება, განავითაროს
და უფრო დახვეწოს სილამაზისა და მშვენიე-
რების განცდის ჩვენი უნარი. რაც უფრო ჭეშ-
მარტია სახის შინაარსი, რამდენადაც მეტად
უწყობს ის ხელს სიკეთეს, იმდენად დიდია მისი
ესთეტიკური ღირებულება და მნიშვნელობა.

გარდა ამასა, სახე, როგორც მხატვრული ფე-
ნომენი, არა მარტო სინამდვილის ცოდნისა და
ახსნის, არა მარტო მხატვრული გამოგონების
შედგეგა, არამედ, ამასთანავე, მწერლის მიერ
სინამდვილის შეფასების, მისი მსჯავრდების
შედგეგა. ეს თავისებურება არ არის, ყოველთ-
ვის არ შეიძლება იყოს ცნებაში.

შეიძლება და გავვეყვებინა დასკვნა, რომ
ცნებაცა და სახეც სინამდვილის შემეცნების შე-
დეგები არიან. პირველი აზრობრივი ფენომენია,
მეორე — გარკვეულ-კონკრეტული. ემოციურ-
აზრობრივი. მათი განსხვავებულობა და სპე-
ციფიკა განსაზღვრავს მეცნიერებისა და ხელოვ-
ნების განსხვავებას საერთოდ. ისინი, როგორც

ცნობილია, არ ეწინააღმდეგებიან, არ ცვათარ-
ხავენ, არ ცვლიან ერთმანეთს. მათი არსებობა
მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთშე-
რობაა. მათი დადგენისა და შექმნის მიზანი
სხვადასხვაა, მაგრამ ისინი, საბოლოო ჯამში,
ჭეშმარტებას, სიკეთეს და სილამაზეს ემსახუ-
რებიან.

ლიტერატურათმცოდნეობასა და თეორიაში,
თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვე-
ვები, როცა ცნებას აიგივებენ იდეასთან, ხოლო
სახისა და ცნების დამოკიდებულებას — სახისა
და იდეის დამოკიდებულებასთან. ამის საფუძ-
ველს უთუოდ იძლევა ცნებისა და იდეის, რო-
გორც აზრობრივი ფენომენების მსგავსება. სა-
ჭიროა ხაზი გავსვას ასეთი ტენდენციის მცდა-
რობას. ცნება და იდეა კარდინალურად სხვადა-
სხვა მიმართებაში არიან ლიტერატურულ სა-
ხესთან. ცნებისა და სახის შეპირისპირება ყო-
ველთვის გულისხმობს მეცნიერებისა და ხე-
ლოვნების შეპირისპირებასაც, რაც არავითარ
შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას სახისა და
იდეის ურთიერთმიმართებაზე.



სიგომ პელაჭოკია

შენიშვნები ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ

ესთეტიკური აღზრდის ამოცანა ისევე ძველია, როგორც თვით აღზრდა. იგი ორგანულადა დაკავშირებული აღზრდის შინაარსთან, რომელიც, თავის მხრივ, იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად. ტრადიციული გაგებით, ესთეტიკა არის მოძღვრება მშვენიერების შესახებ, მეცნიერება სილამაზის კანონების შესახებ. ესთეტიკურად ჩაითვლება საგანი, ან მოვლენა, რომელიც გვიტაცებს, გვიზიდავს, გვზიზლავს, გვატკობს, განგვაცდევინებს სულიერ სიამოვნებას. მაშასადამე, მშვენიერების გრძნობა იგივე ესთეტიკური გრძნობაა და, გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკურ აღზრდას ჩვენს საზოგადოებაში.

პარტიის XXI ყრილობამ „საბჭოთა ადამიანის მშვენიერი მორალური სახის“ ჩამოყალიბებისათვის საბჭოთა სკოლას ამოცანად დაუსახა „მშვენიერების სამყაროს გადაშლა ახალგაზრდა ადამიანების წინაშე“. სკოლამ უნდა გაავებინოს და განაცდევინოს ახალგაზრდობას ცხოვრების, ბუნების, ხელოვნების მშვენიერება, რაც გამოხატულია მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის შემოქმედებაში, მაგრამ, ცხადია, მშვენიერება მარტო ხელოვნებით არ ამოიწურება. ადამიანი აღიქვამს ყოველგვარ მშვენიერებას, რომელიც ახასიათებს ობიექტურ სამყაროს, ბუნებას, საზოგადოებას. ამასთან ადამიანი არა მარტო აღიქვამს, ქმნის კიდევაც მშვენიერებას. ამიტომ ადამიანის ესთეტიკური განვითარება ხდება ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში. ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა, რასაც ყველაზე უფრო დასისტემებული და მიზნობრივი ხასიათი

უნდა ჰქონდეს, მაინც უმთავრესად სკოლაში მიმდინარეობს. სკოლის შენობა, ეზო, მასწავლებლები და მოსწავლეთა კოლექტივები, მთელი სკოლის მუშაობის შინაარსი, მეთოდები და ფორმები, სკოლის მთელი გარემო ცოდნის მიღების სურვილთან ერთად უნდა უნერგავდეს მოსწავლეს წესიერების, სილამაზის, მშვენიერების სიყვარულს.

თავის მხრივ, ამ ამოცანის განხორციელებას მეტწილად ემსახურება სკოლაში ყველა სასწავლო დისციპლინა, სწავლა-აღზრდის მთელი სისტემა, მაგრამ „მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანა, რომლის არსი ცხოვრებისა და ხელოვნების მშვენიერების სწორად აღქმისა და გაგების უნარის ყოველმხრივად განვითარებაში მდგომარეობს, უმთავრესად წყდება ლიტერატურის გაკვეთილებზე“ (ეჟრანალი „სოვეტსკაია პედაგოგია“, 1959 წ. № 3, გვ. 45).

ლიტერატურა არის სიტყვიერი ხელოვნება. მის სპეციფიკას შეადგენს მხატვრული სახე, რომელიც იგი ნათლად და ცოცხლად წარმოგვიდგენს ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს და იწვევს სიმპათიას, ან ანტიპათიას, ე. ი. წარმოიშობა გარკვეული ესთეტიკური გრძნობა. მხატვრული სახის აღქმა ყოველთვის უკავშირდება ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა მხარეს, იწვევს ღრმა განცდებს, ფიქრებით გატაცებას, აქტიურობას. მოქმედებისადმი მისწრაფებას. აქ უაღრესად აქტიურია წარმოსახვის როლი, ძლიერია ასოციაციები, იზადება სურვილი, რომ ადამიანი წაბძლოს იმას, რაც ასე ამაღლებლად მოქმედებს მასზე, ან იბრძოდეს მის წინააღმდეგ.

ცხადია, ემოციის სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერია ნაწარმოების იდეური შინაარსი, რამდენად ორიგინალური და ძლიერია მხატვრული გამოსახვის საშუალება და, რაც მთავარია, რამდენად გასაგებია ყოველივე ეს მკითხველისა და მსმენელისათვის. ერთი და იგივე ნაწარმოები ერთნაირ ემოციას ვერ გამოიწვევს განუეთარებელსა და მაღალი გემოვნების მქონე მკითხველში.

დიდმა რუსმა იგავთმწერალმა ი. კრილოვმა სწორედ ამ ნიადაგზე შექმნა თავისი ცნობილი არაკი „ვირი და ბუღბუღი“. კრილოვის დიდი სახელით დაინტერესებულმა, მაგრამ დაბალი გემოვნების მქონე პიროვნებამ იკისრა შემფასებლის როლი და კრილოვს ამკობინა ნაკლებად ნიჭიერი ი. დიმიტრიევი. ალეგორიულად ეს იგივეა, რომ ბუღბუღის გალობას მამლის ყივილი ეამკობინათ. ამიტომ ღირსეული ყველა რეალური სახითაა წარმოდგენილი ამ არაკეში ეს ჩამორჩენილი შემფასებელი. ვისაც წაუკითხავს ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკინ მექლანუა-შვილი“, მას არასოდეს არ დაეიწყებდა სოლომონის სასაცილო მდგომარეობა თეატრში, როცა მან უღროოდ დაუკრა ტაში მომღერალს, ასტეხა ყვირილი და ჰმაუთი მოწონების გამოსახატავად და ამით საშინლად შეირცხვინა თავი, გამოამძღვანა რა საოცარი უკუღმტურობა. ეს მოხდა იმიტომ, რომ სოლომონს არ ესმოდა ის, რასაც აფასებდა, არ ჰქონდა სათანადო გემოვნება და გაგება.

ამგვარად, ესთეტიკური აღქმის სისწორე და სიძლიერე დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად სწორად ერკვევა აღმქმელი ხელოვნების საკითხებში.

ჩვეულებრივ, როდესაც მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირსების შესახებ ვლაპარაკობთ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს გამოსაზატავი საგნისა და გამოსახვის ფორმის შესაბამისობა.

სკოლაში მხატვრული ნაწარმოების სწავლების ესთეტიკური აღქმა, ესთეტიკური გაგება წარმოიშობა მაშინ, როდესაც მოსწავლეს არა მარტო ესმის ნაწარმოების თემა და იდეა, არამედ კიდევაც სჯერა, რომ ნაწარმოებში წარმოდგენილი ცხოვრებისეული სურათები ასეთი ორიგინალური სახით, ალბათ, სხვას არ დაუხატავს. ამიტომ იწვევს ეს ნაწარმოები მსმენელის დიდ აღფრთოვანებას. მაგრამ თუ მკითხველის მიერ მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის სწორად გაგება ხელს უწყობს სათანადო ემოციის წარმოშობას, თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც აძლიერებს, აღრმავებს და განამტკიცებს ნაწარმოების იდეის სწორად გაგებას, ხელს უწყობს მის არა მარტო აღქმას, არამედ

დამახსოვრებას და გამოყენებას. ამიტომაც სკოლაში ლიტერატურის სწავლება უნდა იდეური, ესთეტიკური და მორალური უზრუნველყოფის რთულ ამოცანას.

მსმენელზე მხატვრული ნაწარმოების ემოციური ზემოქმედების ძალა განსაკუთრებით დიდია მაშინ, როცა ნაწარმოების ტექსტს გამოუმეტყველებთ კითხულობენ, გამოუმეტყველებთ წაითხვა კი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც წასაკითხავი ტექსტი, მისი ყველა ნაწილი კარგად ცნობილია წამკითხველისათვის. სკოლაში ასეთი წამკითხველის როლი ეკუთვნის მასწავლებელს. იგი წინასწარ უნდა მოემზადოს გამოუმეტყველებითი კითხვისათვის, ხოლო მოსწავლე მხოლოდ მაშინ შეძლებს ტექსტის გამოუმეტყველებით წაითხვას, თუ სათანადო ნიმუშის მოსმენისა და ახსნის მეოხებით სწორად გაიაზრებს ტექსტის თვითეულ სიტყვა-გამოთქმას, თვითეულ ფრაზას.

სამუშაოროდ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი მოუზადებლად ატარებს მხატვრული ნაწარმოების კითხვას სკოლაში, გამოუმეტყველებით კითხვას ცვლის მონოტონური, უხალისო, ჩქარი კითხვით, რომელიც არც აზრის გაგებას ეხმარება და არც ემოციას იწვევს, პირიქით, მომბეზურებელია და მოსწავლეებს აბათიურ განწყობილებაზე აყენებს.

ზოგი ფიქრობს, რომ მხატვრული ნაწარმოების გამოუმეტყველებით წაითხვისათვის აუცილებელია იყოს მსახიობი. ეს არ არის სწორი. სწორი არ არის აგრეთვე მასწავლებელთა წრეში გავრცელებული შეხედულება, თითქმის ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებელს არ შეუძლია გამოუმეტყველებითი კითხვა და ამიტომ იგი (მხატვრული კითხვა) მხოლოდ ზოგიერთს უნდა მოეთხოვოს. მართალია, ყველას არა აქვს გამოუმეტყველებითი კითხვის ერთნაირი უნარი და შესაძლებლობა, მაგრამ ყველა მასწავლებელი ვალდებულია საშუალო მოსწავლეზე უკეთ მოამზადოს და იცოდეს ის, რასაც სხვას უნდა ასწავლიდეს. ეს სადაო არ არის, როცა მასწავლებლის კითხვა მომზადებულია, გამოუმეტყველებითი, მაშინ ძირითადად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიერ მასალის შინაარსის სწორად გაგება, სათანადო ემოციისა და ინტერესის გამოწვევა და ამის შედეგად კლასში საუკეთესო დისციპლინა დამყარდება.

ავიღოთ ორი მაგალითი ჩვენი სკოლების სინამდვილიდან. მასწავლებელმა ძალიან კარგად წაუკითხა მოსწავლეებს შერჩეული ადგილები ი. ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივიდან“ და ისეთი ინტერესი, წარმოშობას, განცდები განუეთარა მათ, რომ ამ წაითხვის შედეგად სასახნელი თითქმის არაფერი დარჩა. კლასში დამყარდა

ახლოებული სიზმურე. ყველას სახეზე იღობე-
და ძლიერა გრძნობა, რომელიც გამოიწვია ად-
მინის ტრავმების წარმოსახვამ და გაიქცა.

მეორე მასწავლებელმა მოსწავლეებს წაუ-
კითხა მოთხრობის „კაცია ადამიანი?!“ ის აღგი-
ლი, სადაც წარმოდგენილია ტახტზე წამოგორე-
ბული ლუარსაბი, რომელიც „უღის“ იძიის და
ცალი ფეხი მანამ აქვს აშვებული, სანამ „უღას“
ძახილს არ გაათავებს. მოსწავლეებს ბუნებრი-
ვი დიმილი გამოეხატათ სახეზე და ზოგმა სი-
ცილიც ვერ შეიკავა... მასწავლებელმა ეს წეს-
რიგის დარღვევად მიიჩნია, შეწყვიტა კითხვა
და შეუდგა მოსწავლეთა დამშვიდებას... ეს
არის გამომეტყველებითი კითხვის ნამდვილად
მცდარი გაგებისა და გამოყენებას შედეგი.

ბათუმის განათლების განყოფილების პედა-
გოგურმა კაბინეტმა სცადა მოეწყო დაწყებითი
კლასის მასწავლებელთა სემინარული მეცადი-
ნობა გამომეტყველებით კითხვაში. რამდენიმე
კარგმა მასწავლებელმა მოამზადა და წაიკითხა
სხვადასხვა ტექსტი და ამ მუშაობამ დამსწრეთა
დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ თითქმის
ვერც ერთმა ვერ შეძლო ტექსტის წაკითხვა ისე-
თი სრულყოფით, როგორც ეს გააკეთა ამ სემი-
ნარის ხელმძღვანელმა, დამსახურებულმა პედა-
გოგმა მ. ლოლუამ. ხანდაზმულობის მიუხედა-
ვად, მან ისეთი ოსტატობით, ისეთი ბუნებრიო-
ბით წაიკითხა რამდენიმე ტექსტი, რომ ყველა
აღადრთოვანა. ასეთი ოსტატების ცოდნა-გა-
მოცდილება ნამდვილად ფართო განზოგადების
ღირსია.

ერთი სიტყვით, აუცილებელია თვითეული
მასწავლებელი დაკინებით მუშაობდეს და
სრულყოფდეს კითხვის ტექნიკას. ამასთან სა-
თანადო ნიმუშის მიცემის შემდეგ გაკეთებულ-
ზე სისტემატურად აფარკრებდეს მოსწავლეებს
გამომეტყველებით კითხვაში, მაგრამ ამისათვის
მარტო გაკეთებულები არ არის საკმარისი. მოს-
წავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის დიდი
მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე და სკოლის გა-
რეშე ღონისძიებათა წარმოადგენად ჩატარებასაც.

ყველას უნახავს, თუ რა გატაცებთ ცდილო-
ბენ ბავშვები წაბაძონ ორატორებს, მაგრამ, სა-
მწუხაროდ, სცენიდან თუ ტრიბუნიდან ზოგჯერ
ისეთ ნიმუშებს აწვდიან ნორჩ მსმენელებს, რომ
მათი გამოყენება ნაკლებად სასურველი იქნე-
ბოდა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით.
ქართული ლექსის ბუნების სუსტად ცოდნა და
ზოგიერთ დაბალხარისხოვანი დეკლამატორი-
საღში წამბამელობა განსაკუთრებით საგრძნო-
ბია ჩვენი აბალგაზრდობის ერთ ნაწილში.

სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენი მოსწავლე-
ები, უმთავრესად პატარები, მხატვრულ საღა-
მოებზე ხშირად ისეთი არაბუნებრივი ხმით კი-

ბელობენ ლექსებს, წარმოთქვიან მოსწავლე-
ბელ სიტყვებს, რომ ესთეტიკური ტექნიკის საკ-
ვლად ზოგჯერ უსიამოვნების გრძნობასაც იწვე-
ვენ. მიუღ ლექსსა თუ სიტყვას. მისი მნიშვნე-
ლანობის თვისებების მიუხედავად, თითქმის ყოველ-
ლით წარმოთქვამენ, ე. ი. წარმოთქმას არ ახ-
ლავს ის გამომეტყველება, რის გამოც მას გა-
მომეტყველებითი ეწოდება. ამასთან უადგი-
ლოდ იყენებენ ქესტს, თითქმის თავიდან ბო-
ლომდე ინარჩუნებენ უცვლელ მიმიკას და, რაც
მთავარია, ლექსის ყველა ტაქსს ამთავრებენ
მალა შეტყორცნილი ხმით, ქართული ენისა-
თვის შეუსაბამო მახვილით ყველა სართომო
მარცვალზე.

იმ კლასგარეშე ღონისძიებათა შორის, რომ-
ლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს მოსწავ-
ლეთა ესთეტიკურ განვითარებას, აღსანიშნავია
ლიტერატურული წრის მუშაობა. გარდა იმისა,
რომ წრემ ჩატარებული მეცადინეობანი აფარ-
თოვრებენ მოსწავლეთა ცოდნის პირიზონტს, ამ-
დივრებენ მათ გრძნობა-გონებას, განსაკუთრე-
ბით აღსანიშნავია, რომ აქ მოსწავლეები ეჩვე-
ვიან საგარო გამოხედვებს, შეკითხვისა და კა-
მათის წესებს, ემზადებიან პრაქტიკული ცხოვ-
რებისათვის.

ბევრ ჩვენს სკოლას საწრეო მუშაობის მდი-
დარი ტრადიცია აქვს. კერძოდ, ლიტერატურის
შემსწავლელი წრეები დაკავშირებული არიან
მუზეუმებთან, ხელოვანთა ორგანიზაციებთან და
სხვა კულტურულ დაწესებულებებთან, სადაც
ტარდება სისტემატური მეცადინეობა. მაგრამ
ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ არის.
ბევრგან, უმთავრესად სოფლის სკოლებში, ამ
მუშაობას ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს
და მოსწავლეთა ნაკლებ ინტერესს იწვევს.
წრეებში უპირატესად რეფერატები იკითხება
და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია
ორიგინალობას. ბათუმის მიუღ რაც სკოლებ-
შიც კი შემთხვევიდან შემთხვევამდე უშვებენ
კარგად გაფორმებულ ლიტერატურულ კვლის
გაზთვებს, ხოლო ხელნაწერი ლიტერატურული
ფურნალი მხოლოდ ორ-სამ სკოლაში გამოდის.

ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯი გადადგეს ბათუ-
მის მე-3 და მე-4 საშუალო სკოლებმა. მე-4
სკოლაში, მაგალითად, 1950 წლიდან რეგულა-
რულად გამოდის მოსწავლეთა ხელნაწერი ლი-
ტერატურული ფურნალი „პირველი ნაბიჯი“,
რომლის ზოგა ნომერი საკმაოდ შინაარსიანია
და გაფორმებითაც არ არის ცუდი. მთავარია
ის, რომ ამ ფურნალში ყველაფერი მოსწავლეთა
ნახედავია.

აი რატომ არის, რომ მოსწავლეთა მნიშვნე-
ლოვან ნაწილს, რომელიც შეიღწლიანი და სა-
შუალო სკოლის კურსს ამთავრებს, არ გააჩნია

ის ესთეტიკური განვითარება, რაც თანდათანობით უნდა მიედლო უმცროსი კლასებიდანვე. იმ სკოლების დაწყებით კლასებშიც კი, სადაც საკმაოდ მოწესრიგებულია სასწავლო-მატერიალური ბაზა, ხატვისა და სიმღერის გაკვეთილებს ხშირად არ იყენებენ დანიშნულების მიხედვით. ეს გაკვეთილები უმეტესად დაბალხარისხოვანად ტარდება, ზოგჯერ კი შეცვლილია სხვა სახეებით.

იმის გამო, რომ თვით ენისა და ლიტერატურის სწავლება ხშირად სათანადო დონეზე არ დგას, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტყველების კულტურის გაუმჯობესებას, ხელოვნების რაობის გაგებას, ლიტერატურის თეორიის ცოდნას და ა. შ. ახალგაზრდობის ნაწილს ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვს პოეტურ ხელოვნებაზე, დარბი და ერთფეროვანია მათი ლექსიკონი, ბევრ მათგანს არ შეუძლია თავისი აზრის სწორად და ლამაზად ჩამოყალიბება. მათს ზეპირსა და წერით მეტყველებაში იშვიათად შეხედებით, მაგალითად, მოხდენილ ეპითეტებს (მით უმეტეს რამდენიმე ეპითეტს ერთად), შედარებასა თუ მეტაფორას. დამოუკიდებლად შესრულებულ მათ ნაწერში თითქმის არ არის კითხვისა და ძახილის წინადადება. არც ერთი მოხდენილი ჩართული გამოთქმა და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს ძლიერ სუსტი წარმოდგენა აქვს სახვით ხელოვნებასა და მუსიკაზე, რადგან სკოლა ამ მხრივ მათ ბევრს არაფერს აძლევს.

ასეთი ნაკლოვანებანი, ცხადია, შეუთავსებელია ახალგაზრდის წიგნიერებასთან, განათლებასთან და მოწივობს ესთეტიკური აღზრდის ჩამორჩენას.

* * *

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა „მოსწავლეთა ქცევის წესები“. მათში ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რაც მომავალი თაობის აღზრდისათვის უნდა განახორციელოს სკოლამ (თუმცა ამჟამად, საკლებით დროულად, დაისვა „წესების“ შევსების საკითხი). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ სკოლაში არ სრულდება ეს ქცევის წესები. ისე როგორც მეცნიერებათა ძირითადი საფუძვლების სწავლებაში, აქაც ზოგი სკოლის მუშაკები ვერ აცდენენ ფორმალისმს. ისინი უმთავრესად იმით კმაყოფილდებიან, რომ მოსწავლეებმა ზეპირად იცოდნენ „წესების“ ყოველი მუხლი, ხოლო მათ შესრულებას თითქმის არც კი ასწავლიან და, მით უმეტეს, არ ამოწმებენ. აქაც მტლავნდება სწავლა-აღზრდის სუსტი კავშირი ცხოვრებასთან.

აეილოთ, ერთი შეხედვით, ისეთი უბრალო საკითხი, როგორცაა მისაღება. ჩვენი მოს-

წავლეები ხშირად არ იცავენ მისაღების წესს. ისინი გლოდებიან, თუ როდის მისაღებია მომსწავლეებელი, ან ასაკით უფროსი სხვა ადამიანი, რათა შემდეგ უპასუხონ. შერყენს მისაღებაზე პასუხსაც უწესოდ მსჯელობენ რულის ამ სირბილის დროს გიპასუხებთ. მასწავლებელმა (ცხადია, მშობელმა!) პრაქტიკულად უნდა უჩვენოს ბავშვს მისაღების წესი, რამდენჯერმე უნდა გაამეორებინოს და ყოველთვის მოითხოვოს ამ წესის დაცვა.

მოუწესრიგებელია გაკვეთილზე მისაღების საკითხიც. ნამდვილად მიუღებელია მთელი კლასის საპასუხო შემახება მასწავლებლის მისაღებაზე. რატომღაც ძალიან გავრცელდა გაკვეთილზე მასწავლებლისადმი მისაღებისას მთელი კლასის მიერ ხმაშლილი სიმღერისებურად წარმოთქმა სიტყვისა „სა-ლა-ამი“ (ასევე რუსულად: „ზღრავსტევიტი“), რაც უარსაყოფია. კლასში მასწავლებლის შესვლისას მოსწავლეები ფეხზე აღგომით უნდა გამოსატყვენენ თავიანთ მისაღებას, ხოლო მასწავლებელმა თავის მხრივ უპასუხოს: „სალამი. დასხედით...“ და დაიწყოს გაკვეთილი. ეს აზრიანიც არის, საქმიანიც და ლამაზიც.

წესიერად აღზრდილი მოსწავლე სკოლიდან წასვლის დროსაც თავაზიანად უნდა გამოემშვიდობოს მასწავლებელს. ცხადია, მიუღებელია ძლიერ გავრცელებული და ხშირად ზედმეტად ხმარებული მიმართვა „მასწავლებელო“, ნაცნობთან მისაღებისას ზომიერი ღიმილი საჭიროა. მაგრამ როცა ახალგაზრდა ძალიან ხმაშლილი და სიცილით ესაღება ადამიანს, ეს უკვე უზრდველობაა. როდესაც მოსწავლე მხოლოდ დირექტორს ესაღება და, ვთქვათ, სკოლის ტექნიკურ მუშაკებს კი არა, ან მათ „შენობით“ მიმართავს — ეს უკვე მისი მლიქვნელობის გამოხატულებაც არის.

ნათქვამია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო. ადამიანის აკურატობა, წესიერი ჩაცმა და თავდაპირველი ქცევა მნახველში ყოველთვის იწვევს კმაყოფილებისა და სიამოვნების გრძნობას. მაგრამ გარეგნული მორთულობით გატაცება ზოგჯერ სიმახინჯეოდ მიდის. ეს გარემოება საგრძნობია ახალგაზრდობის ერთ ნაწილში.

ჩაცმის საქმეში სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ე. წ. „სისადავის სილამაზე“. არაა რეკომენდებული მოსწავლე ქალებისათვის ტანზე შემოსხლეტილი ტანსაცმელი (მინიაოქებელი კაბა და მსგავსივე წინსაფარი სწორედ ამიტომაა შემოღებული) და ვაყების მიერ საყელის გახსნა და გულმკერდგადღეილი გამოსვლა საზოგადოებაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხილ-პიპილებიანი ჩაცმულობა თავისთავად უწ-

ყოფს ხელს ახალგაზრდის არაბუნებრივ მანერებს.

ცნობილია, რომ ადამიანის სიფაქიზე და სიზუსტე დაკავშირებულია მის წესიერებასთან. ამის გამო ამბობდა მაკარენკო: „ძნელია იმის წარმოდგენა, რომ უსუფთაო, მოუწესრიგებელი ადამიანი ყურადღებას აქცევდეს თავის მოქმედებას“ (ციტირებულია კრებულიდან: „ეთიკური საუბრები მოსწავლეებთან“, მოსკოვი, 1958 წ., გვ. 77). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის გარეგნობა, ჩაცმა, მანერები მის ბუნებას ავლენებენ. „გარეგნული სისუფთავე და ბრწყინვალეობა შინაგან სიწმინდესა და სილამაზეს უნდა გამოხატავდეს“ (ბელინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, მოსკოვი, 1948 წ., გვ. 59) და, როცა ეს შეფარდება ირღვევა, მაშინ რჩება ფორმა უშინაარსოდ, რაც არასოდეს არ არის ესთეტიკური.

იმ ადამიანთაგან, რომელთა გარეგნობა და ჩაცმულობა, ხასიათის თავისებურებანი, ქცევა და მეტყველება შთამავალნებლად მოქმედებენ მოსწავლე ახალგაზრდებზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თვით მასწავლებელი. ვისაც რამდენიმე წლის განმავლობაში უსწავლია სკოლაში, მას შეიძლება ღრმა მოხუცებულობამდე ვაჰყვეს თავისი მასწავლებლის არა მარტო კარგი გაკვეთილების მოგონება, არამედ მისი პიროვნების დამახასიათებელი იერი, მისალმება-გამომშვიდობება, ხუმრობა-საუბარი და სხვებთან ურთიერთობის სხვა საინტერესო ეპიზოდები. ეს გარემოება აძლიერებს მასწავლებლის პასუხისმგებლობის ვრცნობას.

მაგრამ ადამიანის აღზრდა მარტო სკოლასა და ოჯახში არ ხდება. ასაკობრივად მოზრდილი ადამიანებიც კი საზოგადოების გავლენით ხშირად განიცდიან კულტურულ ზემოქმედებას და იცვლიან არა მარტო ქცევას, მანერებს, არამედ შეხედულებებსაც კი. უდიდესი სკოლა თვით ცხოვრებაა. საზოგადოებაში ადამიანთა მოქმე-

დება განისაზღვრება ქცევის დაწესებულებების მეშვეობით. განსაზღვრულ ღროში ეს ნიშნები ტრადიციად, ანუ ე. წ. დაუწერელ კანონებს ქცევისა და აზროვნებისა, ანუ ტრადიციის საზოგადოებრივ წესებს წინსვლასთან დაკავშირებით კარგავს ძალას და მის მაგივრად შემოდის ახალი. ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მოწესრიგებისათვის ზრუნვამ ხელი უნდა შეუწყოს ახლის სახით მხოლოდ პროგრესული და ჯანსაღი მოვლენების დამკვიდრებას საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით უნდა მოვეციდოთ ყოველგვარ სიახლეს, რომელიც შემოდის ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული სიახლენი. მაგალითად, ტელეფონით ლაპარაკის წესს ჩვენში ძალიან დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ თითქოს ტრადიციულ სიმკვიდრეს იღებს ტელეფონით მოლაპარაკის შეკითხვის არასასურველი ფორმა: „რომელი ხარ?“ და არა „ვინ ბრძანდებით?“ თუ ტელეფონში არა, ქართველი კაცი ასე უხეშად არ მიმართავს სხვას.

მეტყველების კულტურისათვის ბრძოლა მომავალი თაობის აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აღზრდის ყველა დარგში, განსაკუთრებით მეტყველების განვითარების დარგში, არსებითი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკას, მოსმენას, მიბაძვას, პირად მავალითს, რასაც უმთავრესად სკოლა უნდა ახორციელებდეს.

ამგვარად, სკოლა, ფაბრიკა-ქარხანა, ოჯახი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა სიტყვითა და საქმით, თვორითა და პრაქტიკით ხელს უნდა უწყობდნენ ყოველმხრივ განვითარებულ, ჯანსაღი ესთეტიკური გამოვლების მქონე ახალგაზრდობის აღზრდას... „რათა ჩვენი სკოლა ამზადებდეს დიდი სამბოლო სახელმწიფოს ყოველმხრივ განათლებულ და შეგნებულ მოქალაქეებს“ (გაზ. „პრაედა“, 1959 წ. 30 მარტის მოწინავე).





ზიჯა ხინთიბიძე

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შვიდწლელი

თანამედროვე ეტაპზე, ისე როგორც ყოველთვის, პარტიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ამ მიმართულებით შეიძწლიანი გეგმა ქვეყნის მთლიანად განდიოხულ ამოცანებს ისახავს. იგი ითვალისწინებს ეროვნული შემოსავლის ზრდას 1965 წლისათვის 62-65 პროცენტით. შემდგომ გაიზრდება ფულადი ხელფასი, პენსიები, შეიკრდება ფასება საზოგადოებრივ კვებაში, რაც მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავლის 40 პროცენტით გადიდებას გამოიწვევს. ამდენადვე გაიზრდება კოლმეურნეთა რეალური შემოსავალიც. უმთავრესად კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის მეოხებით.

დასახულია დიდი ღონისძიებანი მშრომელთა საბინაო პრობების, სამედიცინო დახმარების, სავაჭრო მომსახურების და სხვა დარგებში. საკმარისია ითქვას, რომ შარშან სსრ კავშირის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 80 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სასოფლო დასახლებული პუნქტების კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ ააგეს 850 ათასამდე საცხოვრებელი სახლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმატებით სრულდება განდიოხული ამოცანა — 10-12 წელიწადში მოგსპოთ ბინების ნაკლებობა, ყოველ ოჯახს მივცეთ კეთილმოწყობილი ბინა. 1965 წელს ახალი ბინების საერთო ფართობი 650-660 მილიონ კვადრატულ მეტრს მიადწევს.

შარშან მოსახლეობას მიეცა ათეულ ათასობით ტონა ხარკი, რძე, დიდძალი სამრეწველო და სასურსათო საქონელი. შემდგომ გაფართოვ-

და სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი. გადიდა ჩანმრთელობის კერების რაოდენობა.

შეიძწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესასრულებლად მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებათ იბრძვიან საქართველოს მშრომელები. შარშან საქართველოში აშენდა სულ ცოტა 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გაიზარდა საქონელბრუნვა, მაღაზიების, სასადილოებისა და სხვა საწარმოთა ქსელი. თუ რაოდენ დიდია პარტიის ზრუნვა ადამიანისათვის, ამას ნათლად მოწამობს ის ფაქტიც, რომ შარტო 1960 წელს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გადიდება 660 მილიონი მანეთით და მიადწევს 11.620 მილიონ მანეთს. გაფართოვდება და აიგება ახალი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დასახლებული სახლები, ჩანმრთელობის დაცვისა და საკურორტო მშენებლობის დარგში კაპიტალურ დახმანდებათა საერთო მოცულობა 1960 წელს შეადგენს 77,7 მილიონ მანეთს.

განუხრელი აღმავლობის გზით მიდის მზითური აჭარა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი ვახდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კუთხე. აჭარის ქარხნები და ფაბრიკები ასობით მილიონი მანეთის პროდუქციის უშვებენ. მათი ბევრი ნახელავი იგზავნება არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, არამედ საზღვარგარეთაც. აჭარას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. წარსულს ჩაბარდა მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა, რესპუბლიკაში აღარ არის ისეთი სოფელი, სადაც

არ იყოს სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ექიმების, მასწავლებლების, ინჟინრების, აგრო-ზოოვეტსპეციალისტთა და სხვა ადგილობრივი კადრები. ფართოდ განვითარდა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების ქსელი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახელმწიფო და კოლხერაციული ვაჭრობა. შარშან მოსახლეობას მიეყიდა ასობით მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი, გაფართოვდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი.

ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. მარტო გასულ წელს საქსპლოატაციოდ გადაეცა 37.360 კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი (როგორც სახელმწიფო, ისე ინდივიდუალური მშენებლობის ხაზით). სულ შეიძწლედის განმავლობაში აშენდება ორასი ათასი კვადრატული მეტრი ბინა. დიდი მოვლენა იყო ბათუმის მშრომელთა ცხოვრებაში გაზიფიკაცია. ქალაქში უკვე ორი ათასზე მეტი გაზქურაა. მიმდინარე წელს მათ მიემატება კიდევ ერთი ათასი გაზქურა.

ამჟამად აქარის მოსახლეობას ემსახურება 44 საავადმყოფო და დისპანსერი 1965 საწოლით, 29 ამბულატორია, 76 საექიმო და საფერშლოსაბეგბო პუნქტი, 45 ბავშვთა ბავა და სხვ. ახლანან დამთავრდა და საქსპლოატაციოდ გადაეცა 100-საწოლიანი საავადმყოფო ბარცხანაში.

ქვემარტივად გრანდიოზული გეგმებია დასახული მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკის მიმდინარე წელს — შეიძწლედის მეორე წელს. დამთავრდება ქობულეთის რაიონული 100-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა, ორ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება მახინჯაურში დასასვენებელი სახლის „მზიურის“ მშენებლობის დასამთავრებლად, ხუთი პროცენტით გაიზრდება საწოლების რიცხვი საავადმყოფოებში, აქედან სოფლად 18 პროცენტით.

შვიდ მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდება საბინაო მშენებლობას, აქედან მარტო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ამ დანიშნულებაზე დახარჯავს 6.800 ათას მანეთს, ანუ 1,3 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე შარშან. ახლანან მიღებული გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში გეგმის გადამეტებით აშენდება 1.900 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ქობულეთში

დაიწყება 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სოფელ ჩაისტბანში აიგება მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი, კიდევ ერთ-ერთი გაფართოვდება ინდივიდუალური მშენებლობა, რასაც მიმდინარე წლიდან № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტი აწარმოებს. ეს გამოიწვევს სამშენებლო მასალებისა და მშრომელთა თანხების დიდ ეკონომიას, გაუმჯობესებს ბინების ხარისხს, ბოლო მოეღება პროექტების თვითნებურად გადაკეთებას.

დაიწყება ქალაქ ბათუმის ახალი წყალსადენის მშენებლობა. შემდგომ გაფართოვდება სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი. ქობულეთში დამთავრდება კეთილმოწყობილი რესტორანის ახალი შენობის აგება. განვითარდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. ქალაქ ბათუმში უკვე დაიწყო საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა. მასში იქნება ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საგნების სარემონტო სახელოსნოები. საცალო საქონელბრუნვა 1960 წელს გაიზრდება 50 მილიონი მანეთით და შეადგენს 832,2 მილიონ მანეთს.

მშრომელთა კეთილდღეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია სამუშაო დღის შემცირება, რაც საშუალებას აძლევს მათ მეტი დრო დაუთმონ კულტურულ განვითარებას, ოჯახს, ბავშვების აღზრდას. ჯერ კიდევ შარშან კოფეინის ქარხანა გადავიდა შეიღსათიან სამუშაო დღეზე, რამაც მუშა-მოსამსახურეთა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების განხორციელებით მშრომელთა ხელფასი კი არ შემცირებულა, პირიქით, რამდენადმე გაიზარდა კიდევაც. მიმდინარე წლის თებერვლიდან შეიღსათიან სამუშაო დღეზე გადავიდნენ ნავთობგადამამუშავებელი, გემოსაშენი და მანქანათმშენი ქარხნები, ხოლო წლის ბოლოსათვის გადავა რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმო.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ასეთი დაუცხრომელი ზრუნვით აღფრთოვანებული ჩვენს ქვეყნის მშრომელები სულ უფრო მეტოთავდადებით იბრძვიან სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.



აზიან შიკაშიძე

ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში

„რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავისი მეორე სამშობლოსადმი მამაშვილური ერთგულება და თავდადება“.

(ქართველ მებრძოლთა წერილიდან საქართველოს მშრომლებს, „პრავდა“, 1943 წ. 16 მაისი).

ნ. ნ. კარაშინი „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ წერდა: „ექვი არ არის, რომ რუსეთს ძველთაგანვე კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან... ივერია ანუ ახლანდელი საქართველო განთქმული იყო თავისი ხალხის მხედრული მამაცობით, ასე რომ ვერც სპარსთა, ვერც მაცედონელთა იარაღმა ვერ შეძლო მისი დამონება. განთქმული იყო აგრეთვე სიმდიდრით“.

XVI-XVII საუკუნეების რუსულ ლიტერატურაში ჩნდება გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ. ასეთია, მაგალითად, მაშინდელ ქრონოგრაფიაში გავრცელებული თხზულება „ივერთა და ქართველთა სამეფოს შესახებ“. ამ თხზულებაში, სხვათაშორის, მოთხრობილია, რომ ყაზანის იერიშის წინ ივანე მრისხანე თავის მეომრებს ამხნევებდა სპარსელებზე თამარ მეფის გამარჯვების ამბით.

რუსულ მატიაწეებსა და სხვა ლიტერატურულ დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ცნობები ქართველთა შესახებ. რუსები ქართველებს თავდაპირველად ივერებს ეძახდნენ. რუსეთში მონღოლ-თათართა შესევის შემდეგ კი ფეხს იყიდებს ქართველთა არაბული სახელწოდება — გურჯი, რომელიც დროთა ვითარებაში ასე შეიცვალა: გურჯი-გურზი-გრუზინეც-გრუზინი.

კიევის რუსეთში კარგად იცნობდნენ საქართველოს. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართველებს

იწვევდნენ როგორც ხატების მხატვრებს და ხუროთმოძღვრებს.

„საფიქრებელია, რომ სწორედ მეზობელი ტმუტარაკანისა და საქართველოს ნაწილის — აფხაზეთის გზით მოდიოდა ქართული ხელოვნების ის ინტენსიური გავლენა, რომლის კვალი შეიმჩნეოდა კიევისა და ჩერნიგოვის არქიტექტურაში, ნოვგოროდის ფერწერაში, ზოგიერთი ხელნაწერის ორნამენტში“ (რუსული ლიტერატურის ისტორია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, ტ. I, გვ. 16).

კიევის რუსეთში რომ კარგად იცნობდნენ საქართველოს, ამას მოწმობს დიდი რუსი მთავრების მოყვრობაც ქართველ მეფეებთან. არის ცნობები (იპატევის მატიაწე), რომ კიევის დიდმა მთავარმა იზისლაემ, მსტისლავ დიდის ძემ, 1154 წელს ცოლად შეირთო საქართველოს მეფის დიმიტრი პირველის ქალიშვილი.

მონღოლ-თათართა შემოსევამ დიდი უბედურება დაატეხა თავს როგორც რუსეთს, ისე საქართველოს. რუსი და ქართველი ხალხები მამაცურად ებრძოდნენ მომხდურებს. ეს თვით მტერზეც აღიარა.

XV საუკუნის დამლევადან, მონღოლთა შემოსევით გამოწვეული ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, რუსეთსა და საქართველოს შორის კვლავ მყარდება დიპლომატიური, სამხედრო და საზოგადოებრივ-კულტურული კავშირი.

მაც შეაჩერეს ნაპოლეონის ოცდაათათასიანი
აჟანგარდი, დაიფარეს რუსეთის არმიის მთავა-
რი ძალების უკანდახვეა და გადაარჩინეს იგი
განადგურებას.

ბაგრატიონი სწორად განსაზღვრავდა ნაპო-
ლეონის ომში მთელი ხალხის მონაწილეობის
აუცილებლობას. და მართლაც, მეთაურობდა
რა რუსეთის მეორე არმიას სამამულო ომის
ყველაზე ძნელსა და გადამწყვეტ უბნებზე, ბაგ-
რატიონმა სერიოზული ყურადღება დაუთმო
პარტიზანული ომის ფართოდ გაჩაღებას და იგი
პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთ სულის-
ჩამდგმელად ითვლება.

ისტორიას არ ახსოვს არც ერთი დამარცხება
მხედართმთავარ ბაგრატიონისა, რომელმაც სამ-
ხედრო მოღვაწეობის ოცდაათი წლის მანძილზე

ოც ლაშქრობასა და ასორმოცდაათ ბრძოლაში
მიიღო მონაწილეობა. მან შეუბღალავად ემო-
ატარა უშიშარი მებრძოლისა და მწყვეტძაღუ-
ლი მხედართმთავრის სახელი ~~გენერალ-ლეიტენანტი~~
დან და ოჩაკოვის კედლებიდან იტალიის მივებას
და ალპების მწვერვალებზე ბოროდინოს ველამ-
დე. აქ კი, ბოროდინოს ველზე, სადაც დაიმსხე-
რა ნაპოლეონის გეგმა — გაენადგურებინა რუ-
სეთის გმირული არმია და დაემარცხებინა რუ-
სეთი, სწორედ აქ, ამ ველზე გაჩაღებულ ის-
ტორიულ ბრძოლაში, საყვარელი სამშობლოს—
დიდი რუსეთისათვის ბრძოლაში დაეცა სასიკე-
დილოდ დაქრილი ლეგენდარული მხედართმა-
ვარი პეტრე ბაგრატიონი, რომელმაც თავისი
წმინდა სისხლით განამტკიცა რუსი და ქართ-
ველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა.



ათაჩ რავითაია

„ოტელო“ ბათუმის რკაბაგულ თეატრში

გენიალური შექსპირის „ოტელო“ ქართულ სცენაზე მრავალჯერ დადგმულა, რევოლუციამდეც და შემდეგაც. ბევრი კარგი სახეებიც შექმნილა, მათ შორის თვით ოტელოც არ გაუხანყენებიათ ქართველ მსახიობებს. აკაკი ხორავამ ხომ მსოფლიოში გაითქვა სახელი ვენეციელი მაგრის როლის უბადლო შესრულებით!

ბათუმის თეატრის კოლექტივმა კარგად იცოდა, რომ ტრადიციის დაღატი არ შეიძლება და ამიტომაც მოეკიდა დიდი ინტერესით სპექტაკლის განხორციელებას. თვეების განმავლობაში იგი დაუღალავად, დაძაბულად შრომობდა და მოიმკო კიდევაც სასურველი ნაყოფი. კოლექტიურობის ეს საუკეთესო მაგალითი სხვებისთვისაც მისაბძია და ბათუმელთათვის ხომ ხელმოსაქიდი და განსამტკიცებელი, ვინაიდან მათ უკვე უფლება აღარა აქვთ დასცენ მომავალი სპექტაკლების ხარისხი. შექსპირს რომ გულთ მოეკიდნენ, კარგია, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუ ასევე გულთ ჩაეკიდებიათ ჩვენსავე დრამატურგიას და მძალხარისხოვნად განახორციელებენ მას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „ოტელოს“ დადგმას დიდი ტრადიცია აქვს საქართველოში. შექსპირის ტრავედია საშუალებას აძლევს რეჟისორს თავისი შემოქმედებითი ფანტაზიისა და იდეური ჩანაფიქრის მეოხებით სასურველი მონტაჟი შექმნას. ხშირად ამგვარ მონტაჟში იაგოს პიროვნებას ცალმხრივად წარმოგიდგენენ და ამით ოტელოს ხასიათსაც ერთგვარად ჩრდილვენ. შექსპირის იაგო ადამიანია თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. მის ბოროტ საქციელს დრამატურგმა სათანადო მიზეზები მოუძებნა, რომლებიც ეპოქის სულისკვეთებისა

და პირადად იაგოს ეჭვისა და პატივმოყვარობისაგან მომდინარეობენ. მართლაც, ბოლოს და ბოლოს. იაგო ბოროტების ცნების განყენებული გამომხატველია, თუ ცოცხალი ადამიანი? იგი „გააბოროტა“ იმდროინდელმა სოციალურმა სინამდვილემ, რადგან მისი პატივმოყვარეობა გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე არსებული გარემო სთავაზობს. ეს არის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც იგი ბოროტებას სჩადის. იაგოს ოტელოსთან პირადი ანგარიშიც აქვს. ოტელომ თანაშემწედ დაინიშნა არა იაგო, არამედ მიქელ კასიო, რაც იაგოს უსამართლოდ მიაჩნია.

წარმოიდგინე, ვენეციის სამს დიდებულს პირს

იმის წინაშე ვათხოვნივ ჩემთვის ხარისხი მის თანაშემწის...

...
ცივი უარი განცხადდა ჩემ მომხრეთათვის, ეთქვა — მე ჩეში ხელქვეითი კიდევა

მეყავსო;
მერე ვინ არის, აბა მიხვდით მის არჩეული? მიქელ კასიო.

...
მას უწოდებენ
მის თანაშემწეს და მე... დმერთო, ეს რათ
არ გიკვირს!..

მავრის ასისთავს!
ეს არის მთავარი მიზეზი, რომელსაც პატივმოყვარე იაგო ვერასოდეს ვერ აპატიებს ოტელოს. ამას გარდა, ბუნებით ეჭვიან იაგოს ჭგონია, თითქოს ოტელომ მის ქვეშაგებში დაიდო ბინა და რქებთ დაადგა. აი ამ მიზეზების გამო სძულს იაგოს ოტელო და სამაგიეროს უხდის.



მაგრამ მას კარგად ესმის, რომ პირდაპირ, გრძობიერად მისვლით ვერას ვახდებთ. ამიტომ თავისი მიზნის შესრულებისათვის იაგო კეთილშობილსა და ბავშვივით მიმდობ ოტელოს თავს ერთგულად აწვინებს.

თუ რეჟისორმა მონტაჟისას იაგოს გამოაცხადა მისი მოქმედების გამომწვევი მიზეზები, მაშინ, ცხადია, ხელთ შეგვრჩება შიშველი ბოროტება და დაგვეკარგება ის მთავარი, რისთვისაც დაწერა შექსპირმა ეს ტრაგედია. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ სპექტაკლის დამდგმელი ვ. ტაბლიაშვილი სწორად მოიქცა, როცა პიესა ისე დაამონტაჟა, რომ იაგოს მოქმედების გამომწვევი მიზეზები შეინარჩუნა. ამით პიესაზე მოვიდეს და ორივე პერსონაჟიც, იაგოს სახით მაცურებელს წარმოუდგება არა განწყევლული ბოროტება, არამედ უარყოფითი ადამიანი, რომელიც ებრძვის კეთილ ადამიანს და თავისი გაიძვირებული საშუალებებით ამარცხებს მას. იაგოს როლის შემსრულებელს ეს საშუალებას აძლევს უფრო მრავალფეროვნად დახატოს სახე, ოტელოს წინაშეც დამაჯერებლად ითამაშოს ერთგულება და, ცხადია, ოტელოს მიმდობაც უფრო გამართლებულია.

რეჟისორმა შექსპირის ხუთმოქმედებიან ტრაგედიას ისეთი მოხერხებული მონტაჟი გაუკეთა, რომ ოთხ მოქმედებაში მოაქცია ყველაფერი მთავარი, გარდა ერთი პატარა სცენისა. ეს ვახლავთ კიბროსზე ლოდოვიკოს მოხელა ვენეციის მთავრის წერილებით და ამ დროს ექვითი შეპყრობილი ოტელოს მიერ დეზდემონას საჯარო შეურაცხყოფა. იგი რეჟისორს მონტაჟიდან ამოუღია იმიტომ, რომ იმ სცენის შემდეგ, როცა იაგო ოტელოს კასიოსთან ბიანკას შესახებ საუბარს ისე მოასმენინებს, თითქმის დეზდემონას შეეხებოდეს, რეჟისორმა გადმოიტანა სცენა ოტელოს საუბრისა დეზდემონასთან, სადაც მას „უნამუსოს“ უწოდებს. ასეთი მონტაჟი იმიტომ კარგი, რომ ოტელოს მძაფრ განწყობას ძალიან შეეფერება ასეთი ზეახლა. ლოდოვიკოს ჩამოსვლის სცენა დასცემდა განწყობას და გააძვირებდა ოტელოს გაცეცხლებულ სულს. მაგრამ, მეორე მხრივ, უკანასკნელ მოქმედებაში ლოდოვიკოს გამოჩენა სასწაულს ჰგავს — მას არავინ იცნობს და განკარგულებებს კი დიდს იძლევა. ამიტომ, ჩვენი აზრით, აჯობებდა რეჟისორს ლოდოვიკოს მოვალეობა ამ სცენაში მონტანოსათვის დაეკისრებინა — ეს უფრო უპრიანი იქნებოდა. მონტანო ხომ ადრე კუნძულის განმგებელი იყო, ხოლო ლოდოვიკოს პიროვნება მაცურებლისათვის უცნობია. რეჟისორმა პიესიდან სრულიად ამოაგდო მასხარას როლი, მაგრამ ამით არაფერი დაშავებულა და ლოდოვიკოს დარჩენილი ეპიზოდები

რომ ამოვლო. ამითაც არა დამავლენებია რა კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენი აზრით, სრულიად ზედმეტია კიბროსზე ოტელოს დარბაზის ტერასაზე სამეჯლისო ვაკუუმის მიხედვით ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია კასიო აცეკვებდეს დეზდემონას და ასე მშვიდად ჩამოართვას იგი მას ოტელომ. ერთი მხრივ, აქ კასიოს ყაფნა იმიტომ გაუმაართლებელი, რომ იგი ჯერ არ შემოუბრუნებია ოტელოს და თვითონაც ხომ გაუბრუნებს დრომდე მასთან შეხვედრას? მეორე მხრივ, ეს იმ დროს ხდება, როცა იაგომ ოტელოს უკვე ჩააწვეთა ექვი კასიოსადმი. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს სცენა დამაჯერებლობას მოკლებულია და მისი ამოღება უმტიყენეულოდ შეიძლება.

სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს ასე კვალდაკვალ მივეყვით რეჟისორის მონტაჟს და უფრო დამწვრილებით ვილაპარაკოთ მის ღირსებასა და ნაკლოვანებაზე. მაგრამ ერთი რამ ცხადია — რეჟისორის მიერ შემოთავაზებული მონტაჟი უდავოდ მოსაწონი და მისაღებია.

კარგად გაკეთებულმა მონტაჟმა, რაც მტიყე ჩანაფიქრს ეყარებოდა, განაპირობა სპექტაკლის საერთო წარმატება. რეჟისორს თვალწინ ნათლად ეხატებოდა მომავალი სპექტაკლი და მისი გმირები. მათი ვაცოცხლება კი დიდად იყო დამოკიდებული როლებზე სწორ განაწილებაზე. ვ. ტაბლიაშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მან ნაკლებად ნაცნობ დასში მოახერხა როლების ზედმიწევნით ზუსტი და ნამდვილად შესაფერი განაწილება.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც წინაპირობაა, რომელსაც მაცურებელი გრძნობს, ხედვით კი ხედავს რეჟისორის მიერ შინაარსიანად და გემოვნებით გაკეთებულ ცალკეულ მიზანსცენებს, მასობრივ სცენებს და სხვ. სპექტაკლში თითქმის არც ერთი მიზანსცენა არ არის თვითმიზნური (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოდნავ უზერხულ მიზანსცენას, როცა იაგო კასიოსთან საუბრისას ცდილობს ოტელოს დაანახოს თავისი ცხვირსახოცი), ყველა მთავანი გმირისა და სცენის შინაგანი განწყობისათვის შესაფერისი და აუცილებელია.

ვ. ტაბლიაშვილმა არ გამოიყენა ყველასათვის ცნობილი და თითქმის დაკანონებული მიზანსცენა, რომელიც მარჯანიშვილმა გააკეთა თავის დროზე — გულწასულ ოტელოს მეგრდზე არწივივით გადმოფაფრული იაგო. ეს მიზანსცენა მართლაც ზედმიწევნით გადმოსცემს სიტუაციის შინაარსს, თითქმის უკეთესის მოფიქრება არ შეიძლება, მაგრამ რეჟისორმა მაინც არ გაიმეორა იგი. მართალია, მან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, მაგრამ რაც გააკეთა, არც ის არის

მზანს მოკლებული. ჩვენი აზრით, ესეც ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს.

კარგი იქნებოდა, თუ მამის სახლიდან გამოპარულ დეზდემონას ერთი ან ორი მხლებელი ქალი ეყოლებოდა, მით უმეტეს, რომ იმავე ღამეს სენატში ზომაზე მეტი მხლებელი ჰყავს. სხვათაშორის, ამ მხლებელ ქალებს ავიწყდებოდათ ვინ არიან და სენატში ომის დაწყების გაგებისას წმინდა ქართულ შეცხადებას მართავენ, რაც ვენეციის მაღალი წრის ადამიანებისათვის მეტად უცხოა.

სპექტაკლის წარმატებისათვის მთავარია მსახიობის ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ ამაში მას უთუოდ ხელს უნდა უწყობდეს ყველა სხვა კომპონენტი. „ოტელოში“ ამ მხრივაც კარვად არის საქმე. ი. ასკურავამ თავისი დეკორაციული ფაქტორებით შესანიშნავი ჩარჩო და გარემო შეუქმნა მსახიობებს, რაც მხატვრის დიდი ღირსებაა. მან იმგვარი დეკორაციები მოგვცა, რომლებიც მასურებელს თავისთავად კი არ აკვირვებს, არამედ შეველის ამის აღქმაში და იმ გარემოში შეჰყავს, სადაც მოქმედი პირები ცხოვრობენ. დეკორაციების სწრაფი და მოხერხებული ცვლა იცავს სპექტაკლის რიტმს. დიდი გემოვნებით არის შერჩეული და შესრულებული აგრეთვე მოქმედ პირთა კოსტიუმები, რაშიც მხატვართან ერთად გარკვეული ღვაწლი მიუძღვით თეატრის სამაქროებსაც.

ჩვენი აზრით, დამაკმაყოფილებელია სპექტაკლის მუსიკალური ფაქტორებაც (კომპოზიტორი ფ. ლონტი). ყოველ შემთხვევაში, იგი ხელს უწყობდა გმირთა ხასიათების გახსნას, თუმცა კომპოზიტორს ვერ დავეთანხმებით დეზდემონას სიმღერის მეცო-სოპრანოსათვის დაწერაში. ნამდვილად წარმოუდგენელია ჰაეროვანსა და ნარნარ დეზდემონას ასეთი ხმა ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ ამ როლის შემსრულებელი მსახიობის სალაპარაკო ხმა არ იძლევა ამის საბაზსა და საშუალებას. რაც შეეხება მის შემსრულებელს, ოპერის თეატრის სოლისტს ა. მურადოვას, იგი ნამდვილად უნაკლოდ მღერის, მაგრამ მასურებელი აშკარად გრძნობს, რომ ამას მღერის არა სცენაზე მყოფი მსახიობი, არამედ სხვა. ამასთან სიმღერა დაწერილია ოპერის მანერაში და არა დრამატული თეატრის სპექტაკლში ჩასართავად. ეს სიმღერა ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო ფორმიდან.

იმის გამო, რომ თეატრს სათანადო ორკესტრი არა ჰყავს, მუსიკა ფირზეა ჩაწერილი. დირიჟორმა ლ. კილაძემ და თბილისის რადიოსა და ტელეხედვის სიმფონიურმა ორკესტრმა უდაოდ დიდი მუშაობა გასწიეს და ძვირფასი დახმარება

აღმოუჩინეს. თეატრის სპექტაკლის წარმატებაში.

სიტყვა გავევირბოდლა და შეგვეგვიანდა სპექტაკლის მთავარ კომპონენტზე უნდა მივუხერხებოთ ჩვენი აზრის გამოთქმა.

ვენეციის მთავრის როლს ასრულებს არტისტი ს. ძიძაძე. მსახიობმა შეძლო მოეცა ხანდაზმული სახელმწიფო მოღვაწის სახე. იგი შეეცადა მაყურებლის წინაშე ეჩვენებინა დიდგვაროვანი ადამიანის თავდაპირველი და სიღარიბისა. არც ერთი ზედმეტი ენესტი და შეუფერებელი მანერა არ გამოუყენებია მსახიობს მთავრის ბუნების ვადმოსაცემად. მხოლოდ ერთხელ და ავიწყდა მას პერსონაჟის ხასიათი და ზედმეტად ვადმომწვა შავიდაზე, მაგრამ თანდათან არც ეს ვწნება, მით უმეტეს, რომ მეორე სპექტაკლზე უკვე ნაკლებად იგრძნობოდა ეს შეუფერებელი მოძრაობა.

ვენეციის ერთ-ერთი დიდგვაროვანის, გავლენიანი სენატორის ბრაბანციოს როლს ასრულებს მსახიობი ა. მგელაძე. სამწუხაროდ, პირველ სპექტაკლში იგი ქართულმა მშფოთვარე სულმა აიყოლია და გადაჭარბებული ტემპერამენტით შესარულა დაკისრებული როლი. ვენეციელა დიდგვაროვანი მწუხარებაშიც ზომიერად ითვალისწინებდა და ეესტეტში ძუნწი, ა. მგელაძის ბრაბანციო კი მეტისმეტად ხმაურიათი და შეუფერებლად მოძრაედა. ბრაბანციომ სცენაზე გოლიათური სიღიფე უნდა შემოიტანოს, მისი ყოველი სიტყვა ისეთ უინაგან ძალას უნდა ამკლავებდეს, რომ წალეკით ემუქრებოდეს მავრს. ისეთ ყვირილამდე მისულ ბრაბანციოს, როგორც ამას ა. მგელაძე აკეთებს, წინ ველარაფერი დაუდგება — იქნებ თვით მთავარიც კი! მსახიობის შეცდომა დამდგმელმაც უნდა გაიზიაროს. რომელმაც, ჩანს, ყურადღება დააკლო მას და სარეჟი გაეპარა. მსახიობი მეორე სპექტაკლში შეეცადა ეს ნაკლი გამოეწვორებინა და, ვფიქრობ, ამჯამად სრულიად აღარ გვექნება სასაყვედურო და სადაო.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, სპექტაკლში ბრაბანციოს სათესავის ლოლიჯიკოს როლი მიმთხმამდე დაყვანილი, მას ძალზე მცირე ფუნქცია შერჩა, მაგრამ მსახიობმა მ. ჭალაღანიამ დიდი ტაქტითა და დამაჯერებლობით დაგვიხატა ძლიერი დიდგვაროვანი.

მიუხედავად იმისა, რომ შექსპირმა მოქმედ პირთა შორის ოტელო სენატორთა შემდეგ დაწერა, მაინც იგია ბიესის მთავარი გმირი და ფაქტიურად მისი როლის შემსრულებელზეა დამოკიდებული ბიესის ბედ-იღბალი. აი იხსნება ფარდა და მასურებლის წინაშე სცენის ცენტრში ორი პირივინება დგას: დიდებულ თეთრ სამოსში გამოწყობილი, ძოწისფერ წამოსასხამ



მოგდებული უღამაზესი შავი ვაჟაკი და ასოს-
თავის ნატრისფერ კუბაში გამოწყობილი იაგო-
პირველს თუქცა შავი კანი, მაგრამ თავისივე
თეთრი, უმტვერო სამოსივით წმინდა სული
აქვს. მეორის თეთრი კანი კი სულის სიშავეს
ფარავს... სცენაზე შემოდის დეზდემონს. ოტე-
ლო-კობალაძემ გილიმა და სცენაზე ნათელი
დაიფრქვა. ეს ის მომხიბლავი ღიმილია, რო-
მელმაც დეზდემონს ოტელოს მაღალი სული
მის შუბლზე გამოუჩატა და ასეთი გაბედული
ნაბიჯი გადაადგმევინა. მსახიობმა პირველი გა-
მოჩენით, პირველი სიტყვით და ღიმილით და-
იპყრო მაყურებელი. ხოლო შემდეგ, სენატში
ცნობილი მონოლოგისას, ასეთივე მომაჯადოე-
ბელი ღიმილით დატყვევა ვენცილის მთავარი
და სენატორები. მაყურებელმა დაუჩქარა კობა-
ლაძის ოტელოს, რომ მან ჯაღო-თილისმის გა-
რეშე, თხრობით და ღიმილით მოხიბლა დეზდემ-
ონსა. მაყურებლის წინაშე კობალაძემ ნამდვი-
ლად წარმოადგინა გულდია და ალალი ოტელო,
რომლის წმინდა სულს ბოროტება და ეშმაკო-
ბა არ შეუძლია და ამიტომაც დააჯერა იგი ვა-
იძვერა იაგომ. მსახიობმა მაყურებლის წინაშე
ღიმი ოსტატობით გვიჩვენა ოტელოს გარდაქმ-
ნა, მისი სულიერი ტყვიელები, რომლებმაც ეს
ბუნებურაზი ფიზიურადაც კი დასცა და დააჩი-
ავა.

კობალაძის ნამუშევარი იმის საწინდარია, რომ
იგი თანდათან კიდევ უფრო გააღრმავებს როლს
და ნამდვილ სრულყოფილად მიიყვანს მას. ამ-
ჟამად კი კარგად აწყობილ მხატვრულ სახეში
ზოგჯერ აქვს ამოვარდნები, ზოგი დღევით გა-
მოწვეული, ზოგად დაუძლეველი ადგილების
გამო. მაგალითად, ცნობილი მონოლოგი სენატ-
ში — „იმ ქალის მამას ვუყვარდი მე“ ძალზე
ხმაოდა დაწყობილი და თავისი მომხიბლავი ღი-
მილი ლამის გააქარწყლა. ჩვენი აზრით, აჯრეთ-
ვე შეუფერებელი მაღალი ტონით დაიწყო მან
სცენა კობროსზე პირველი გამოჩენისას. ყველა-
ფერი ეს თანდათან გამოსწორდება და კობა-
ლაძის ოტელო იქნება ერთი საუკეთესო არა
მარტო პირადად მსახიობის შემოქმედებით ბი-
ოგრაფიაში, არამედ ქართული თეატრის ის-
ტორიაშიც, თუ კი, რა თქმა უნდა, მსახიობი არ
ამოვარდება მიგნებული ჩარჩოდან და კარგად
დაწყებულ საქმეს კარგადვე განაგრძობს.

ახალგაზრდა მსახიობ გ. გოგიბერიძეს ყველა
იკნობს როგორც უბრალო (ამ სიტყვის კარგი
გაგებობით) და გულმართალ შემოქმედს. მისი
გმირები მუდამ ბუნებრივი და საუბანი არიან.
კასიოც ასეთივეა. გოგიბერიძე-კასიო გულდია
და გულმართალია. იგრძნობა, რომ ოტელო
უყვარს, მაგრამ არც თავისი თავი ავიწყდება —
მონურად მორჩილი არ არის. დეზდემონს წი-

ნაშე თავმდაბალი და რადიკალიზებული მოწყა-
ლანობით — თავისუფლებული და ღიმილიანი ლაშქარის
კი. მიუხედავად ამისა, გოგიბერიძე-კასიო
მაინც აქლია — მას არა აქვს დიდგვაროვანი
ნაურის კომწიაობა და ციკტათი ნაზგასმული
დახვეწილი მანერები, რაც უთუოდ ჭირდება
კასიოს. მის ამ თვისებას ხომ იაგო უკიცივნებს
კიდევაც!

ჩვენ უკვე ზემოთ ვთქვით, რომ ტრაგედიის
ტაბლიაშვილისეულმა მონტაჟმა იაგოს შემს-
რულებელს როლის განსაზღვრების საუკეთესო
საშუალება შეუქმნა. მსახიობმა მ. ხინციკამ ეს
საშუალებები კარგად გამოიყენა და უღაოდ
თელსაჩინო წარმატებასაც მიიღწია. მისი იაგო
მოაჯადოებელი და საინტერესო სახე გამოვიდა.
ყოველი სცენა, ყოველი მონოლოგი თუ დია-
ლოგი მსახიობს დიდი შინაგანი სიმართლით
მიჰყავს და მაყურებელთა ერთსულოვან მოწო-
ნებას იმსახურებს. ყველა ზემოსსენებელი მი-
ზეზი, რომელმაც იაგო ბოროტებად მიიყვანა,
კარგად მოიმარჯვა მსახიობმა და მათზე დაწყა-
რებით თავის მოქმედებას შესაფერი ხასიათი
მისცა. ოტელოს წინაშე მისი მტკიცება დამა-
ჯერებელი და ლაგვიკურია. სრულიადაც არ
არის საკვირველი, რომ ოტელოს მისი სურა.
იაგოს ცბიერება იმაშია, რომ დიდი სიმართლით
არწმუნებს ოტელოს ეჭვებზე აგებულ თუ გა-
მოგონილ ამბებში. მსახიობი ისე ასრულებს
იაგოს როლს, რომ ბოლოს, როდესაც ემილიას
გუბნება:

მე იგი ვუთხარ,
რასაც ვფიქრობდი და ისეთი არა
მიოქვამს...რა,
რაც თვითონ მაგას არ ეჩვენა ქუთასთან
ახლოდ

და ნამდვილ ამბად,
მართლაც ასე გამოდის — იგი მუდამ ასე ეუბ-
ნებოდა ოტელოს. მისი ნამდვილი სახე მხო-
ლოდ იქ ჩანს, სადაც თავისთავს უმტკიანებს
სიმართლეს და აცნობს მოქმედების გეგმას. აქ
იგი ტყებზე თავისი ქუთითა და მოხერხებით,
დასცინის სხვათა სიბრყველს და გულიანად ხარ-
სარებს — ასეთი სიცილი მხოლოდ იაგოს შე-
ფერის და მაყურებელს ყრუანტელს გვარს.

ჩვენი აზრით, მ. ხინციკაძის იაგო ერთ-ერთი
საუკეთესო იაგოა და უაქველია შევა ქართული
თეატრის ოქროს ფონდში.

უწებისყოფო და სუსტი ხასიათის როდერი-
გოს როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი
ს. ახალაძე. როდერიგოს ღამაში გარეგნობის,
მაღალი წოდებისა და სიმდიდრის მეტი არაფე-
რი ვაჩნია. ქუთითა და ვაჟაკობით ვერ დაი-
გეხნის. ამიტომაც არის იგი მსუბუქად მოსახ-
მარი იარაღი იაგოს ხელში. როდერიგო ჩგარია,

რომელზეც იაგო აპირებს თავისი სისხლიანი ხელის შეხორცას. მსახიობმა სწორედ ამგვარად დაუხატა მათურებელს როლიერგო.

ტაქტითა და თავდუქერით განასახიერა მსახიობმა ნ. მიქელაძემ კიბროსის ყოფილი გამგებლის მონტანოს როლი. მისი საუბრის დინჯი კილო და მანერა საესებით შეეფერება კეთილშობილი დიდგვაროვანის ხასიათსა და ბუნებას.

შექსპირმა სინაზე და სინარნარე, პატიოსნება და სათნოება უბოძა დეზდემონას, თუმცა არც გმირული სული დააკლო მას. განა გმირობა არ იყო დეზდემონას მხრივ მამის ოჯახის მიტოვება და „უცნობ ბედის ქარიშხალს“ აყოლა? ან კიდევ სენატში მამისა და მთავრის წინაშე წარმოთქმული გაბედული სიტყვები? მიუხედავად ამდენი საუკეთესო თვისებისა, დეზდემონა ხშირად ცისფერ როლად შიანით და მისი შემსრულებლისაგან უმეტესად სილამაზეს, სინარნარესა და პაერონებას მოითხოვენ, იგაწყებენ რა სულის სიძლიერეს, რომელიც მისი ბუნების განუტრეღი ნაწილია. ახალგაზრდა მსახიობმა ნ. საკანდელიძემ თავის ლამაზ დეზდემონას არც ეს გმირული სული დააკლო და მათურებელს წარმოუდგინა საყვარელი და დასამსოვრებელი სახე.

ემილია — აი, ვინ არის უხეად დაჯილდოებული გმირული ძალით, მაგრამ არც ქალური სინაზე და ეშმაკობა აკლია. მას დიდი პრაქტიკული ჰყუპა აქვს — იგი ქმარს სიამოვნებით დაადგამს თავზე რქებს, თუ შემდეგ ამ რქებს ოქროს გვირგვინით დაუმშვენებს. თავისი ბუნებითა და შინაგანი ძლიერი მონაცემებით როლი უღაოდ შეეფერება მსახიობ ნ. თეთრაძეს, რომელმაც შეძლო კიდევაც ღრმად ჩასწვდომოდა პერსონაჟის ხასიათის ნუანსებს და მისი მოქმედება დამაჯერებელი გაეხადა მათურებლისათვის.

ბიანკას როლი საღებბიუტო იყო ახალგაზრდა

მსახიობ ც. კობახიძისათვის. მართალია, რეჟისორის მონტაჟმა ცოტა გააღარბა ბიანკას სახე, მაგრამ მსახიობმა მაინც გაიცილებლა კურტიზანი ქალის ცეცხლოვანი დაუქუქუქუბება.

როგორც უკვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნავთ, მთელი კოლექტივი დიდი მონდომებით ასრულებს თავის მოვალეობას — არა მარტო მთავარი და ეპიზოდური როლების შემსრულებელი, არამედ მასობრივ სცენებში მონაწილე მსახიობებიც. ეს სცენები რეჟისორს გემოვნებით გაუკეთებია, მაგრამ აქ გვინდა კიდევ ერთი კომპონენტის აეტორსაც შევეხებით — ეს არის ქორეოგრაფი დ. მაჟუარიანი. მან დიდი ტემპერამენტითა და შინაგანი ცეცხლით დადგა კიბროსზე მოქვიფე ახალგაზრდა აზნაურებისა და კურტიზანი ქალების ცეკვები. თუმცა არც სამეჯლისო ცეკვისათვის დაუკლია ხელი და გული, მაგრამ იგი მაინც მეტისმეტად ზედმეტისა და უადგილოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ მისი ამოღება ქორეოგრაფს არაფერს დააკლებს, სპექტაკლს კი დაეხმარება.

ჩვენი ღრმა რწმენით, „ოტელო“ ბათუმის თეატრში მაღალ პროფესიულ დონეზე დადგმული სპექტაკლია, რომელიც უსათუოდ უნდა ნახოს სხვა ქალაქების მათურებლებმაც და, რა თქმა უნდა, თბილისის საზოგადოებრიობამაც.

არ შეიძლება არ აღენიშნოთ ნ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მეგობრული დახმარება ბათუმის თეატრისადმი. მეგობრობის განმტკიცების მიზნით მან სიამოვნებით გაგზავნა თავისი მთავარი რეჟისორი ბათუმში. ეს არის ნამდვილი შემოქმედებითი დახმარება პერიფერიაში მომუშავე კოლევებისადმი. იმედია, სხვა თეატრებიც მიზამავენ ამ მაგალითს.

დასასრულ, ბათუმის თეატრის კოლექტივის ელსტრეგებ უკან არ დაეხიოს მომავალ სპექტაკლებში და შეენარჩუნებინოს მოპოვებული წარმატება.





აჭარული ხალხი სიძლიერის ოთხხმიანობის თავისებურების შესახებ

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო
ფილიალის ფილიალური ფოლკლორის

1958-1959 წლებში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა აჭარის რაიონებში მოაწყო მუსიკალური ფოლკლორის ექსპედიციები.

ექსპედიციების შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ინსტიტუტის დირექტორი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ინაიშვილი (ხელმძღვანელი), ფოლკლორის განყოფილების გამგე დოქ. ჯ. ნოდარდელი, ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალ. რობაქიძე, ვ. სარაჩიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გრ. ჩხეიძე, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი ვ. მაცაბერიძე, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების თანამშრომლები ჯ. ჩხეიძე, ალ. მსხალაძე, ნ. ცქიტიშვილი, ზ. თანდილაძე.

დღემდე მოწყო ოთხი კომპლექსური ფოლკლორული, ხოლო შვიდი სპეციალური მეტ-ნაკლები ხანგრძლიობის მუსიკალური ფოლკლორის ექსპედიცია, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში 120-მდე სიმღერის (ვარიანტებით) გამოვლინება, ჩაწერა და ნაწილობრივ დამუშავება შეძლო.

მოპოვებული მასალების წინასწარი შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აჭარულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაზე უცხო მუსიკალურ კულტურას არავითარი გავლენა არ მოუხდენია, ოდნავი ცვლილებაც კი ვერ შეუტანია მის მელოდია-ინტონაციურ თუ კილოებრივ სტრუქტურაში. ხალხმა თავის მშობლიურ მუსიკალურ ხელოვნებას არ დაუკარგა

საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ეროვნული სტილი, სათუთად შემოინახა და, თაობიდან თაობაზე გადაცემით, შემოუტოვა მას ყველა ის ნიშანდობლივი თვისება, რაც ერთი მხრივ, ზოგადქართული ხალხური ფოლკლორული მუსიკის, ხოლო მეორე მხრივ, მისი ერთ-ერთი შენაკადის — აჭარული სიმღერის განსაკუთრებულობას წარმოადგენს. ამას ნათლად ადასტურებს ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მუსიკალური მასალა.

აჭარული მუსიკალური მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მკიდრო კავშირი არის გურულ და აჭარულ (განსაკუთრებით ქობულეთურ) ხალხურ სასიმღერო შემოქმედებათა შორის. ნათქვამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ როგორც გურული, ისე აჭარული საგუნდო სიმღერა ემყარება ზოგადქართული ხალხური პოლიფონიური მრავალხმიანობის პრინციპს, მისი განვითარებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებას. თვითელი მათგანის მთელრიგ თავისებურებათა მიუხედავად, ერთნაირია აგრეთვე სიმღერაში მონაწილე ხმათა ურთიერთდაპოკიდებულება, მათ შორის ფუნქციის განაწილება, ყოველი მათგანის როლი მუსიკალური სახის შექმნაში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ აჭარული და გურული სიმღერების შესრულების მანერა, ცალკეული ხმის ინტონირება, მეტად დამახასიათებელი და ორიგინალური, ერთმანეთს ემთხვევა.

გურული და აჭარული ხალხური მუსიკალური კულტურის ერთ საფუძველზე, რომ არაფე-

რი ვთქვით კომანდულზე, მეტყველებენ აგრეთ-
ვე ერთ სიუჟეტზე ავბუღული მოელი რიგი სიმ-
ღერები, განსაკუთრებით ქართული ხალხური
სასიმღერო შემოქმედების ძველ კლასიკურ
ნიმუშებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფარ-
თოდ ცნობილი სიმღერები „ხასანბეგურა“,
„შვიდაცა“, „ალი-ფაშა“, „ყარანაი“, „ხელხვა-
ვი“, „ელესა“ და სხვ., რომლებსაც ერთიცა
და მეორენიც მალაღი მხატვრული ოსტატობით
ასრულებენ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გურული და აჭარუ-
ლი სასიმღერო შემოქმედება ამ ნიმუშებში
ერთმანეთს იმეორებენ და ამ მხრივ როგორც
ერთს, ისე მეორეს თავისი სახე არ ჰქონდეს.
ცხადია, ყოველ მათგანს ახასიათებს თავისებური
შემოქმედებითი ფანტაზია, - საშემსრულებლო
ხერხების გამოყენების ოსტატობა, სიმღერის
გაშლა-განვითარების უნარი და სხვ.

რაც შეეხება სხვა სიმღერებს, იქ კიდევ უფ-
რო მეტად ვამჩნევთ აჭარული ხალხური მუ-
სიკის დამახასიათებელ მხარეებს, მაგრამ ეს
დეტალებია და ამაზე არ შევჩერდებით. აღნი-
შნავთ მხოლოდ, რომ როგორც ჩატარებულმა
მუშაობამ გვიჩვენა, აჭარას, რომელმაც თავის
მხრებზე გადაიტანა თურქეთის სამასწლიანი ბა-
ტონობა, შემოუნახავს მრავალი ისეთი ქართუ-
ლი სიმღერა, განსაკუთრებით კი ქართული
ხალხური მრავალხმიანობის ის ნიმუშები, რომ-
ლებსაც საქართველოს სხვა კუთხეებში ვეღარ
ვხვდებით. მრავალფეროვანია ჩვენს მიერ ჩაწე-
რილი სიმღერები სიუჟეტური თვალსაზრისი-
თაც. ამ მასალიდან უფრო მეტად საყურადღე-
ბოა სიმღერები, რომლებშიც ასახულია აჭარე-
ლთა სამეურნეო საქმიანობა წარსულში: ხენა,
თესვა, მკა, ვენახის დამუშავება, ხელოსნობა,
ფეიქრობა და სხვა, რაც დღეის მასალას იძ-
ლევა აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების
დასახასიათებლად. შრომის პროცესებთან და-
კავშირებული სიმღერების, განსაკუთრებით კი
ნადურ-ყანური სიმღერების რეპერტუარის სი-
მრავლე საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ
ამ ყანის აჭარაში დიდი წარსული ჰქონდა და
ქართული მუსიკალური კულტურა ამ კუთხეს
ძვირფასი ნიმუშებით გაუმდიდრებია. აჭარაში
გავრცელებული ყოფილა და დღემდე შემოუ-
ნახავთ შემდეგი ნადური (ან ნადის დროს შესა-
სრულებელი) სიმღერები: „დიელო“, „ყარანაი“,
„ყანური“, „ნადური“, „ოთხი ნანა“ (ხელოს
რაიონი), „ყარანაი“, „ყანური“, „ნადური“ (მუ-
ახვიის რაიონი), „დიელო“, „გელებური ნადუ-

რი“. „რაშა“ (ქედის რაიონი), „ნადური“, „სა-
გაგაბურაი“, „სასილილო“, „ყარანაი“, „ჩორ-
ჩიტი“, „ბერა-კაცი“, „გორდენა“, „ნადური“,
„წერეთია“ და სხვა (ქობულეთის რაიონი),
შინამრეწველობასთან დაკავშირებული „ხერ-
ტლის ნადი“. რომელიც გავრცელებულია ხელოს,
შუახვეისა და ქედის რაიონებში და ასრულებენ
ქალები მატყლის რთვის დროს. იგი ფოლკლო-
რისტიკებს დღემდე არ დაუდასტურებიათ საქარ-
თველოს არც ერთ კუთხეში.

ჩვენ ჩაიწერეთ და შევისწავლეთ აგრეთვე
მრავალი სხვა ყანრის სიმღერა: საქორწილო-
მაცურული, მასპინძლური, სუფრული, მგზავრუ-
ლი; ვენახის კულტურასთან დაკავშირებული
„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ (ქედის რაიონი), ხის
დამუშავებასთან დაკავშირებული „უღუ-
სა“ (ქობულეთისა და ქედის რაიონები), სი-
მინდის რჩევასთან დაკავშირებული „ხელხვაი“
და სხვ. თითქმის ყველა რაიონში ჩაიწერეთ
ცნობილი სიმღერების „ალიფაშას“, „ხასანბეგუ-
რასა“ და „შვიდაცას“ სხვადასხვა ვარიანტი.
ფიქსირებულია მრავალფეროვანი აჭარული
საცეკვაო მუსიკა („ხორუმი“, „გადახვეული
ხორუმი“, „განდაგანა“, „მხარული“, „ჩამორე-
ბული“) და სხვ., რომელსაც აჭარაში გავრცე-
ლებულ სამუსიკო იარაღებზე (ჩონგური, ჰობო-
ნი, გულის ჰობონი, დოლი, სალამური, ქამანჩა,
საზი) ასრულებენ.

აჭარული სიმღერების შესწავლისას ჩვენი
განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნადურ-
მა სიმღერებმა, რომლებიც ოთხხმიანია და ამ
თავისებურებით ქართული ხალხური მუსიკის
მნიშვნელოვანი მონაბოვარია. ამ მცირე წერილ-
ში სხვა ყანრის სიმღერების მუსიკალურ დახა-
სიათებაზე ლაპარაკი არ გვექნება და, როგორც
ითქვა, ნადური ოთხხმიანი სიმღერების ზოგადი
დახასიათებით შემოვიფარგლებით.

აჭარული ნადური სიმღერების ოთხხმიანო-
ბა ჯერ კიდევ 1935 წელს აღნიშნა დოც. ჯ. ნო-
ლიდელმა თავის ნაშრომში „ეთნოგრაფიული
ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან“. 1938
წელს კი ამავე საკითხზე ჯ. ნოლიდელის მიერ
მიწოდებული ცნობები თავის ნაშრომში „ქარ-
თული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკით-
ხები“ გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ი. ჯავახი-
შვილმა. ნადურის ოთხხმიანობის შესახებ ჯ. ნო-
ლიდელი თავის განმარტებას იძლევა აგრეთვე
ნაშრომში „აჭარის ხალხური სიტყვიერება“
(წიგნი II, 1940 წ.).

თუ აქამდე ხალხური სიმღერების ოთხხმი-
ანობის შესახებ მხოლოდ ცალკეული ცნობები
მოგვეპოვებოდა, 1958 წლის გაზაფხულზე ინს-

ტიტუტოს საექსპედიციო მუშაობის შედეგად ქობულეთის რაიონში მიეკვლიეთ და შეეკრიბეთ ოთხხმიანი სიმღერების შემსრულებლები, რომელთაც მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ დაიშურეს დრო და ენერგია. აღადგინეს და ჩავაწყვირინეს მივიწყების გზაზე მდგომი აქართული ნაღური სიმღერების ძვირფასი ნიმუშები.

შეკრებილ სასიმღერო ნიმუშებზე წინასწარმა დაკვირვებამ გამოავლინა აქართული ნაღური ოთხხმიანი სიმღერების მუსიკალური არქიტექტონიკის, ფორმის, მეტრ-რიტმის, სიმღერის განვითარებაში თვითიული ხმის როლის, მათი პოლიფონიური საფუძვლის თავისებურებანი.

წერილის მოკულობის ფარგლებში შესაძლებელია ნაღურების მხოლოდ ზოგადი დახასიათება, მისი უჩვეულო მუსიკალური აღნაგობის ზოგადად მოხაზვა, რომელიც პროფესორმა გრ. ჩხიკვაძემ შეასრულა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჯ. ნოლაიდელის ცნობების სიზუსტე, ე. ი. რომ აქართულ ოთხხმიან ნაღურ სიმღერებში პირველი ხმა არის გამყვიანი, რომელიც ამავე დროს კრიმანჭულს ამბობს, მეორე ხმა — მოქმელი, მესამე ხმა — შემხმობარი, მეოთხე ხმა — ბანი, რომ, ამასთანავე, ნაღური „გადაბმული“ ანუ ორპირი, ორი გუნდის მიერ შენაცულებით შესასრულებელი სიმღერაა და თითო მხარეზე საქირთა ერთი გამყვიანი, ერთი მოქმელი, ორი შემხმობარი და ორი ბანი (დასაშვებია აგრეთვე, რომ ბანს თითო ან სამ-სამი კაციც ასრულებდეს). ამგვარად, ოთხხმიანი ნაღურისათვის საქირთა უმთავრესად 12 მომღერალი, ხოლო სამხმინისათვის (ოთხი შემხმობარის გამოკლებით) რვა მომღერალი.

ნაღურების ციკლი შედგება სამი და ოთხხმიანი სიმღერებისაგან, რომლებიც ერთიმეორეს გარკვეული თანმიმდევრობით მისდევენ. მაგალითად, სიმღერები „ვაი თუ დილას კურდღელ-მაო“, „მთას ხოხობი აფრენილა“, „ცელესურაი“, „წერიტია“ და „გორდელია“ სამხმად სრულდება, ხოლო „ქალი ვიყავ აზნაური“, „საყავასურაი“, „ყარანაი“, „ჩიორ-ჩიტა“, „ბერი-კაცი ჩანჩაბერი“ (ამ სიმღერებში მეოთხე ხმა მხოლოდ დასასრულს ჩაერთვის) სრულდება ოთხხმად. თავის მხრივ, ოთხხმიანი ნაღური იყოფა ორ მთავარ მონაკვეთად, რომელთაგან პირველი მონაკვეთი სამხმად, ხოლო მეორე მონაკვეთი ოთხხმად სრულდება.

1 ამავე წლის ზაფხულში ნაღური სიმღერები ჩაიწერა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დოცენტმა ვ. ახობაძემ.

მეტად საყურადღებოა, რომ ნაღური პირველ, სამხმიან მონაკვეთში ბანი ოთხხმიანობის, აქ მესამე ხმად შემხმობარეობის, ე. ი. ის ახალი ხმა, რომელსაც ციკლითურთულ ნაღურ სიმღერებში ვხვდებით და რომელიც სხვა ხმებთან მეტად ორიგინალურ შეფარდებაში იმყოფება და განსაკუთრებულ როლს ასრულებს. მაშასადამე, პირველი მონაკვეთი მიჰყავს შემდეგ სამ ხმას — გამყვიანს, მოქმელს და შემხმობარს. ბანი ჩაერთვის მხოლოდ ნაღურის მეორე მონაკვეთის დასაწყისიდან.

ტრადიციულად ნაღურში შემავალ ყოველ სიმღერას იწყებს მოქმელი, მასვე მიჰყავს ძირითადი მელოდია და იგივეა სიმღერის ლექსის შინაარსის გადმოცემა. დანარჩენი სამი ხმა სხვადასხვა მარცვლებზე, შეძახილებზე ან ცალკეულ ხმოვან ასოებზე მღერის. ამგვარად, ნაღურებში მთავარია მეორე ხმა, რომელსაც თავისი ფუნქციის მიხედვით ხალხმა სამი სხვადასხვა სახელი უწოდა — „დამწყები“, რადგან სიმღერას იწყებს, „მოქმელი“, რადგან სიტყვიერ ტექსტს მხოლოდ ეს ხმა მოგვითხრობს, და „მომღერალი“, როგორც სიმღერის მთავარი მელოდიის შემსრულებელი.

შემხმობი ანუ შემხმობარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა ხმებს შორის მეტად ორიგინალურია თავისი ადგილით. რომელიც მას ნაღურში აქვს მიჩენილი და რითაც განსაკუთრებული ელფერი შეაქვს სიმღერის შესრულებაში. მას ახასიათებს უმოძრაობა და წარმოადგენს გამბეულ ბგერას, ე. ი. შემხმობარი არა მელოდიური, არამედ პარმონიული ფუნქციის მატარებელია. ამასთანავე, ნაღურის სამხმიან მონაკვეთში შემხმობარი დამოკიდებულია ზევითა ორი ხმისაგან — მოქმელისა და გამყვიანისაგან და გამოჩნდება უმთავრესად მაშინ, როდესაც ეს ორივე ხმა გამოეთიშება. მაგრამ ყველაზე მთავარი და საგულისხმო ის არის, რომ ზოგჯერ მისი დანიშნულებაა როგორც მოქმელის, ისე გამყვიანის მხოლოდ მელოდიური მოძრაობის დაბლოკვა. ამ შემთხვევაში შემხმობარი წარმოიშობა მელოდიის დასკვნითი ბგერის სახით, რომელიც არსებითად მელოდიის საყრდენ წერტილს წარმოადგენს. მაშასადამე, შემხმობარი აქ მოქმელისა და გამყვიანის შემავსებელი ნაწილია, რომელიც მათ მელოდიურ მოძრაობას ერთ ბგერაში უყრის თავს და, ამგვარად, მისი მონაწილეობა სიმღერაში მთლიანად ამ ორ ხმაზეა დამოკიდებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სამივე ხმის ურთიერთდამოკიდებულებას რომ დავეყვირდეთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ

სიმღერის ასეთ სტრუქტურაში ეს ორი ზევითა ხმა შემხმობარის გარეშე ჰაერში დაეკლებოდა, საყრდენი წერტილი გამოეცლებოდა. ხოლო თუ ეს ორი ხმა თავის თავზე აიღებდა შემხმობარის ფუნქციასაც, ე. ი. მელოდიის დამამბოვებელ ბგერასაც შეასრულებდა. მაშინ მესამე ხმა ზედმეტი აღმოჩნდებოდა და ამასთანავე სიმღერა თავის განსაკუთრებულ ელფერს დაკარგავდა. გარდა ამისა, შემხმობარი, რომელიც დამოუკიდებლად ჟღერს, უმთავრესად ორი ტაქტის მანძილზე, შემდეგ მოქმედისა და გამყივანის ჩართვიდან, გასდევს მათ სამ ტაქტამდე, რაც სწორედ ამ მომენტში ჰქმნის სამხმინობას. ეს ორი გარემოება განაპირობებს ნაღურში შემხმობარის აუცილებლობას. შემხმობარის გარეშე ნაღურის პირველი, სამხმინი, ზონაყვეთი ორხმიან სიმღერად წარმოგვესახებოდა, მით უმეტეს, რომ სამი ხმის მონაწილეობის მიუხედავად, აქ უმთავრესად ორი ხმა — მოქმედი და გამყივანი ავითარებს სიმღერას და მხოლოდ ადგილადგილ, ისიც ერთი-სამი ტაქტის მანძილზე, ამ ორ ხმას შემხმობარი მიჰყვება.

თავის მხრივ, ამ სამი ხმის განსაკუთრებული ფრთხილდამოკიდებულება და მღერაში ხან ერთი, ხან ორი და ხან სამი ხმის მორიგეობით მონაწილეობა წარმოადგენს მუსიკალური გამომსახველობის ხერხთა საკმაოდ ორიგინალურ გამოყენებას, რაც ამასთანავე ქმნის ქართული ხალხური სიმღერისათვის უჩვეულო ძვირადოებას.

ნაღურის მეორე მონაკვეთში, სადაც უკვე ბანი ემატება და, ამგვარად, სიმღერა ოთხხმიანი ხდება, შემხმობარი სააკორდო ბგერას წარმოადგენს, მეხუთე საფეხურზე ჩნდება და ისევე უმობრაოა, როგორც პირველ მონაკვეთში. ამ მხრივ შემხმობარი ჩონჯურის სააკორდო სიმს— ზილს მოგვევაკონებს, რაც მეტად საყურადღებოა და მკვლევარისაგან დაკვირვებას მოითხოვს. ზოგჯერ, სიმღერის დასასრულს, აჩქარებულ ნაწილში, შემხმობარი, ზევითა ორ ხმასთან ერთად, მაღალ რეგისტრში მოძრაობს და ბოლოს ყველა ხმას უნისონში უერთდება. საერთოდ, ნაღური სიმღერები უნისონში მთავრდება, ისე როგორც სხვა მრავალი აქართული სიმღერა.

რაც შეეხება გამყივანსა და ბანს, ნაღურ სიმღერებში ამ ორ განაპირა ხმას არაფერი განსაკუთრებულობა არ ახასიათებს. ამიტომ ამ წყვილში მათ აღარ შეეხებოდა, ხოლო ზოგიერთი დეტალის შესახებ, მთელი მოპოვებული მუსიკალური მასალის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, უფრო საფუძვლიანად ვილაპარაკებთ.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ურთიერთობის პოლიფონიურად განწყობილი და წარბილად განვითარებელი სამი ხმის—გამყივანის, მოქმედისა და ბანის გარემოცვაში შემხმობარის აქამდე ჩვენთვის უცნობი ხმა, რომელიც ბანსა და მოქმედს შუა არის მოქცეული, თავისი კონტრასტული ხასიათით ფრიად ორიგინალურად გამოიყურება, უჩვეულო შტრიხი შეაქვს ხმათა შეფარდებაში და გარკვეულ კოლორიტს აძლევს მთლიანად სიმღერას.

მეტრი ნაღურ სიმღერებში ნაკლებ ცვალებადია. უმთავრესად სრულდება 2/4-ზე ან 4/4-ზე, ე. ი. მისთვის დამახასიათებელია ლუწი ზომა. გზადაგზა ეს მეტრი ზოგჯერ ირღვევა და ერთი-ორი ტაქტის მანძილზე 3/4-ით იცვლება.

რიტმი მეტად მდიდარი და ნაირსახოვანია. ამას ვამჩნევთ უმთავრესად სამი ხმის — მოქმედის, გამყივანისა და ბანის მოძრაობაში, რომლებიც ვითარდებიან მეტად რთული კონტრასტული ხერხების გამოყენებით და იძლევიან იშვიათ შეხამებას. აშკარაა, ეს არ ეხება შემხმობარს, მელოდიურად და რიტმულად უმობრაო ხმას.

ტემპი თავში ზომიერია, შემდეგ თანდათან ჩქარდება მეორე მონაკვეთამდე, რომელიც შენელებული მოძრაობით იწყება, მაგრამ კვლავ სიჩქარე მატულობს და დასასრულს აღწევს შმაგ სისწრაფეს.

სიმღერის განვითარებასთან ერთად ნაღურის ხმოვანება უფროდაუფრო ძლიერდება, იძაბება და მთავრდება დინამიზირებული შეძახილებით, რომელსაც ორივე გუნდი მრავალგზის იმეორებს ერთიმეორის შენაცვლებით, რაც საზეიმო ხასიათს აძლევს ნაღს. ნაღურის ასეთი დაძაბული და დიდი სისწრაფით შესრულება ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენს ინტონირების სიზუსტეზე და სიმღერა მაღლა იწევს, ძირითადი ტონიდან უხვევს. ამის მეორე მიზეზი ის არის, რომ ველზე სიმღერის შესრულებისას მომღერლები ერთმანეთს (ერთი მხარე მეორე მხარეს) შრომაში და მღერაში ეკიბრებიან, ყურადღება ორდება და ძნელი ხდება სიმღერის თავდაპირველად აღებული სიმაღლის ზუსტად შენარჩუნება.

ყოველივე ამას კარვად ამჩნევენ თვითონ მომღერლებიც, მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში დიდი როლი ეკისრება შემხმობარებს, რომლებიც ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ „მაღალში არ

გაიქცეს სიმღერა“, მაგრამ მათივე გამოთქმით, „ზოგჯერ შემხმობარც ვერ დააყვებს“. ამით შეღავნდება შემხმობარის მათორგანიზებული მნიშვნელობა ნადურში, რომელშიც სხვა მხრივ ეს ხმა დანარჩენ ხმებს ჩამორჩება და, როგორც უკვე ვთქვით, ნაკლებ მოძრავია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მართალია, გურული ნადური სიმღერა აჭარულთან შედარებით გამოირჩევა თავისებურებებით, მაგრამ თავისი ფორმით, ფაქტურით, ხმათა განლაგებით, განვითარების ხერხებით ახლო ენათესავება აჭარულ ოთხხმიან ნადურ სიმღერებს.

მავასადამე, აჭარული ხალხური სიმღერები ზოგადქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს და, მიუხედავად იმ ბედკრულობისა, რაც საქართველოს ამ კუთხეს წარსულში თავს დაატყდა

თურქთა ბატონობის შედეგად, აჭარის მოსახლეობამ, მშობლიურ ენასთან ერთად, უმწიველად შემოინახა ქართული მუსიკალური შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშები.

ამგვარად, ქართული ნადური სიმღერები ოთხხმიანობით არა მარტო ქართულ, არამედ შეიძლება ითქვას მსოფლიო ხალხურ მუსიკალურ კულტურაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს.

ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მთელი სასიმღერო მასალა, რომელიც აშკარად მეტყველებს ქართველი ხალხის მდიდარ კულტურაზე, მრავალსაუთუხოვან მუსიკალურ ტრადიციაზე, უსათუოდ ღრმა შესწავლისა და გამომხეურების ღირსია. ამით პატარა წვილს შევიტანთ ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

ა. ინაიშვილი,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დოც. ჯ. ნოღაიძელი,

ფოლკლორის განყოფილების გამგე

პროფ. ვ. ჩხიკვაძე.



ნესტორ კალანდარიშვილის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში

ირკუტსკის გუბერნიაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, ცნობილი რევოლუციონერის ნესტორ კალანდარიშვილის სახელი დიდი ხანია გასცდა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს. მას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, სადაც ციმბირელები სიყვარულით ეძახოდნენ „ჩვენს ნესტორს“, „დედუშვა კალანდარიშვილს“, არამედ ჩინეთსა და კორეაშიც.

რევოლუციური ბრძოლის გრძელი და რთული გზა განვლო ამ შესანიშნავმა აღამიანმა. იგი დაიბადა 1874 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ კვირიკეთში, გადარიბებული აზნაურის ოჯახში, რომელიც თავისი შრომით ირჩენდა თავს. დაწყებითი სკოლა ნესტორმა დაამთავრა ოზურგეთში, ხოლო 1886 წელს შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამასწავლებლო სემინარიაში. მალე იგი სემინარიიდან გარიცხეს აქტიური რევოლუციური მუშაობისათვის. ნესტორ კალანდარიშვილი თვალნათლივ ხედავდა ხალხის გაქირვებას, მის უფლებობას, ჩაგვრასა და სიღატაკეს და თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა ბრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ნესტორ კალანდარიშვილი თავიდანვე მკვიდროდ დაუკავშირდა რუს რევოლუციონერებს და მათი მემკვიდრეობით რუსეთიდან ჩამოიტანა საბეჭდი დაზგა, აგრეთვე კლიშეები. 1896 წელს გორის მახლობლად სოფელ ბერბუქში, ბაქვაბოქის ბაღის ახლოს ნესტორმა მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები, ფურცლები, რომლებიც საჭირო იყო არალეგალური მუშაობისა და საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის. მასთან ერთად აქ მუშაობდა რუსი რევოლუციონერი პეტრე პოლონიკოვი.

სოფელ ბერბუქში ნესტორ კალანდარიშვილი

გაეცნო ახალგაზრდა ალათი ანანიაშვილს, რომელიც მალე მისი ცოლი გახდა. ალათი იზიარებდა ქმრის შეხედულებებს და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას მძიმე ცხოვრებაში.

მთელ თავისუფალ დროს ნესტორ კალანდარიშვილი ბერბუქში ატარებდა გლეხებთან. უყვებოდა მათ ქართული ხალხის ცხოვრების ისტორიას. შექმნდა ხალხში რევოლუციური თვითშეგნება. გლეხების გადმოცემით, იგი ყოველთვის იცავდა მათ თვადანაურთა ძალმომრეობისაგან. ამავე წლებში ნესტორს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვეა-ფშაველას ძმასთან მასწავლებელ თედო რაზიკაშვილთან და ზშირად მოინახულებდა ხოლმე მას სოფელ ხელთუბანში.

დღე და დამე განუწყვეტილვ მუშაობდა არალეგალური სტამბა. დაბეჭდილი მასალები გამოჰქონდათ ხილის ხის ყუთებით და სახედრებით მიჰქონდათ თბილისში. ერთხელ ნესტორ კალანდარიშვილმა და სოლომონ ორჯონიკიძემ პროკლამაციები გამოიტანეს გიტარებით, როდესაც ვაგონში შევიდნენ ქანდარმები, ნესტორი გადახტა დამრული მატარებლიდან და მიიშალა. 1902 წელს სტამბა აღმოაჩინეს და ნესტორი თავისი ოჯახით დასახლდა სოფელ კვირიკეთში.

იმავე წლის გზაფხულზე ოზურგეთის მაზრაში მუშა სოციალ-დემოკრატების აქტიური მონაწილეობით მოხდა პირველი გლეხთა მდელეარებაანი. მალე მდელეარებამ მოიცვა არა მარტო ოზურგეთის, არამედ გორის, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიც. მათ მეთაურობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ნესტორ კალანდარიშვილი აქტიურად მონაწილეობდა გურის გლეხობის აჯანყების ხელმძღვანელობაში. ეს შეუქმნეველი არ დარჩენიათ მეფის მონელებს და მთელი თვის განმავლობაში ქანდარმები მორიგეობდნენ კალანდარიშვილის სახლთან. კვირიკეთში დარჩენა შეუძლებელი გახ

და და ნესტორი გადმოვიდა ბათუმში, სადაც პლიეტან ერთად გახსნა მოწაფეთა პანსიონი და ამავე დროს მსახურობდა „გემებისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“ კანტორის კორესპონდენტად.

1903-1906 წლებში, დიდი რევოლუციური ამბების წლებში, ნესტორ კალანდარიშვილი მჩქევნად რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. იყო რ. ე. წ. სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, იგი ხელმძღვანელობდა მის ყველაზე რომარცხენ დროს, რევოლუციურ ჯგუფს, რომელსაც საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა იარაღი და ლიტერატურა. ამ რაგად, ამ წლებში ნესტორ კალანდარიშვილი ჯერ კიდევ არ იყო რსდმპ რიგებში, მაგრამ თავისი რევოლუციური განწყობილებით ახლო იდგა მის ორგანიზაციებთან ქ. ბათუმში და დაკავშირებული იყო რსდმპ მრავალ წევრთან, ყოფილ გადასახლებულ მუშებთან. ამას მოწმობს პოლიციის დეპარტამენტისადმი უანდარმთა სამმართველოს უფროსის ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„...ნესტორ კალანდარიშვილი ხელმძღვანელობდა მებრძოლ რაზმს, ჰქონდა პარტიის ბუქტი, პარტიის სახელით აწარმოებდა ძარცვას. კალანდარიშვილი თავის ხროვაში ითრევს უმთავრესად ციმიბირიდან გამოქცეულებს, მაგალითად, ბარნაბა ლლონტს. „ლეონი“ (კალანდარიშვილი) განაგებდა იარაღის შემოტანას საქართველოში ფოთის ნავსადგურით“ (სსცა, ფონდი 3, არქ. 32, ფურც. 64). ქ. ბათუმის დაცვის პუნქტის გამგე იტყობინებოდა: „...ნესტორ კალანდარიშვილი მონაწილეობდა ყველა პოლიტიკურ მიტინგში, რომლებიც იმ წელს (1905 წ.) ბათუმში ტარდებოდა, წარმოთქვამდა დანაშაულებრივ სიტყვებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, განაგებდა საიდუმლოდ ბათუმში გემებიდან მიღებულ და რევოლუციური მიზნებისათვის ჩამოტანილ იარაღსა და პატრონებს. მისი უახლოესი თანაშემწეები ამ საქმეში იყვნენ სავაჭრო სანაოსნოს მუშა სიმონ თავაძე, გიორგი ანთაძე, პლატონ გიორგაძე, კოსბაძე, კალანდარიშვილის მიერ შექმნილი რაზმში, შემდგომი ყოფილი - მუშებისაგან, ეწეოდა ტერორისტულ აქტებს“ (ცგაორსს, ფონდი 5, № 32, ფურც. 67).

ნესტორ კალანდარიშვილი მეტად გულადი და გამბედავი მებრძოლი იყო. 1904 წელს, როდესაც შვეიცარიაში შესყიდული იარაღის დიდი პარტიის ჩამოსატანად ოდესაში შეყიდული გემი „ლიბავა“ შავ ზღვაში მიდიოდა, ნესტორ კალანდარიშვილი ერთ ამხანაგთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, რათა შეხვედროდა მას. იქ გამოირკვა, რომ მეფის მთავრობამ

უკვე იცოდა იარაღის გადმოტანის შესახებ და საჭირო ზომებს იღებდა გემის დასაცავად. მაშინ კალანდარიშვილმა სპეციალურად შეიქმნა კატარა, გაემართა ზღვაში ფრულანურად, შეაჩერა იგი 150 ვერსზე კონსტანტინეპოლიდან, შეღება სხვა ფერით, სახელიც გამოუცვალა და პოლიციის შეუძენველად ჩამოვიდა ფოთში (სსცა, ფონდი 3, არქ. 32, ფურც. 64).

ხალხის შეიარაღება ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა და, თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი საქმე გააკეთა ნესტორ კალანდარიშვილმა „ლიბავის“ გადარჩენით. შექმნილი იარაღის უმეტესობა დაუბრუნდა შავი ზღვისპირა ქალაქებისა და სოფლების რევოლუციურ კომიტეტებს, დანარჩენი კი ფოთში ჩაიტანეს.

ამავე დროს ნესტორ კალანდარიშვილი ხშირად გამოდიოდა მხურვალე სიტყვებით მიტინგებზე. 1905 წლის 26 მაისის ბათუმის ოქტის სამხედრო გენერალატორის სახელზე გაგზავნილ ცნობაში ნათქვამია: „...კალანდარიშვილი ნესტორ ალექსანდრესძე სოციალისტ-ფედერალისტი და პროპაგანდისტი 1905 წლის 22 მაისს ქალაქის თვითმმართველობის შეკრებულზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა, რომ თათარ-სომეხთა ყლვტა ბაქოში, ნახიჭევანსა და ერევანში მოაწყო მეფის მთავრობამ იმ მიზნით, რათა დაეთესა შუღლი სხვადასხვა ეროვნებას შორის და ამით შეენარჩუნებინა არსებული რეჟიმი“. ეს სიტყვები თავდებოდა „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!“ (სსცა, ფონდი 3, არქ. 2, ფურც. 3).

ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კალანდარიშვილი პროპაგანდისტის პოზიცია. მისი სიტყვის შინაარსი ლენინურ დებულებებზეა აგებული, მოვლენების შეფასება მარქსისტულია. ლოზუნგები, რომლებითაც იგი ამდიდრებდა თავის სიტყვებს, ბოლშევიკური იყო, მიღებული რსდმპ III ყრილობაზე.

ბათუმში 1905 წლის ნოემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ნესტორ კალანდარიშვილი ინარჩუნებდა სულიერ მხნეობას. მისი მეუღლის აღათი ანანიაშვილის გადმოცემით, ამ დროს იგი მეგობრობდა ცნობილ ქართველ მსახიობ ვაღლირან გუნდასთან, ნოე ჩხენკელთან და ბეჟან ხუნდაძესთან. მეგობრები საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ და ლაპარაკობდნენ რევოლუციის მომავალ გამარჯვებაზე. ამხანაგებს ნესტორი ძალიან უყვარდათ. ხანდახან ისინი ეტლში სხდებოდნენ. მეუღლის გვერდით, როგორც წინა, ჯდებოდა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი და გრძობაკეთებული ნესტორი. ასე პოლიციის თვალწინ დასვირობდნენ ისინი ქალაქში. იგი ხშირად იცვლიდა კოსტიუმებს, ხან

გიმნაზისტის ფორმას იცვამდა სათვალეებით. ხან ინტელიგენტის ტანსაცმელს ცილინდრით და ტრისტიმ ხელში, ხან კიდევ მდგდლისას.

ერთხელ, 1906 წლის ზაფხულში, ნესტორ კალანდარიშვილი თავისი ამხანაგებით იპყოფე-ბოდა ქობულეთში აგარაკზე. საუბრის დროს მან ფანჯარა გააღო და დაინახა რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ქუჩაში მიდიოდნენ. ნესტორმა მიიწვია ისინი ტერასაზე და წინადადება მისცა შეესვათ ღვინო და თანაც დასძინა: „ძმებო, შეესვათ თავისუფლებისათვის!“. „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს მეფე!“; უპასუხეს ჯარისკაცებმა. ყველანი აღტაცებული იყვნენ და გუნდით სიცილით უთხრა ნესტორის ცოლს: „თუ ასე სწრაფად, როგორც ეს ნესტორს შეუძლია, მოგნახვებ ჯარში დასაყრდენს, რევიოლუცია აუცილებლად გაიმარჯვებს“. მაგრამ მან შემდეგ დატუქსა ნესტორი და თქვა: „ხედავ, ალათი, როგორი მოუსვენარია შენი ნესტორი? საჭიროა მას თვალი ადევნო, თორემ ოჯახის კერა შეიძლება ჩაქრეს“.

ნესტორი ერთი წუთითაც არ წყვეტდა კავშირს როტმილდის ქაჩხნის მუშებთან. ისინი დადიოდნენ მასთან სახლში და მისი ხელმძღვანელობით პიესებსა და კონცერტებსაც კი ამზადებდნენ. ძმების ხერხეულდიების გმირობის ამსახველ პიესაში როლბს ასრულებდნენ თვით მუშები, ხოლო დედის როლს — ნესტორის მუდმივ ალათი. „ის, როგორც ბავშვი, გახარებული იყო ჩვენი მიღწევებით“, გვიამბობს ალათი.

თვით ნესტორის ნაამბობის მიხედვით, იგი სხვადასხვა გვარით იჯდა ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, ქერჩის, ნოვოროსიისკის, კიევისა და ხარკოვის საპყრობილეებში და რამდენჯერმე გაიქცა ამ ციხეებიდან. 1908 წელს ის კვლავ დააპატიმრეს, გაასამართლეს და ეტაპური წესით გაგზავნეს ციმბირში. იქ, ირკუტსკში შეხვდა ნესტორ კალანდარიშვილი ოქტომბრის რევოლუციას, სადაც ხელმძღვანელობდა ქართველ პოლიტიკურ გადასახლებულთა რაზმს.

კოლჩაკის რეჟიმის დროს ნესტორ კალანდარიშვილი სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ რაზმს და ლეგენდარულ ლაშქრობას აწყობდა მტრის ზურგში. „რედუშკას“ სახელი ძლიერ პოპულარული გახდა ციმბირისა და შორეული აღმოს-

სავლეთის მუშებსა და გლეხებს შორის. დიდ ლენინთან შეხვედრის შემდეგ ნესტორი შეიჭრა კომუნისტური პარტიის რიგებში და მუშაობდა გაემიჯნა თავის ანარქისტულ შეხედულებებს.

1922 წლის მარტში იგი დაიღუპა იაკუტსკის მიდამოებში, მთელი გუბერნიის შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობაზე კულაკობასთან ბრძოლაში.

ნესტორ კალანდარიშვილს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ოჯახი და ერთი წუთით არ ივიწყებდა მას. აი რას წერდა იგი თავის განუყრელ მეგობარსა და მეუღლეს ერთ-ერთ ბარათში:

„ბათუმში ვერ ჩავალ ჯერ-ჯერობით, ცოტა თქვენც მოითმინეთ. ახლოა დრო ხალხის თავისუფლებისა, მალე დადგება დრო, როცა ტანჯული ხალხი, ხალხი საცოდავი იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას თავისუფლების დაგვირგვინებით. დღეს თქვენ მოგშორდით, ვეღარ ვასრულებ ქმრისა და მამის მოვალეობას, მაგრამ კისერზე მაწვეს, როგორც ყველა შეგნებულ ადამიანს, როგორც მებრძოლს მეორე მოვალეობა, უფრო მაღალი, უფრო დიდი — ხალხის სამსახური და, როდესაც მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს, როდესაც ის თავისუფალი და ბედნიერი იქნება, ეს არის ჩემი იდეალი, ალათი, და თუ მაშინ ცოცხალი დავრჩი, მეც ბედნიერი ვიქნები მათი ბედნიერებით. თუ მოკვდები, იცოდე, ისე მოკვდები, რომ ჩვენს შვილებს არ შერტყვება, მე რომ მათი მამა ვიყავი, და მაშინ თავისუფალ-გამარჯვებულ ხალხში თქვენც ბედნიერი იქნებით. მაშ გაუმარჯოს, ალათი, სოციალიზმს, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს ბრძოლას და მით მოპოვებულ უფლებებს. გაიმარჯოს შენც, ჩემო ალათი. მალე ენახვებ ერთმანეთს“.

„შენი ნესტ. კალანდარიშვილი“.

ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს უშიშარი რევოლუციონერის — ნესტორ კალანდარიშვილის ნათელი სახე, მისი ბუნებრიობა და ხალხის საქმისათვის თავდადება.

ბ. შიშკინა-ახალაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი.



ამაზდარი კვამობი

აჭარის განათლების ისტორიაში მნიშვნელოვანი დეწლი მიუძღვის მიხეილ სიმონისძე შარაშიძეს. იგი თვალსაჩინო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე იყო.

მ. შარაშიძის მოღვაწეობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში დატოვებული კვალი, შესაძლებელია, იმდენად ღრმა არ იყოს, მაგრამ, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...დიდი იყო გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა...“ მართლაც, მ. შარაშიძე გულით ეკიდებოდა სახალხო განათლების საქმეს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

მიხეილ სიმონისძე შარაშიძე დაიბადა 1864 წლის 15 მაისს სოფელ ინტაბუეთში (ამჟამად ჩაისუბანი, ჩოხატაურის რაიონი).

მთელი ორმოცი წელი მოახმარა მან პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა თბილისში, სენაკში, ოზურგეთში, ქუთაისში და სხვაგან, მაგრამ ყველაზე დიდხანს აჭარაში დაჰყო.

მიხეილ შარაშიძე ბათუმში სამუშაოდ ჩამოვიდა 1891 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველ ქართულ სკოლაში. ამ სკოლის გამგედ მისი კანდიდატურა წამოაყენათვით ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მ. შარაშიძეს იცნობდა შაქრო მაღალაშვილის ოჯახიდან, სადაც მიხეილი მოსწავლეებს საშუალო განათლებისათვის ამზადებდა.

ილია ჭავჭავაძის ბათუმში გამოგზავნის წინ დაუბარებია მ. შარაშიძე და მიუცია ასეთი რჩევა-დარიგება:

„ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ ისეთ პასუხსავე ადგილზე გამეგზავნე, იმედია გაამართლებ ჩემს ნდობას... დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსულმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეს, ქართველი მუსულმანები ჩვენი ძმე-

ბია — მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებულები, აუჩქარებელი და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადგილოდ და ნაჩქარევად ნათქვამი სიტყვა მთელი წლობით დასწევს უკან საერთო საქმეს.

იხმარე ყოველივე ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საყვავებში, ნუ დაერიდები. სარდაფებში, მეჩეთში, ბაზარში და, ერთი სიტყვით, იქ, სადაც ქართველ მუსულმანებს ჩვევია თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრით, რომ წერა-კითხვასთან თუ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“ (აჭარის ასსრ მუზეუმის ხელნაწერთა ფ. № 195).

სკოლა, რომელიც მ. შარაშიძემ მიიღო, შედგებოდა ოთხი ჯგუფის 60 მოსწავლისაგან. მიხეილი პირველი დღიდანვე თავგამოდებით იცავდა საგნების მშობლიურ ენაზე სწავლების პრინციპს. რუსული ენის სწავლებას, მსგავსად გამოჩენილი პედაგოგებისა, ახორციელებდა მეორე კლასიდან, თუმცა სასწავლო ოქჩის მზრუნველები დაყინებით მოითხოვდნენ ამ ენის სწავლებას პირველ კლასიდანვე.

მ. შარაშიძე სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობით როდი დაკმაყოფილდა. ბათუმში ბევრი იყო სწავლების გარეშე დარჩენილი ასაკვადაცილებული ახალგაზრდა. და ამ მიხეილი შეუდგა მათი სკოლაში გაერთიანების მოგვარებას.

ამ მიზნის მისაღწევად მ. შარაშიძემ უნარიანად გამოიყენა პროგრესული ძალები და ფართოდ გააჩაღა აგრიტაცია მოსახლეობაში, განსაკუთრებით ასაკვადაცილებულ ახალგაზრდობაში. მასებთან უახლოესმა კავშირმა მ. შარაშიძე დაარწმუნა მუსულმანი ქართველების სიდარბაისლეში, გონიერებასა და საქმიანობაში. ნაყოფიერმა შრომამ შედეგი გამოიღო: დაარს-

და მეხუთე ჯგუფი ასაკგადაცილებული ახალ-გაზრდებისათვის.

თავისუფალ დროს მ. შარაშიძე აპარის მოსახლეობაში ეწეოდა საგანმანათლებლო მუშაობას: დადიოდა ხელოში, ქედაში, საზაფხულო სამორებზე, ზოტიველში, ზოტიმაკრიაში (მახმაროს მახლობლად), პატარა და დიდ ბახმაროსა და ბაისურას იალაღებზე, ავრცელებდა ქართულ წიგნებს, აწყობდა საუბრებს, ეცნობოდა მოსახლეობის ადგილ-ჩვეულებებს, მიუთხრობდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს. საუბრის დროს ავითარებდა იმ აზრს, რომ დანარჩენ ქართველებსა და აპარლებს შორის მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავებაა, რომ აპარლები იგივე ქართველებია, რომლებიც თურქმა დამპყრობლებმა თავისიანებს მოსწყვეტეს. რომ ახლანდელი აპარის ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილია და სხვ.

1892 წელს მ. შარაშიძემ იმოგზაურა ხელოს რაიონის სოფელ ღორკომში. აქ გაეცნო ადგილობრივ მცხოვრებლებს და ესაუბრა სწავლავანათლების აუცილებლობაზე.

1917 წელს მ. შარაშიძე მუშაობდა ქობულეთის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის გამგედ. 1918 წელს ოსმალთა ჯარებმა ქობულეთი აიღეს და ამის გამო დროებით შეწყდა სწავლა. რომელიც მხოლოდ 1919 წელს განაახლდა. მ. შარაშიძე კვლავ ამ სასწავლებლის გამგედ მუშაობდა. 1920 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ქალთა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელს.

მ. შარაშიძის პედაგოგიური მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1922 წლიდან ქალთა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი გადაკეთდა მესამე საბჭოთა სკოლად, რომლის გამგეობა წილად ხედა მ. შარაშიძეს. ერთი წლის შემდეგ იგი მიიწვიეს ახალდაარსებულ აპარის პედაგოგიურ ტექნიკუმიში (რომელსაც მაშინ პედაგოგიურ ინსტიტუტს

უწოდებდნენ). მიხეილი ახალი ენერგიით შეუდგა ამ სკოლაში მუშაობას. დანიშნის პირველადი დღიდან ბეჯითად დაიწყო საბჭოთა მეცნიერების პროპაგანდა. მისი დაუფლებლობის შესახებ წავლენებისაგან მოითხოვდა შეგნების უფლებას.

მ. შარაშიძის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად აპარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკი ალ. ქათამაძე ივონებს: „მტკიცე ნებისყოფის, კარგი მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო მ. შარაშიძე. ჩვენ, მის მოსწავლეებს, მისი უფრო გვერიდებოდა, ვიდრე გვეშინოდა. ეს ჩვევა მან შთაგინებდა. ჩვენ ის გვიყვარდა და ვაფასებდით. გაკეთილების შემდეგ მისი ინიციატივით პრაქტიკულად ვმუშაობდით. თვითონ გვიჩვენებდა შრომის სიყვარულს.“

ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში მ. შარაშიძემ 1928 წლამდე იმუშაა. ამ ხნის განმავლობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. მისი ენერგიული, მუყაითი და თავდადებული მუშაობის შედეგად ამ სკოლიდან ბევრი მეცნიერი მუშაკი და საზოგადო მოღვაწე გამოვიდა, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატები რ. კომახიძე, მ. სტამბოლიშვილი. ვლ. ქემხაძე, ჯ. ნოღაიდელი, ქიშიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ა. ნოღაიდელი და სხვები.

მ. შარაშიძეს დიდი ილიას სიტყვებისათვის არასდროს არ უღალატნია. ის ენერგიის დაუზოგავად მუშაობდა პედაგოგიურ ასპარეზზე: „ისე გატაკებული ვიყავი მუშაობით, რომ წარმოდგენილი არ მქონდა, თუ თდესმე დავიდლებოდი“, ვკითხულობთ მ. შარაშიძის მოგონებაში.

მუყაითი შრომით გატაცება მ. შარაშიძეს მოღვაწეობის უკანასკნელ წლებამდე გაჰყვა. 1928 წელს ვალმოხდილი მსკოვანი პედაგოგი გავიდა პენსიაში, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა სიკოცხლე. 1930 წელს, 66 წელს მიღწეული, გარდაიცვალა, მ. შარაშიძე დაკრძალულია ბათუმში სოფელ-სუსის სასაფლაოზე.

ი.რ. შალაზოინა.



მონღოლი უფლისწულის უღონ აჭარაუი

საქართველოს მიწაზე თათარ-მონღოლებმა ფეხი პირველად 1220 წელს შემოდგეს. მაშინ ისინი მიზნად არ ისახავდნენ საქართველოს დაპყრობას, სურდათ მხოლოდ დაეზვერათ ამიერკავკასია.

აქ დასამკვიდრებლად ისინი ცოტა მოგვიანებით, XIII საუკუნის 30-იან წლებში მოვიდნენ. საქართველოს მაშინდელმა მესვეურებმა ვერ შეძლეს ძალების სათანადო შეკავშირება და მონღოლები მცირე და ეპიზოდური ბრძოლებით შემოვიდნენ ქვეყანაში.

თათარ-მონღოლები თურქი-სელჩუკების მსგავსად გადმოსახლებით მოდიოდნენ. ამის გამო ქართული ფეოდალური ურთიერთობა ისევ გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა, კვლავ შეფერხდა კავკასიის პროგრესი.

XIV საუკუნის ქართველი ეპოქალმწერლის ცნობით, თათარ-მონღოლი საქართველოს მოეფინენ „მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად და არსად იყო ლხენა, უწყალოდ მოისრეოდა ყოველი ესე ქუეყანა. მანდატურთა უხუცესი შანშე შეილტვოდა ქუეყნად აჭარისასა“ (ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, თბ., 1906 წ., გვ. 594).

აჭარაში სხვა დროსაც არაერთხელ უპოვნიათ საიმედო თავშესაფარი მონღოლებისაგან ლტოლვილ ქართველებს. ასე, მაგალითად, როცა ერანის ილხანმა სარგის ჭაყელისა და მისი ძის ბექას განდგომის გამო სამცხის მოსაოხრებლად ლაშქარი დასძრა, „ბექამან მირიდნა მათათა რომელ არიან შუა გურჯის და აჭარას“ (იქვე, გვ. 725).

1259 წლიდან საქართველო ილხან (ერანის) ყაენის უზენაესობას დაექვემდებარა. საილხანოში იშვიათი როლი იყო შინაური აწილილობა და შფოთი. ყაენის წინააღმდეგ ამხედრებული ზოგიერთი მონღოლი უფლისწული საქართვე-

ლოსაც შემოიხიზნია ხოლმე. ასე მოიქცა, მაგალითად, ბატონიშვილი თეგუდარი (თუ თავუდარი). აბაღა ყაენისაგან დამარცხებული თეგუდარი თავისი ურდოთი აჭარასა და ნიგალის ხევზე ვავლით ქუთაისისაკენ გაემართა, სადაც მას თავშესაფარს აძლევდა იმ დროს ილხანთა წინააღმდეგ ამხედრებული მეფე დავით ნარინი.

ამ საკითხზე ცნობები დაუცავთ ქართველ ეპოქალმწერელს, სომეხ მემატიანეს მალაქია ბერს (ანბელა), სპარსელ ისტორიკოსებს რაშიდედდინს, ჰამდალავ ყაზვინს და სხვ.

ქართველი ისტორიკოსის თქმით, თეგუდარი იყო „ყაენისა ბარახას ძმა უმრწემესი“, ხოლო თვით ბარახა, რომელსაც „ეზყრა ქვეყანა თურანისა და დიდი თურქეთი“ ყოფილა ჩაღატას (ჩინგიზ ყაენის შვილის) ნათესავი (იქვე, გვ. 725).

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, რაშიდედდინის ცნობებზე დაყრდნობით, არკვევს, რომ თეგუდარი ჩინგიზ ყაენის შვილის ჩაღატას უფროსი ძის მუჩი იბეს პირმშო იყო, ხოლო ბარახა, ანუ როგორც სპარსელი ისტორიკოსი ამბობს, ბორაყი — იმავე ჩაღატას მეორე ვაჟის მუატუკანის მესამე ძის უსუნ-ტუას შვილი (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1949 წ., გვ. 197).

ეპოქალმწერლის მოთხრობით, თეგუდარი „ორისა ბეგრისა ლაშქრის მქონებელი“ ერანს წარმოუგზავნია „დიდი თურქეთის“ მპყრობელ ბარახა ყაენს თითქოს იმ ხარჯის მისაღებად „რომელ მას (ბარახას — ი. ს.) წარხლომდა“ და ერანის ილხანისაგან ჰქონდა მისაღები.

აბაღა ყაენს ჩინებულად მიუღია თეგუდარი, ხარჯის გამოწყობამდე მიუჩენია მისთვის „ზაფხულისა სადგურად ვიდრემდე მთანი არარატი-სანი და საზაშოროდ რახსისა პირი და ნახუვანის“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 698).

თეგუდარს დიდძალი ქონება შეუძენია სპარსეთში, ლაშქრის სიმრავლითაც გული მოსცემოდა, ქამთაღმწერლის ცნობით, აბაღა ყაენის წინააღმდეგ შეთქმულების აზრიც დაჰბადებია. რაშიდედდინი კი აბაღას წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას ბარახს ინიციატივად სთვლის.

თეგუდარი სამზადის შესდგომია... შეთქმულთა მუყრა თითქოს ჩრდილო-კავკასიაში უნდა მომხდარიყო.

შეთქმული უფლისწული თავისი ლაშქრით საქართველოსაკენ დაიძრა. ქამთაღმწერლის სიტყვით, თეგუდარმა „მომართა მთათა დაღოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთსა და აქარას და დადგა თავსა შავშეთისასა ფოქეთას“ (იქვე, გვ. 700).

განდგომილებს საიდუმლოება საილხანოში მალე გამოჰქადაგებულა და აბაღა ყაენსაც სერიოზული ზომები მიუღია შეთქმულთა დასასჯელად.

ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ერანის ილხანმა „წარმოაღლინა (ლაშქარი) დევნად თეგუდარისა და აჩინა მხედართმთავრად სირმონ ნოინი“, რომელსაც გამოაყოლა „მრავალნი ნოინნი სხვანი“ (იქვე). აბაღა ყაენის მხედრობა არტაანის მთის სანახებში შემოვიდა და იქ დასცა კარგები. რაკი უს შეიტყო თეგუდარმა, თავისი ოჯახი მაშინვე „უკუაყენა მთასა მაგარსა კარისათა, რომელსა ერთ-ერთო შევალს გზა“, თვით კი, ლაშქრით, დასახვედრად გამოემართა, გადაიარა არსიანი და „თავსა ყუელისასა“ შეეყარა მოწინააღმდეგეს. შეიყარნენ და კიდევ შეიბნენ მტრები „და მოსწყდა ორგანითვე ურიცხვი“. გამარჯვება ერანის ილხანის ლაშქარს ხედა წილად. ძველთა მონღოლი უფლისწული თავისი მხედრობით „ილტვოდა... მთასასა დაღოსასა, ჯნალის თავსა“. უკუქცეულ თეგუდარს ფეხდაფეხ მოსდევდა აბაღას მხედრობა. ბატონიშვილმა ერთხელ კიდევ სცადა საქმის გამოსწორება და „სამაგრესა მთისას მინდობილმა“ ბრძოლა მისცა მტერს. სასტიკი ომი ორ დღეს გრძელდებოდა, მაგრამ იგი აქაც დამარცხდა. დამარცხებული თეგუდარი „ილტვო-

და უცნაურთა რომელიმე აქარით, რომელიმე ნოვალისხევით, რომელი ყოელად უფელ კყითა-გან“ (იქვე, გვ. 702).

მონღოლები აქარაში დემეტრე ბატონიშვილს მოსთლიყენენ, რადგან „ჯნალის თავიდან“ (საიდანაც მოდიოდნენ ისინი) აქარისაკენ მომავალი გზა სოფ. ყვირალაზე (შავშეთი) გადიოდა. აქედან ეს გზა დემეტრეაფთი მართის ხეობაში გადმოდიოდა და შუახევში უერთდებოდა აქარის მთავარ მაგისტრალს.

ქამთაღმწერლის თქმით, აქაურ გზებზე ძალიან ძნელი იყო „სლვა კაცისა, არათუ ცხენისა, პირველ სიმძაფრითა და მერე ტყისა სისშირითა და შექრთა და ევალთა, რომელსა ბურწუმელ ეწოდების, გართხმულთა ბრძელაშლითა“ (იქვე, გვ. 702-703).

ამგვარ ქვეყანაში სწრაფად მიმავალ ლაშქარს გზის გაკვლევა უძვირდა. მოსალოდნელი იყო სტიქიური უბედურებაც. და აი, როცა მათ „განვლეს ტყესა ერთსა, ქვეშე კლდიანსა და ზედათ მცირე მიწისა მქონებულსა... ვაღმართ განმავალი წარუსქდა მთა იგი, ვითარცა ზევი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა დედაწულისა მქონებულსა და შთავიდა ხეცსა აქარისას და დაიპყრა ცხენი და კაცო და ყოვლად უჩინო ყო და ესრეთ... მოისრვოდეს“ (იქვე, გვ. 703). შემდეგ ისტორიკოსი დასძენს: დღესაც „ადგილსა მას სთხრიან მაქარელნი და ჰპოვებენ სამკელთა დედათასა ოქროსა და ვერცხლისასაო“ (იქვე).

თეგუდარის ურდომ ჩაიარა აქარა, გურია და ქუთაისის მივიდა. ნარინ დავითი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით პირველად პატივით დაუხვდა მოჯანყე მონღოლ ბატონიშვილს. მაგრამ შემდეგ მისი ურდოს დარეშმა დიდად შეაწუხა ქვეყანა და მეფე თავითიც განუდგა თეგუდარს. ამან გადაწყვიტა კიდევ მისი ბედი. უფლისწული შეიპყრეს...

ასე მოვიდა ბოლო თავგზააბნეული მონღოლი ბატონიშვილის მარბაჟს ჩვენს ქვეყანაში.

სპარსელი ისტორიკოსის რაშიდედდინის მიხედვით ეს იყო 1270 წელს (პიჯრიტი 668 წელს).

დოც. ი. ნიხარულიძე.



ესა იბაღება ნაკმაგება

ალბერტ ანტონიანის ბიოგრაფი იმდენად უბრალოა, რომ მისი გადმოცემა სულ რამდენიმე სიტყვითაც კი შეიძლება. ან რა ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს 1935 წელს დაბადებულ ჭაბუქს? მან ადრე ბავშვობაში დაჰკარგა მამა. მერვე წელში რომ გადადგა, დაიწყო სკოლაში სიარული. როგორც ყველა მისი ასაკის ბავშვი, ალისფერ პიონერულ ყელსახვევს იცეთებდა. შევიდა კომკავშირში, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. აი ვგონებ ყველაფერი. მაგრამ არა, ალბერტ ანტონიანს ხომ სპორტული ბიოგრაფიაც აქვს.

პირველად მან ყურადღება მიიპყრო 1952 წლის ზაფხულის ერთ-ერთ მცხენვარე დღეს. როცა ბათუმის საწყლოსნო სადგურ „პიშჩევიკში“ მიმდინარებდა ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში მისაღები გამოცდები ცურვაში. და აი მოულოდნელად სასტარტო ხილზე გამოჩნდა საშუალო ტანის მოხდენილი აღნაგობის ჭაბუქი. მან იმათივით მსუბუქად, ძალდაუტანებლად გაცურა და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია თავისი მეტოქეებმა და მრავალრიცხოვანი მსაყრებლებსათვის. სულ ერთ წუთზე ცოტა მეტი დრო გავიდა და ჭაბუქი უკვე ფინიშთან იყო. სადგურში თავმოყრილი მსაყრებლები და სპორტსმენები ვაოცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: — ვინ არის ეს ყმაწვილი, საიდანაა? მაგრამ ჭაბუქს არავინ იცნობდა.

...მწერთნელის პ. იოსელიანის კითხვაზე — უნდა თუ არა ისწავლოს ცურვა, ალბერტმა უყოყმანოდ უპასუხა:

— დიახ. მე ზღვა მიყვარს. იგი ჩემი სტიქია.

— მაშ ხეალ მოდი. დაიწყეთო მეცალინეობა. გავიდა ერთი წელი, მეორე. სისტემატურმა წერთნამ კარგი შედეგი გამოაღო. ალბერტი სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობდა და პირველი სპორტული თანრიგის ნორმატივები

შეასრულა. ამ შეჯიბრებების დროს ჭაბუქი გულმოდგინედ აკვირდებოდა გამოცდილ მოცურავეებს.

1956 წელს მოსკოვში გაიმართა მორიგი ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრედას“ პრიზზე. სტარტი — 200 მეტრზე, ბრასის სტილით ცურვა. მონაწილეობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. მინაშკინი, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ა. გოლოჯიჩეკო და ბათუმელი ალბერტ ანტონიანი. ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში მხოლოდ გამოუცდელობამ შეუშალა ხელი ჭაბუქს დაეკავებინა პირველი ადგილი. მან გაიყო მეორე-მესამე ადგილი მინაშკინთან. იმავე წელს ალბერტმა მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ხალხთა პირველ საპარტიკულადში საქართველოს ნაერები გუნდის შემადგენლობაში. ბევრ ცნობილ ოსტატთან თანასწორბრძოლაში მან მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავა.

1957 წლის ზამთარში ძველი მეტოქეები ე. მინაშკინი და ა. ანტონიანი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. და აქ პირველი ადგილისათვის შეუპოვარი ბრძოლის დროს გამოცდილმა ოსტატმა მინაშკინმა მხოლოდ ფინიშთან მოიპოვა გამარჯვება.

მაგრამ ბათუმელი სპორტსმენი იმდენს არ კარგავდა. გამოცდილი პედაგოგის, სსრ კავშირის დამსახურებული მწერთნელის ლ. იოაკიმიდის ხელმძღვანელობით თავისუფალ დროს იგი დაოსტატებას ანდომებდა. ახლა მართლაც ძნელია იანგარიშო, რამდენი საათი დაჰყო ალბერტმა თბილისის საცურაო აუზში, მაგრამ მისმა შეუპოვრობამ და შრომისმოყვარეობამ თავისი გაიტანა.

სსრ კავშირის პირველობაზე ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვის ფინალმა ისევ შეკრიბა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოცურავეები.

სტარტზე კვლავ ძველი მეტოქეები — ა. ანტონიანი, ა. გოლოგჩენკო, ვ. მინაშკინი და სხვები გამოდიან. გაისმის სასტარტო პისტოლეტის ხმა და აი სპორტსმენები უკვე მიაბობენ წყალს. ლუქინიკის საზაფხულო აუზთან თავმოყრილი ათი ათასობით მაცურებელი სულგანაბული ადევნებს თვალყურს მათ ბრძოლას. დაწინაურდა ვ. მინაშკინი, მაგრამ მანძილი ალბერტსა და ლუენინგრაიდლს შორის სულ უფრო მცირდება. უკანასკნელ მოსახვევზე ანტონიანი, რომელმაც საკმაო ძალა შეინარჩუნა, ერთი ძლიერი ბიძგით ფინიშთან გაჩნდა. გამარჯვებულის შედეგი — 2 წუთი, 40,8 წამი მსოფლიოში მეორე იყო 1957 წლის სეზონში. ამგვარად, შეუპოვარ ბრძოლაში ალბერტმა პირველად მოაიპოვა ოქროს მედალი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

სპორტსმენს ბედმა გაუღიმა იმავე წლის შემოდგომაზე ბაქოში გამართულ ოთხი რესპუბლიკის სპარტაკიადაზეც, სადაც მან კვლავ დაიჯავა პირველი ადგილი და შესარულა სპორტის ოსტატის ნორმატივები.

სრულიად საკავშირო შეჯიბრებების შემდეგ ალბერტი სამშობლოს სპორტულ ღირსებას იცავს საზღვარგარეთ.

ლაიპციგი, 1957 წელი. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა შეხვედრა. აქ ალბერტმა მაცურებლებს კვლავ უჩვენა თავისი ოსტატობა, გაუსწრო საუკეთესო გერმანულ მოცურავეებს და მხოლოდ თავის მუდმივ მეტოქეს ვ. მინაშკინს დაუთმო გამარჯვება.

ევროპის კონტინენტის ყველაზე უკეთესი მოცურავეები შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და სსრ კავშირის მოცურავეთა შეჯიბრებაზე მოსკოვში. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში სტარტს იღებენ ცნობილი უნგრელი სპორტსმენები დ. კუნშაგი და დ. ფაბიანი, გერმანელი ხ. მაულვი. მსოფლიო რეკორდსმენი ვ. მინაშკინი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ა. ანტონიანი, ბათუმელმა გაბედულად განვლო დისტანცია და გამარჯვა კიდევაც. მისი შედეგი 2 წუთი და 42,6 წამი იყო.

ამას მოჰყვა ევროპის პირველობა ბუდაპეშტში, 11 ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრა ბულგარეთში, ევროპის მოცურავეთა ტრადიციული შეჯიბრება ბუდაპეშტში, სადაც ახალგაზრდა სპორტსმენმა ევროპის კონტინენტის უძლიერეს მოცურავეებთან ბრძოლაში შესა-

ბამისად მეორე, მეორე და პირველი ადგილები დაიკავა.

უკანასკნელ დროს ანტონიანი უკვე გამოვიდა ბუდაპეშტში და მაცურებლებს უნდა მჭეხარე ოვაცია მოუწყეს გამარჯვებულ სპორტსმენს. პირველად ეს იყო ცამეტი ქვეყნის მოცურავეთა შეჯიბრებაზე, ხოლო მეორედ — უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სამატხო შეხვედრაზე. ბუდაპეშტში ეუნძულ მარგიტის აუზში ანტონიანის მიერ ნაჩვენები შედეგი — 2 წუთი, 42,3 წამი კვლავ საუკეთესო იყო.

გასული წლის 8 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა. საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ალბერტ ანტონიანიც შედიოდა. ბათუმელმა ჭაბუკმა კვლავ უჩვენა მაცურებელს თავისი შესანიშნავი ოსტატობა.

მისი შედეგი — 2 წუთი, 40,3 წამი სეზონში მეორე, ამასთან საზოგადოება „დინამოს“ ახალი რეკორდიც იყო. ამგვარად, ალბერტ ანტონიანი ჩვენი ქვეყნისა და სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

სუთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალები, ვერცხლისა და ბროლის თასები, სხვადასხვა სამახსოვრო პრიზები და საჩუქრები ახალგაზრდა სპორტსმენის სპორტული ნადავლის სრული სია როდია.

სულ მალე ა. ანტონიანს დიდ შეჯიბრებებში მოუწევს ძალღონის მოსინჯვა ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, უნგრეთის, პოლანდიის უძლიერეს მოცურავეებთან, მონაწილეობას მიიღებს ინგლის-სსრ კავშირისა და იაპონია-ამერიკის შეერთებული შტატების-სსრ კავშირის მატჩებში, რომლებიც მოსკოვში, ლონდონსა და ტოკიოში გაიმართება, და ბოლოს, ოლიმპიური რომიც!

გვჯერა, რომ ჩვენი თანამემამულე არ გვიძტყუნებს, გაამართლებს იმედს და ყველგან, სადაც არ უნდა იყოს, პირნათლად დაიცავს საბჭოთა სპორტის ღირსებას.

მ. შაშიკაშვილი.



გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები“

პროფესორ გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე წიგნი (გამომცემლობა „ცოდნა“, 1959 წ.) მიძღვნილია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის საკითხებისადმი. სარეცენზიო წიგნში შეტანილ მონოგრაფიულ გამოკვლევებში მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე ღრმად და მრავალმხრივ არის გაშუქებული თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაზიროვნება წარმომადგენელთა თანრობრივად და იდეურ-თემატიკურად მრავალფეროვანი შემოქმედება. განსაკუთრებით გამოირჩევა ვალაკტონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვრცელი და მრავალი ახალი დებულების შემცველი კრიტიკული გამოკვლევა.

დააყენა რა გ. ტაბიძე ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას გვერდით, მკვლევარმა ღრმად გააანალიზა გ. ტაბიძის პოეზიის წამყვანი თემები და მოტივები. განსაკუთრებით ფართოდ მიმოიხილავს გ. ჯიბლაძე ვალაკტონის იმ ლექსებს, რომლებიც მკითხველს მძაფრად განაცდევინებს ახალი ეპოქის რიტმსა და მაჯისცემას, რევოლუციური საქართველოს უსაზღვროებას და „მილიონების უფართოეს პორიზონტებს“. „ნახტომს უდიდესს, უხარმავარს, განსაკვიფრებელს, ჯერ არნახულს და ჯერ არგაგონილს“.

ცნობილია, რომ ესთეტიკის ისტორია იცნობს მრავალ ისეთ პოეტურ ნაწარმოებს, რომელიც მხატვრულ ფორმაში გადმოგვცემს ხელოვნების, პოეზიის არსისა და ფუნქციის საკითხებს. მაგრამ გ. ტაბიძის „საუბარი ლირიკის შესახებ“ იმით გამოირჩევა, რომ მასში ცოცხალი სახეებითა და განსაზღვრული ფუნქციითა განთავსებული საკითხების ის წრე, რაც ესთეტიკური აზროვნების განვითარების თითქმის ყველა საფეხურს მოიცავს. ამიტომაც ამ ნაწარმოებისათ-

ვის „შეიძლება გვეწოდებინა ესთეტიკური აზროვნების მოკლე კურსის პოეტური გადმოცემა“. სწორედ ამით არის ნაქარანახევი ამ ნაწარმოების განხილვა, როგორც „ერთიანი, მთლიანი პოეტური კმნილებისა, რომელიც პოეზიის მეცნიერებას ეძღვნება და თავისებურ პოეტურ ტრაქტატს წარმოადგენს“.

უახლოეს ქართულ პოეზიას იოსებ გრიშაშვილის სახით ნამდვილად ჰყავს ლირიკული ლექსის უბაღლო ოსტატი, ორიგინალური ინტონაციისა და ნოვატორული ფორმების შემოქმედი. მისი შემოქმედება მრავალმხრივ საინტერესოა როგორც მკითხველი საზოგადოებისათვის, ისე ლიტერატურული კრიტიკისთვისაც. ბევრი რამ დაწერილა ი. გრიშაშვილზე, მისი ლექსის კულტურაზე. საერთოდ ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხებზე, მაგრამ აქამდე არ გვექონია ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც მეცნიერულად გააშუქებდა სახელგანთქმული პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ამ ხარვეზს ავსებს გ. ჯიბლაძის ახალი კრიტიკული ეტიუდი ი. გრიშაშვილზე. ეტიუდის ავტორი თავიდანვე მკაფიოდ და თანმიმდევრულად ახასიათებს პოეტის სულიერი ცხოვრებისა და იდეურ-მხატვრული ზრდის მნიშვნელოვან ეტაპებს. იგი მეცნიერულად ხსნის და განმარტავს იმ ფაქტორებსა და სიღრმისეულ მიზეზებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ პოეტის ესთეტიკურ დამოკიდებულებას რევოლუციამდელი სინამდვილისადმი.

საბჭოთა ეპოქაში ი. გრიშაშვილის შესახებდღობა მიეცა სრულად გაეფუტრქნა თავისი მადლიანი ნიჭი და მადლმხატვრულად აღებეჭდა ცხოვრების აქტუალური მოვლენები თავის ლირიკულ ნაწარმოებებში. გამოეხოცა რა წარ-

სულსა და ძველ თბილისს, პოეტმა მართლაც შექმნა ახალი სინამდვილით შთაგონებული ისეთი მხატვრული შედეგები. რომლებიც მუდამ დაამზებებენ ქართული პოეზიის ოქროს ფონსს.

ეტუდის კითხვისას ი. გრიშაშვილს ვეცნობით, როგორც ქვეშაირტ საბავშვო პოეტს, რომელმაც არაერთი შესანიშნავი ქმნილება უძღვნა ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობას. მისი წიგნი „თქვენთვის, ჩემო პატარებო“, როგორც გ. ჯიბლაძე წერს, მთელი პოეტური ენციკლოპედიაა. დასასრულ, მკვლევარი მდიდარი საილუსტრაციო მასალის მომარჯვებით კარგად აშუქებს ი. გრიშაშვილის ლექსის თავისებურებას. ეს არის მხოლოდ — უკმაყოფილებას გრძნობთ, რომ ეტიუდში მკრთალად არის გაშუქებული ი. გრიშაშვილის მოღვაწეობის ისეთი მნიშვნელოვანი მხარე, როგორც არის ლიტერატურული კრიტიკა და მეცნიერული კვლევა-ძიება.

შედარებით მცირე ფორმისაა ეტიუდი „შალვა დადიანი“, მაგრამ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს დიდი ქართველი მწერლის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე. აქ მკაფიოდ არის ნაჩვენები შალვა დადიანის თვალსაჩინო ღვაწლი და დამსახურება ქართული პროზისა და დრამატურგიის დარგში, აგრეთვე თეატრალური ხელოვნების ასპარეზზე. თავის ისტორიული რომანებით შალვა დადიანმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული პროზის საგანძური. თანამედროვეთა წინაშე მან მხატვრულად გააცოცხლა ჩვენი გამირული წარსული, ამავე დროს იგი დაუძალავად იღვწოდა და ტრიალებდა ხალხში, რომლის კეთილდღეობისათვის ზრუნვას მოახმარა მთელი თავისი ძალა „სიტყვით, წერით და მოქმედებით“.

ლეო ქიჩიელი ქართული პროზის ბრწყინვალე ოსტატი. მისი რომანები და მოთხრობები დაფუძნებულია რეალისტურ საწყისებზე და ღრმა სოციალურ მოვლენებს განაზოგადებენ. „ტარიელ ვოლუა“ და „გვალი ბიგვა“ ფრიალ

პოპულარული ნაწარმოებებია. რომლებსაც კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში არამედ საზღვარგარეთაც. რომან „გვალი ბიგვა“ სიუჟეტი, როგორც გ. ჯიბლაძე წერს, მკვლევარულადაა შექმნილი და ეს ორი დღესასწაული ალუბას ახდენს გვადის ცხოვრებაში. მწერალი ოსტატობას იჩენს გმირის პირადი ცხოვრების ხატვის დროს. გვადის ვარდა, სხვა პერსონაჟების ხასიათიც საკმაოდ გამოკვეთილია. ამ ეტიუდში გ. ჯიბლაძემ გვიჩვენა, თუ რა ძირეულ ცვლილებას განიცდის ადამიანის სულიერი ცხოვრება ახალი წყობილების პირობებში და რაოდენ დიდი ოსტატობა სჭირდება მწერალს ცხოვრების არსებითი მხარეების გამოსახატავად.

მკვლევარის ღრმა ცოდნა და ერუდიცია ჩანს აგრეთვე სხვა ეტიუდებში. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა „პოეზიის მხატვრული სახეები“, რომელიც პოეტიკის ფრიალ აქტუალურ პრობლემებს ეხება. მხატვრული სახის თავისებურებას კრიტიკოსი განმარტავს არა აბსტრაქტულად, განყენებული მსჯელობის გზით, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის ცალკეული ნიმუშების განხილვითა და მომარჯვებით. ავტორის თქმით, მხატვრული სახე ვერ აღმოჩნდება ქვეშაირტი ხელოვნების სიმადლეზე, თუ არ ემყარება შემოქმედების გარდუვალ კანონს, რაც ესოდენ მოზდენილად გამოთქვა პოეტმა სიმონ ჩიქოვანამ:

შემოქმედებას სირთულე უყვარს.

მაგრამ ვასაგებ ენით ნათქვამი.

ეტიუდი „ქართული მხატვრული პროზა“ მოიცავს 1946-1959 წლებში ქართული პროზის განვითარების არსებით საკითხებს.

გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები“ დაწერილია დახვეწილი ენით, მაღალი მხატვრული გემოვნებით და წარმოადგენს ფართო პლანის მონოგრაფიული გამოკვლევების შესანიშნავ კრებულს.

ს. ბრველაძე.

საინტერესო საბავშვო წიგნი

აჭარის სახელგამმა ახალბან გამოსცა პოეტ ნ. მალაზონის საბავშვო წიგნი „საბავშვო ლექსები, პოემები, ზღაპრები“. იგი იხსნება ლექსით „დიდება ლენინს“. მასში პოეტი შთამაგონებლად უმღერის ნორჩი თაობის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა ხსნას, მომავალი თაობის დიადი მომავლის გამოქედვას მონაწილეობა. ამიტომაც ყოველი ბავშვი სიხარულით ამეორებს პოეტის სიტყვებს:

დიდება ლენინს!

მან მოგვცა

ეს ბედნიერი ბავშვობა.

პოეტს უსაზღვროდ უყვარს მომავლის ყვავილები, ჩვენი ქვეყნის იმედი და ლხენა. თუ როგორ მღერის ისინი:

ცაში მერცხლების ფრენა ვართ,

ბაღში ბუბულის სტვენა ვართ,

ზღვა სიხარულის დენა ვართ,

უმრეტო აღმადგინა ვართ,
მოძულს ყველები ვართ.
ჩვენი სამშობლოს ღენა ვართ.

სარეცენზიო წიგნი წარმოდგენილია პატრი-
ოტული ლექსები: „უფროსი მამა“, „ნორჩი თა-
ობის სიმღერა“, „წერილი მამას“ და სხვ., რომ-
ლებშიც პოეტმა ჩვენი ბავშვების გმირობის,
მამაციობისა და გაბედულება-მოხერხებულობის
ნათელი სურათები დავეიხატა.

მაღალი ოსტატობითა და დამაჯერებლობით
დაწერილ მრავალ ლექსში გამოსკვივის ის აზ-
რი, რომ კომუნისმის მომავალი მშენებლები და
კომუნისტური საზოგადოების მოქალაქენი უნ-
და იყვნენ ყოველმხრივ განვითარებულნი, აში-
სათვის კი ჩვენს ბავშვებს ყველა პირობა აქვთ:
მათთვის ყველგან ხსნილია სკოლის კარები,
არდადეგების პერიოდში უზრუნველყოფილი
არიან დასვენება-გართობით, ხოლო როცა ისევ
მერხებეს უბრუნდებიან, სკოლა სიხარულით
ეგებება მათ:

ფრთავაშლილი გვხვდება ვშო,
ვიმეება მერხებს, კედლებს...
დასვენება ვინც კი შესძლო,
ის სწავლასაც კარგად შესძლებს.

ცოდნისა და სწავლის სურვილით გატაცებულ
ბავშვებს პოეტი მშობლიურ დარიგებას აძლევს
— უყვარდეთ წიგნი — ჩვენი უახლოესი მეგო-
ბარი და ცხოვრების გზის მანათობელი.

სწავლა, ცოდნა თუ გწყურია —
ეს ცხოვრების გზა და ხიდი,
წიგნი შენი მეგზურია,

გვიყვარდეს და გაუფრთხილდი.

პოეტმა კარგად იცის, რომ საზოგადოებრივ-
სასარგებლო შრომის გარეშე სწავლა იგივეა,
რაც გამოუყენებელი განძი. ამ ნათელ აზრს
იგი დამაჯერებლად უნერგავს როგორც სკო-
ლამდელი, ისე სასკოლო ასაკის ბავშვებს. ეს
განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ლექსში „ნახ-
ვადის“.

სარეცენზიო წიგნი წარმოდგენილ ყველა
ლექსს ახასიათებს თემის ვარკვეულობა და
სისადავე, ბავშვებს უფროსთა დაუნმარებლად
ესმით წაითხულის შინაარსი.

არანაკლებ სინტერესოა კრებულში ჩატე-
ნილი პოემები. დიდხანს დამაძინებელი
ბავშვებს, მავალითად, პოემა „სტუმბოლის
რეუბანში“.

ყველა ამ ღირსებასთან ერთად ზოგიერთი
ლექსი ვერ არის სრულყოფილი. ჩვენი აზრით,
გამართლებული არ არის ლექსის „თინიკოს და
ნისლას“ ის ნაწილი, სადაც თინიკო დედას და-
ხმარებას თხოვს, რომ თავი დაიხსნას თიკისა-
გან, რომელმაც უკვე ისწავლა „ტაკეა და რქე-
ნა“, ხოლო დედა მშვიდად უპასუხებს „ხუმ-
რობს, შეილო, თამაშობს კუნტრუშა და ანცი“.
არა გვეგონია, რომ დედამ ასე უპასუხოს შეშ-
ნებულ ბავშვს. აკი თვითონ ავტორი შენიშნავს:
„მაგრამ თიკის ხუმრობას როგორ ენდოს კა-
ცი?“

ბუნებრივი არ არის ლექსი „ბეკეკა“. ბეკე-
კას რძე ყველას ვერგო — ლილის, ფისოს, მუ-
რიას, მაგრამ თიკანი ნაცარა დარჩა მშვირი.
ლექსში „უმცროსა“ უსუსური წიწილა, რაკი
ის იწყუბატორის შვილია, მთელ რძე სავმირო
საქმეებს სჩადის. ლექსში „ნაძვის ხესთან“
პოეტი ამბობს: „სათამაშო რაც კი იყო, სულ
აქ იყო ყველა“ და ჩამოთვლის: „ცხენი, ეტლი,
ავტო“. განა ასეთი სათამაშოებია დამახასიათე-
ბელი ნაძვის ხისათვის?

გამართლებული არ არის სარეცენზიო წიგნის
მეორე ნაწილის დასათურება „პოემები, ზღაპ-
რები“, რადგან პოემად არ ჩაითვლება ისეთი
მცირეფორმიანი ლექსები, როგორცაა „გა-
ზაფხული“, „დილის მოლოდინში“, „ზაზა“,
„ნიბლის დღეობა“ და სხვ.

წიგნი მხატვრულად კარგადაა გაფორმებული,
მაგრამ ზოგჯერ ილუსტრაცია ტექსტს არ შე-
ესაბამება, ასე, მავალითად, ლექსში „თოვლის
ბაბუა“ ბაბუას ჯობის ნაცვლად ხელში ცოცხი
უჭირავს.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ნესტორ მა-
ლაზონიას წიგნი „საბავშვო ლექსები, პოემები,
ზღაპრები“ პოეტის მორიგი გამარჯვებაა. მისი
სახით ჩვენმა პატარებმა კარგი საჩუქარი მიიღეს.

ნ. ნოდარდელი.

წიგნი რუსეთის პირველ რევოლუციისაზე

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია იმ-
პერიალიზმის ეპოქის უდიდესი სახალხო რე-
ვოლუცია იყო. ამიტომ მისასაღებელია ყო-
ველი ნაშრომის გამოცემა, რომელიც მოძღვნი-
ლია რუსეთის პირველი რევოლუციის საკითხე-
ბისადმი. ამ მზრივ სინტერესოა კ. დოლიძის

წიგნი „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუ-
ციის პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხისა-
თვის“, რომელიც ამას წინათ გამოცემა აჭარის
სახელმწიფო გამომცემლობამ.

სარეცენზიო წიგნი შედგება მოკლე შესავ-
ლისა და სამი თავისაგან. პირველ თავში „ბურ-

ახუზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ მოძღვრების შემუშავება ვ. ი. ლენინის მიერ" გამუქებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა რუსეთის სახალხო რევოლუციის წარმომშობი ისტორიული ვითარება, რევოლუციის ხასიათი და თავისებურებანი, მისი მამოძრავებელი ძალები, ლენინური მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, რსდმპ III ყრინლობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ტაქტიკურ საკითხებზე და სხვ. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებსა და პარტიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ავტორს საფუძვლიანად გაუშუქება ყველა აქ დასახელებული საკითხი. აღსანიშნავია, რომ გარდა საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურისა და პარტიული დოკუმენტებისა, ავტორს უსარგებლნია აგრეთვე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებითა და ბოლშევიკური პრესით.

სარეცენზოო წიგნის მეორე თავში „ბოლშევიკების ბრძოლა პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში“ საკმაოდ ვრცლად არის განხილული პროლეტარიატის საგაფიცო მოძრაობის სწრაფი აღმავლობა და მისი გავლენა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა-განვითარებაზე, ბოლშევიკების ბრძოლა გლეხთა მოძრაობისადმი განუყოფელი ხელმძღვანელობისათვის, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დაწყება და განვითარება, აჯანყების გაკვეთილები, დამარცხების მიზეზები და სხვ. საკულისხმია, რომ წიგნში წამოყენებული ყოველი დებულება დადასტურებულია უხვი ფაქტური მასალით, მხილებულია რევოლუციისათვის ბურჟუაზიული და წერილობრივი ბურჟუაზიული პარტიების ლაღატი.

წიგნის მესამე თავში განხილულია რევოლუციის მეორე ეტაპი — ეკანდახევის პერიოდი, ნაშრომის ამ ნაწილში გაშუქებულია ბოლშევი-

კების ტაქტიკა შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც რევოლუცია დაღმწეული გახდა. მოიხილა წიგნის ეს ნაწილი წარმოუდგენელი მდიდარი ფაქტობრივი მასალებითა და მენტიების გამოყენებით. განსაკუთრებით კარგად არის გაშუქებული ბოლშევიკების ბრძოლა გლეხობისადმი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და ბურჟუაზიის გავლენისაგან მისი განთავისუფლებისათვის პირველი სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში. ასევე ვრცლად არის განხილული მეორე სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში. ავტორის სამართლიანი თქმით, ბოლშევიკების მოღვაწეობამ პირველი და მეორე სათათბიროების პერიოდში ცხადყო ბოლშევიკური ტაქტიკის მოქნილობა, უნარი იმისა, რომ ისტორიული ვითარების შესაბამისად სწრაფად შეცვალონ ბრძოლის ფორმები და ლოზუნგები. ნაშრომს დართული აქვს საკმაოდ ვრცელი დასკვნა.

მაგრამ სარეცენზოო წიგნი უნაკლო არ არის ჩვენი აზრით. საჭირო იყო წიგნს წამძღვარებოდა ღრმა მიმოხილვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინაპერიოდის ეკონომიკისა. ამის გარეშე ძნელია იმ პირობების წარმოდგენა, რომელთა ფონზე გაიშალა 1905-1907 წლების რევოლუცია. წიგნში არ ჩანს ცარიზმის 90-იანი წლების ეკონომიური პოლიტიკა და მისი მანიკერება. გარდა ამისა, საჭირო იყო რევოლუციის წინაპერიოდის რევოლუციური ბრძოლის უფრო ვრცელი მიმოხილვა, განსაკუთრებით შეტის თქმა შეიძლება პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირზე“, მის სტრუქტურასა და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მოღვაწეობაზე.

ამ მცირე შენიშვნების მიუხედავად სარეცენზოო წიგნი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია და მკითხველმა იგი კმაყოფილებით მიიღოს.

3. ცმპიტაჩია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



პაკან ღოკია

უსსოელი ჟურნალისტი საქართველოს შესახებ

შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებული ედგარ გულიამსი მის ნახვას დანატრებულმა კოლეგებმა აეროდრომიდან პირდაპირ ჟურნალ „მადიანცრუს“ რედაქციისაკენ გააქროლეს.

— გულიამსი...

— ჩვენი გულიამსი...

ფეხზე დადგა რედაქცია და მისი დიდი და პატარა თანამშრომელი. თვით ბატონი რედაქტორიც კი გამობრძანდა კაბინეტიდან და მისი ჟურნალის სასიქადულო თანამშრომელს მადლიერი ღიმილით შეეგება.

— როგორ იმოგზაურეთ?

— ხომ არ მოიქანცეთ?

— როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

— კმაყოფილი თუ ხართ არჩევანით?

— მაჭამეთ რამე. — ყველა შეკითხვის პასუხად თქვა გულიამსმა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

— ააა???

— დამშეულია...

— ნაწამებია...

— ვინ იცის, რამდენი დღე ამომშალეს...

— ვინ იცის, როგორ აწამეს...

რამდენი კაცი იყო, იმდენი მოსახრება გამოითქვა.

— სხვა ვინ დაბრუნებულა საბჭოე-

თიდან კმაყოფილი და მადლიერი? — თქვა რედაქტორმა.

— მაჭამეთ რამე! — გაიმეორა გულიამსმა და მიმოიხედა.

ხმა არავის ამოუღია. სუფრა იქვე საწერ მაგიდაზე, გაშალეს და სახელდახელო სადილი მიართვეს.

სანამ გულიამსი ილუქმებოდა, მისი კოლეგები მომავალი სტატიების სათაურების შერჩევით გაერთნენ.

„შიმშილობა საბჭოთა კავშირში“, — ჩაიწერა ერთმა.

„როგორ გადაურჩა შიმშილს ჩვენი კორესპონდენტი“, — ჩაინიშნა მეორემ.

„გულიამსმა ერთი თვე იშიმშილა“, — ამოაგვირისტა მესამემ.

„კომუნისტური საქართველო შიმშილობს“, — ჩაბეჭდა მეოთხემ...

და, ალბათ, ამგვარ სათაურებს კიდევ ბევრს შეარჩევდნენ, მაგრამ გულიამსმა ჭამას მორჩა და წამოდგა.

— ძლივს! — თქვა მან და კმაყოფილმა გაიღიმა.

რედაქციის მუშაკებმა ჩანაწერება შესწორეს. ბატონი რედაქტორი კი სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა და ახალდაბრუნებულ ჟურნალისტს რამდენიმე შეკითხვა მისცა. პირველი შეკითხვა იყო: რამდენი დღე დაჰყო საქართველოში ჟურნალისტმა.

— შთელი თვე, მაგრამ ახლა მხოლოდ ორი დღის შესახებ ვიამბობთ.

— არა?!!

— დიახ, ორი! — არ დააყოვნა ჟურნალისტმა.

— დანარჩენი ოცდაცხრა? (ის თვე ოცდათერთმეტდღიანი იყო)

გულიამსმა გაიღიმა.

— დანარჩენის შესახებ ახლა არაფერს გეტყვით. — თქვა მან.

— პატიმრობაში თუ ვაატარა, — ჩაუჩურჩულა ერთმა რედაქტორს.

— იქნებ ისეთ მდგომარეობაში მოხვდით, რომ...

— არ დავინდეს და...

— იქნებ... — აყაყანდა რედაქცია. ფანქრები კვლავ ამოძრავდა და ჩანაწერებიც შესწორდა.

„აი როგორ ეპყრობიან საბჭოთა კავშირში უცხოელებს“.

„როგორ დააშინეს „მადიანცრუს“ თანამშრომელი“.

— კარგი. — დაეთანხმა რედაქტორი. — გვიამბე ამ ორი დღის შთაბეჭდილებანი.

— ეს შემძლია. — თქვა გულიამსმა და რედაქტორის პირდაპირ ჩამოჯდა. — პირველი დღე, ეს ამ ერთი თვის წინათ იყო. — ჩემი ჩასვლის დღე. მეორე კი დღეს, აქეთ გამოფრენამდე.

— დანარჩენი? — წამოსცდა ვილაცას.

— დანარჩენი... დანარჩენი... — შესწყრა გულიამსი. — დანარჩენი თვით მიხვდით, სად ვიქნებოდით.

— პატიმრობაში...

— ციხეში...

— წამებაში...

ყველამ თავისებურად დაასკვნა.

— თუ მადროვებთ და მათქმევიანებთ... — რედაქტორს შეხედა გულიამსმა. — შექმდია ვიამბობთ ამ ორი დღის შთაბეჭდილებები.

— მოვუსმინოთ!

— დილის ათი საათი იყო, კოლხეთის ერთ-ერთ ნავსადგურს რომ მივადექით. — დაიწყო ჟურნალისტმა. — ხალხი ბლომად შეგვხვდა...

— ველური კოლხები და წითელი კომუნისტები... — წამოისროლა ახალი ამბების განყოფილების გამგემ.

— დიახ, კოლხები. ალბათ, კომუნისტებიც, მაგრამ წითლები?... არა, პირი-

ქით შევგვრემანები ჰარობდნენ, მოხდენილი ვაქცეები და ჩანაწერები ქალიშვილები. აქა-იქ ქერა ბანოებიც გვხვდებოდნენ, მაგრამ მათ, უფრო ახალს ხელოვნურობა ემჩნეოდნენ.

— მაშ, თქვენი აზრით, ჩვენს, ე. ი. ცივილიზებული ქვეყნების მცხოვრებლებსა და მათ შორის დიდი განსხვავებაა? — შეეკითხა რედაქტორი, რათა უცხოელებისადმი კეთილად განწყობილი ჟურნალისტი გონს მოეყვანა.

— ნამდვილად! — დაუდასტურა გულიამსმა.

— მაინც, რაში ხედავთ ამ განსხვავებას? — რამდენიმე თვალი მიაჩერდა მოგზაურობიდან ახალდაბრუნებულს.

— უცხოელებს ისინი ბევრად უფრო თავაზიანად და კეთილშობილურად ხვდებიან, ვიდრე ჩვენ.

???


ჩანაწერების შესწორება არ მოხერხდა და ისევე წაშალეს.

— ასეთი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება? შემდეგი?

— მაპატიეთ! — შეჰკადრა რედაქტორს ჟურნალისტმა. — უკვე ვთქვი, დანარჩენ დღეებზე ახლა არაფერს გეტყვით, რადგან ჩემს დღიურებს უნდა გადავხედო თუ თქვენთვის საინტერესო იქნება, დავასრულებ დაწყებულ ამბავს.

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — გამოჩნდნენ მსურველები და გულიამსმაც განაგრძო.

— საქართველოს დედაქალაქში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეგვხვდნენ. კარგად მიგვიღეს, მოგვესალმნენ, მანქანებში ჩავსვიყვეს და წავგიყვანეს... მიგვიწვიეს დიდ სასახლეში, გავაცნეს პრესის მუშაები, მწერლები, პარლამენტის წევრები. ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხზე. შემდეგ გავვიმართეს ვახშამი. უზარმაზარი სუფრა დატვირთული იყო ნაირნაირი სასმელ-საჭმლითა და შემწვარ-მოხარშულით, მწვანილითა და ხილით, ნამცხვრებითა და ტკბილეულით... დიახ, ცოტა მომიებულევი ვიყავი და ასეთი სუფრა ბედის წყალობად მივიჩინე. ის იყო შეგუდექი



ვახშამს და მადაზე მოსული იქაურობას შთანთქვით ვემუქრებოდი, რომ უეცრად მაგიდიდან ერთი ჭარმაგი ვაყუკაცი წამოიჭრა და ყურადღება ითხოვა.

— ცქერად და სმენად ვიქეციო.
— თამადა. — წამჩურჩულა ყურში ჩემმა თარჯიმანმა. — მას ყველა უსმენს და ემორჩილება.

— მართლა? — და ჩემშიც მორჩილების გრძნობამ გაიღვიძა.

თამადამ ვეებერთელა სასმისი შავი ღვინით აავსო, მალა ასწია და ყველას საყურადღებოდ რაღაც სიტყვა წარმოთქვა. ყველა სულგანაბული უსმენდა, მათ შორის მეც. ლაპარაკს რომ მორჩა, მაგიდა ფეხზე დადგა, ტაში დაუტრეს და მე შემომხედეს. თარჯიმანმა მითხრა, ბატონმა თამადამ თქვენი სადღეგრძელო შესვლო. მე წამოვდექი და თავდახრით მადლობა ვადავიხადე. სადღეგრძელო ყველამ მიიღო და ბოლოს სავსე სასმისი მე გადმომცეს.

ვილაპარაკე როგორც შემეძლო. ჩემი და ჩემი ხალხის სახელით მადლობა მოვახსენე. ცოტაოდენი ღვინო მოვსვი და ის იყო სასმისი უნდა დამედეგა, რომ თარჯიმანმა წამჩურჩულა. სასმისის დაუცლელად დატოვება სუფრის შეურაცხყოფაა და თამადა ასეთ საქციელს არავის აპატიებდა. მე თამადის საკენ გავიხედე. იგი არწივის თვალებით მომჩერებოდა და შეგნიშნე ჩემით კმაყოფილი არ იყო. მაშინვე დაეტაცე ხელი სასმისს, ავწიე. პირზე მივიდგი და. როცა დაცლილი სხეების მსგავსად ხელისგულზე დავაპირქვავე, კმაყოფილმა დიქტატორმა ჰაეროვანი კოცნა მტყორცნა.

— კი, მაგრამ ვინ არის წოდებით ეს თამადა? — დაინტერესდა ერთი.

— თამადა? — დაფიქრდა გულიამსი.
— თამადა ეს ყველაზე დიდი დიქტატორია საქართველოში. მას თურმე ემორჩილება არა მარტო რიგითი მოქალაქე, არამედ უკლებლივ ყველანი. მას უფლება აქვს გაშლილი სუფრიდან არ ავადებინოს არც ერთი ლუკმა, ხოლო გასვას იმდენი, რამდენიც მოეპრიანება, რამდენსაც ისურვებს. მისი სურვილი კი განუსაზღვრელია. მერე, თქვენ ფიქრობთ ეს დიქტატორი ერთი და ორი სასმისის დაცლით დაკმაყოფილდა?! არა. მან სასმისად გამოიყენა საყვავილე ვაზა, თიხის თასი, ხის ჯამი,

სამარილე, მაგრამ მალე ამითაც არ დაკმაყოფილდა და ბრძანება გასცა სრულყოფილად ახალი ყაიდის სასმისებზე მწიკტუნათ. დატრიალდნენ ვაყუკები. გავორდნენ დარბაზიდან, დაგლიჯეს ბულა ხარებს რქები და მოარბენინეს. არ ვიცი, სად აღმოაჩინეს იმოდენა რქის პატრონი ცხოველები. ორი უზარმაზარი რქა მიართვეს და წინ დაუდგეს თითქოს ოქროს ტახტი დაუდგესო. ისე ესიამოვნა ბატონ თამადას ამ უცნაური სასმისების ხილვა. ასწია, შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ ერთი თვითონ დაიტოვა, მეორე მე გადმომცა და მანიშნა ღვინით შემეგესო... ორივემ ერთად შევავესეთ. მან ჩვენებურად თქვა — მშვიდობას გაუმარჯოსო და პირზე მოიდგა. მე მას მივბაძე და...

— შესვი? — წამოიძახეს აქეთ-იქედან.

— გამოწვევაზე უარს ხომ ვერ ვეტყვოდი... დავცალე...

— მერე?

— მერე? მერე... დიას, მერე მოხდა ყველაფერი ის, რაც... ერთი სიტყვით, პირველად თავმოჭრილი მამალივით ავფარფატი. შემდეგ რეტდასნმული სახედარივით დავბარბაცდი. ხოლო ბოლოს აღმოსავლურ შფრინავ ხალიჩაზე გავგორდი და უსასრულო სივრცეს მივეცი თავი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიფრინე. რამდენ პლანეტას შემოეუარე ირგვლივ. მაგონდება ზოგიერთი რამ. მალალი მთები ვერცხლისფრად აელვარებული მწვერვალებით, წალკოტები და ბალები. მოჩხრიალე ნაკადულები... დროდადრო, როცა გონს მოვიდოდი, კვლავ სუფრას მიეუჯდებოდი მშვენიერ ჭაბუკებსა და ქალწულებს შორის. მესმოდა მათი საამური სიმღერა. ვხედავდი მათ ცეკვა-თამაშს, ვიწყებდი თავდამშვიდებას. მაგრამ ამ დროს საიდანღაც გამოჩნდებოდა ის თამადა და სულთამხუთავივით დაგვაცხრებოდა. დატრიალდებოდა სასმისები, ჯამები, კვლავ ჩემს ზღაპრულ ხალიჩაზე გაწოლილი, ათასერთი ღამის გმირებით დაენავარდობდი ვარსკვლავებს შორის.

— კოლმეურნეობას თუ გაეცანით? — იკითხა ვილაყამ.

— როგორ არა, — მიუგო გულიამს-
მა. — სხვათაშორის, იქ ხარების რქის
ნაცვლად ჯიხვის რქებით ვსვით
ღვინო. წამოსვლისას ერთმა მოხუცმა
მანქანაში გაბერილი ტყავის ტომარა
შემოღვა. დავინტერესდი და მხლე-
ბელს ვკითხე, რა არის-მეთქი. მან პა-
სუხი არ გამცა, ტომარა ახლოს მოაჩო-
ჩა, პატარა ძუძუკი მოუძებნა და პირ-
ში ჩამიღო საწუწნელასავით. მოსწიეო,
მითხრა და მეც ღედის ძუძუსავით მი-
ვები ზედ ამ ღროს ფარდაც დაი-
ხურა და ისევ ზღაპრულ ნოხზე აღმოვიჩ-
ნდი.

— დაღუპულა. — ხელი ჩაიქნია რე-
დაქტორმა. — რა კარგი და ნიჭიერი
ჟურნალისტი დავკარგეთ! — ჩურჩუ-
ლით დაუმატა მან და გულიამსს სიბრა-
ლულით გადახედა.

— უკანასკნელი დღის შესახებ რას
გვეტყვი? — ამ კითხვის პასუხიც მო-
ესურვათ რედაქციის მუშაკებს.

— ეს ამ დღით იყო. — თქვა ჟურ-
ნალისტმა. — მზის ჭიატმა გამომადგი-
და. წამოვდექი, ტანთ ჩავიცვი. ამ ღროს
მსახური შემოვიდა და მაცნობა, რომ
ჩემს გასაცილებლად მოსულიყვნენ.
გამოვედი. გამცილებლები ბლომად
დამხვდა. ყველა მიღიმოდა. მეგობრუ-
ლად მესალმებოდა.

ოვითმფრინავში რომ ჩამსვეს. ჩემს
ბარჯთან ერთად რაღაც მოკრულები და
შეხვეულებიც შემოიტანეს და მანიშ-
ნეს, რომ ისინი მე მეკუთვნის. მართლა.
სადაა ჩემი ბარჯი? — ახლა მოაგონდა
გულიამსს.

— აქ გადმოვზიდეთ. ბარჯი აქ გახ-
ლავთ. — მოახსენა მსახურმა და კუთ-
ხეში დალაგებულ ბარჯზე ანიშნა.

— აი, აი, მეგობრებო. — ერთ მოკ-
რულთან მივიდა გულიამსი. — ეს გახ-
ლავთ ის გაბერილი ტყავის ტომარა, იმ

მოხუცმა რომ მანქანაში ჩაგვიღო. —
და მოკრულიდან მოზრდილი ტყვი გა-
მოაგორა. — აჰა, ეს რქებიც გამოუტ-
ნებიან. — სიყვარულით დახვდა გულ-
ხლით მოზარნიშებულ ყანწებს. ყურთხა-
ლისტმა.

— ხედავთ? — იქ მყოფთ გადახედა
გულიამსმა. — რა ქვეყანაა, რა ხალხია,
როგორი აღამიანებია. მაგრამ...

— კომუნისტური მთავრობის ხელ-
ში... — წამოიწყო ვილაცამ (მგონია
რედაქტორმა), მაგრამ გულიამსმა შე-
აწყვეტინა.

— არა, არა! მე მომეწონა მათი მთა-
ვრობა, მაგრამ...

ამ „მაგრამმა“ ბევრს გაუღვივა იმე-
დი, იქნებ ახლა მიინც დასცდეს რაიმე
საკბილო საბჭოეთის შესახებო და ამი-
ტომ ცქციტეს ყურები.

— მაგრამ რა? — ვერ მოითმინეს
ბოლომდე.

— რა და, ჩემი აზრით, ქართველები
რომ კონსტიტუციას გადასინჯავდნენ
და თამბაქოს უფლებებს ოდნავ შეზღუ-
დავდნენ... თუნდაც პრეზიდენტის უფ-
ლებამდე შეკვეცავდნენ, ამ ქვეყანას
ვერც ერთი ქვეყანა ვერ აჯობებდა.

— მაშ, ასე ჩავიწერ. — წახალისდა
ერთი კორესპონდენტი. — საქართვე-
ლო უნდა გათავისუფლდეს... — მაგრამ
გულიამსმა წაართვა სიტყვა.

— საქართველო კი არა, ჩვენ უნდა
გათავისუფლდეთ... ჩვენ. — ამაყად
თქვა მან და უბის წიგნაკი გაშალა. —
დანარჩენი დღეების ამბები ამის ფურ-
ცლებზეა და მალე გამოვაქვეყნებ. —
ნელა მიბრუნდა და დინჯი ნაბიჯით რე-
დაქციიდან გავიდა.

— ჰაი, ჰაი, რა ნიჭიერი თანამშრომე-
ლი დაპარგა „მედიანტრუს“ რედაქ-
ციამ! — სინანულით ჩაილაპარაკა რე-
დაქტორმა და ნაღვლიანი თვალები მი-
მავალ გულიამსს გააყოლა.



შარვა შუბლაძე

კიბო და ბონის კანცლერი

ტბას დაყურებს ჯოხით ხელში,
ტივტივას კი წყალი არწევს.
ანკესობა სიბერეშიც
ყვარებია ბონის კანცლერს.
„საათია ვზივარ აქა.
მაგრამ თევზი როგორ გაქრა?
შიშობს? ბრყვს რა გაეგება?
იხიც ხომ არ ქკვიანდება!“
ამ ფიქრებში ზის კანცლერი,
და ლივლივა ტბას დასცქერის.
ჩანს, ბედი არ გაუწბილდა,
ხელში ჯოხი დაუმიძიდა,
აქ ტივტივაც, როგორც ლოდი,
დაყვინთავს და არ ამოდის.
„ო, ლოქოა უეჭველად,
ერთი ძალა მოვიკრიბო!“
მოსწია და ვებერთელა

ამობობდა ნაპირს კიბო.
მყის გაშალა მარწუხები,
არც აცივა, არც აცხელა,
უკან-უკან ნაბიჯებით
წყალში ჩარგო თავი ხელად.
— რასა შვრები, — კაცმა ჰკითხა. —
გამაკვირვე მართლაც დიდად,
თვალი წინ გაქვს. უკან მიხვალ,
ნეტა ასე რად დაგკირდა?
კიბო დგას და თან იცინის:
— ჩემს დღეში ხარ, ვით ვერ ხვდები.
შენც ხომ წინ გაქვს თვალიც, ცხვირიც,
მამ, უკან რად იხედები?
ატომური ისტერიის
რად წაგზრდია ბერს კლანჭები,
ქვეყანას და ისტორიას
უკან რისთვის ექაჩები?



ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/11. 1960 წ. საბეჭდინ (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თა-
ბახი. შეკვეთის № 452, ემ 00664. ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფსამმართველოს
სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22)

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми ул. Люксембург, 22.

4 836.
6.12.1933
რედაქციის ბიბლიოთეკა
თბილისი



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული ადჟარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ